კიტა აბაშიძე

„ჯვარს აცვ,
ჯვარს აცვ მეე!“

თბილისი
1991

ნპ. (2 ი)
ა 133

ვინ მოკლა ილია?.. რად მოკლეს ილია?.. ნუთუ შეუძლებელი იყო ამ ეროვნული ტრაგედიის განჭვრეტა და თავიდან აცილება?.. — ეს მტანჯველი კითხვები ილია ჭავჭავაძის მოწამებრივი სიკვდილის დღიდან არ ასვენებს ქართველ ხალხს.

დიდი ქართველი მამულიშვილის, — ილია ჭავჭავაძის უერთგულესი მოწაფის, თანამებრძოლისა და თაყვანისმცემლის — კრიტიკოსის, პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის წინამდებარე წიგნში სწორედ ეს კითხვებია დასმული და პასუხგაცემული.

გიორგი აბაშიძის რედაქციით, წინათქმით, კომენტარებითა და შენიშვნებით

© კიტა აბაშიძე, 1991

4702170104
ა ——————— 91
M605(06)90

კოოპერატივი „მთაწმინდა“

წინათქმა

ბრძოლა ილია ჭავჭავაძისა და საქართველოს ეროვნული თვითმყოფობის ილიასეული იდეის წინააღმდეგ წიწამურის სისხლიანი ტრაგედიის შემდგომაც არ შეწყვეტილა. ეს ბრძოლა, აშკარად თუ ფარულად, ათეული წლები გაგრძელდა და უდიდესი ვნება მიაყენა ქართული ეროვნული თვითცნობიერების განვითარებას. კიტა აბაშიძის „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ ამ სისტემური ბრძოლის კონკრეტული ეპიზოდის გამოა დაწერილი, — იმ „სამარცხვინო განგაშის გამო“, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელის გარშემო ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ 1913 წელს ატეხა და რომელმაც კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ანტიეროვნული ძალების დამოკიდებულება ქართველი ერის სულიერი მოძღვრის პიროვნებისა და ღვაწლის მიმართ. მაგრამ კიტა აბაშიძე არ იფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთი ეპიზოდის აღწერით.

„ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ თვითმხილველის მიერ დაწერილი სპეციალური წერილია, რომელშიც ცხადად არის წარმოჩენილი ქართველ სოციალ-დემოკრატთა აგიტაციით შექმნილი ის ზნეობრივი ატმოსფერო, რომელმაც ნიადაგი შეუმზადა ილიას მკვლელობას; ეს არის უტყუარ დოკუმენტებზე დამყარებული, მკაფიოდ არგუმენტირებული საბრალდებო დასკვნა, მიმართული ილია ჭავჭავაძის — და საერთოდ მთელი ქართველი ერის — მტრების წინააღმდეგ, მათ წინააღმდეგ, რომელნიც, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა, რომ შესძლებოდათ, საქართველოსაც მოკლავდნენ.

კიტა აბაშიძის ეს პუბლიცისტური წერილი 1913 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ერში“, — ფსევდონიმით „ერთი

პილატეთაგანი“, — და იმავე წელს ცალკე წიგნადაც დაისტამბა. შემდეგ კი, დიდი ხნის მანძილზე მას ტაბუ ჰქონდა დადებული, — იმ წლებშიც, როდესაც საქართველოს მართვა-გამგებლობის სათავეში ილია ჭავჭავაძის მოსისხლე მტრები მონაცვლეობდნენ, ილიას ხსოვნა კი იჩქმალებოდა და იდევნებოდა, და მას მერეც, რაც ილიას ისტორიული დამსახურება ქართველი ერის წინაშე უკვე ოფიციალურადაც იქნა აღიარებული.

ახლა, როცა სიტყვის თავისუფლების დაუოკებელმა ტალღამ ნამსხვრევებად აქცია ნაყალბევი იდეოლოგიური ჯებირები, რომლითაც ჩვენი ისტორიის გუშინდელი დღის ხსოვნა იყო გადახერგილი, მრავალრიცხოვან, აქამომდე საგულდაგულოდ მიჩუმათებულ დიდმნიშვნელოვან მასალებთან ერთად, კიტა აბაშიძის ეს მამხილებელი წერილიც გათავისუფლდა სამუდამო დავიწყების განაჩენისაგან.

მკითხველი საზოგადოება, ეჭვგარეშეა, ინტერესით გაეცნობა ამ ფრიად საყურადღებო დოკუმენტს.

„ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, რაჲთა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათადმდე, რამეთუ იყო დიდ დღე იგი შაბათისაჲ მის“, „მოვიდეს ერისაგანნი იგი და პირველისანი მის განუტეხნეს წვივნი, და ერთისაჲ მის ეგრეთვე, რომელნი ჯუარცმულ იყვნეს მის თანა“.

„ხოლო მორაჲვიდეს იესოსა, და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წვივნი მისნი“,

„არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგმირა გუერდსა მისსა და მეყსეულად გარდამოხდა სისხლი და წყალი“.

(სახარება იოვანესი, თავი XIX, მუხლი 31—34).

ცხოვრებაში ყოველივე გამეორდება ხოლმე ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ცვლილებით — შინაარსი, დედაძარღვი მოვლენისა ერთი და იგივეა. ორი ათასი წლის წინათ მომხდარი ამბავია ამ სტრიქონებში აწერილი და ის... რაც ჩვენის თვალის წინ დღესა ხდება, თითქო ამის გამეორება იყოს. რასაკვირველია, დრო, გარემოება, ერთგვარი სოციალური ატმოსფერო, ერთგვარი საფეხური კულტურისა ტყავს, ქერქს უცვლის მოვლენას, არსებითად კი ერთი და იგივე ხდება. დიადი პიროვნების ფეხქვეშ გათელვა უგუნურთა ხროვისაგან, წინასწარმეტყველის ქვით დაქოლვა, უდიდებულესის მოძღვრის უსამართლოდ დასჯა — ეს ერთი და იმავე კატეგორიის მოვლენაა, სხვადასხვა ფორმაში გამეორებული. მართალია, დღეს ჯვარი მოდაში აღარ არის და „წვივთა გატეხაც“ რიღასი მაქნისი იქნებოდა, მაგრამ გაბოროტებისაგან დაბადებული სურვილი ტანჯულისა და გვემულის პირადობის შურისძიებისა, მისი უაღრესობამდი დასჯისა, ერთი და იგივეა. მოვკალით ერთი უდიდებულესი პირადობა, რომელიც კი ქართულ კულტურას შეუქმნია, „თვისთა იგი არა შეიწყნარეს“[1], ვერ შევითვისეთ ჩვენ, დაბეჩავებულთ, დაგლახავებულთ, ეს-

დეს ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი შვილი ჩვენი, მოძღვარი და წინასწარმეტყველი ჩვენის ერისა და არ ვაკმარეთ ეკლის გვირგვინის მაგიერ ცივი ტყვია, არ ვაკმარეთ სიცოცხლეში ცილისწამება, აბუჩად აგდება, გავიმეორეთ ის, რაც მოხდა ორი ათასის წლის წინათ: „ჰნერწყვიდეს პირსა მისსა და ჯურთითა სცემდეს თავსა მისსა, და რომელიმე ყურიმალსა სცემდეს“[2]. ყოველივე ეს მივანიჭეთ **ტანჯულის სამშობლოს ჭირისუფალსა და მოამაგეს**: მისი საფლავის ქვაზე წავაწერეთ ათასჯერ უფრო შეურაცხმყოფელი წარწერა, ვიდრე იესო ნაზარეველისა: მოვნათლეთ იგი **„ჯაშუშათ, რომელსაც თავისი როლი ზედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული“**, რომელიც **„ადგას სისტემატიურათ ბეზღობის, ცილისწამებისა და ჯაშუშობის გზას“**[3]. დამერწმუნებით, ამასთან შედარებით, „იესო ნაზარეველი, მეუფე ჰურიათა“[4], სრულიად უცოდველი, უკბილო დაცინვაა. ყოველივე ეს ავასრულეთ სისტემატურად, ჩინებულად, ვითა დახელოვნებულმა არტისტმა გაზეპირებული როლი, და მაინც ვერ დავიკმაყოფილეთ გაბოროტებული, შურისძიებით აღვსილი გული ჩვენი. საფლავი დიდებული სათაყვანებელი ქართველის ერისა ბინძურის ხელით გავხვენით, ამოვიღეთ ტანჯული მასწავლებელი და ყოველდღე საჯაროდ „როზგს“ ქვეშ ვატარებთ მას. თვით უსასტიკესი სამსჯავრო, თვით უსაშინელესს დამნაშავეს რომ დასჯის, ერთგვარ ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია, ხმა არ ამოიღოს მის შესახებ, მისი სახელი დავიწყებას მისცეს, აღარ გამოიწვიოს მისი აჩრდილი იმ სამეუფოდან, რომლის ბჭეთა საზღვარზეც ქრება ყოველივე, რასაც ამ ქვეყნის ბეჭედი ასვია, რასაც უბადრუკი ცხოველის — ადამიანის სახელი ჰქვია. ჩვენ კი საეროვნო გენიოსის სისხლით დამთვრალნი, ვითა ხორცის მონატრული ონავარი, გამგელებულები გავყივით საზარელის ჯოჯოხეთურის ხმით: „ჯვარს ეცვენ, ჯვარს ეცვენ“, — „სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო“[5], მივრბივართ მის საფლავთან, და გვინდა „განვუტეხოთ“ წვივნი მისნი, „რათა არა დაადგრეს გვამი მისი ჯვარსა ზედა შაბათამდე, რამეთუ დიდ არს დღე იგი შაბათისა მის“. ერთი განსხვავებაა მხოლოდ, ჩვენდა სამარცხვინოთ, ჩვენდა თავზარდამცემლად, ჩვენს მოქმედებასა და ორი ათასის წლის წინათ ჩადენილს ისტორიულ ბოროტმოქმედებას შორის: მაშინ უფრო ლმობიერებას იჩენდა ხალხი დასჯილის ადამიანის მიმართ. იმ დროს „მორაჰვიდეს იესოსა, და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წვივნი მისნი“... ხოლო რათა ეს ლმობიერება საზღვარს არ გადასცილებოდა, „ერთმა ერისაგანმან ლახურითა უგმირა გუერდსა მისსა“. ჩვენის დროის „ერი“ კი თუმცა ხედავს, რომ დიდი ხანია მკვდარია საგანი მისის შურისძიებისა, საგანი მისი უაზროდ გაბოროტებისა, მაგრამ ეს მას არ აკმაყოფილებს და ყო-

ველდღე ამათრახებს მას, რაც შეადგენს ქართველის ერის სულის ძლიერების მაგალითს, ქართველი ერის გენიოსობის სამკაულსა და გვირგვინს. რა მოხდა, რამ ააყაყანა ექვსი წლის მიყუჩების შემდეგ ეს თავზე ხელაღებულ ყაჩაღთა ბრბო, რა ნახეს სიზმრად, რა მოჩვენება გამოეცხადათ, ან რა საშინელმა ცოდვამ მოითხოვა სამაგიერო, და ჭკუა დააკარგვინა ამდენ ხალხს, რომელიც ამ საშარცხვინო პროტესტებს დააწანწალებს და წარამარა აწერინებს ყველას ხელს?

შესაშინებელი სიმტომია ესა. სავალალო და თავში საცემი მოვლენაა. არცთუ ისე გულგრილად შეიძლება ამის ყურება, იგი ჩვენის კულტურულად დაქვეითების უტყუარი ნიშანია, ჩვენის გაველურების, ჩვენის გამხეცების შეურყეველი საბუთია.

რასაკვირველია, ყველამ კარგად იცის, როგორ იწერება ამგვარი პროტესტები, რა ზომებს მიმართავენ ხოლმე ამგვარი „დოკუმენტების" გამოსაცხობად. ხოლო თვალი მაინც არ უნდა ავიხვიოთ და უნდა აღვიაროთ, რომ ასი და ორასი თავგადადებული კაცი მაინც უნდა ამგვარის შხამიანი კვერის გამოსაცხობად, და განა ეს კი კარგი ნიშანია, რომ ჩვენს გაუბედურებულ ცხოვრებაში ასი და ორასი კაცი გაალმასებული დარბოდეს, ხარჯავდეს ამდენ შრომასა და ენერგიას მისთვის, რომ ერის გონების ერთი უდიდებულესი თვალმარგალიტი ნეხვში ამოსვაროს, ერის კულტურის ძალღონის გამომსახველი ნიჭით ცხებული აჩრდილი „სასტიკ ჯაშუშათ" მონათლოს, მის საფლავზე სამარცხვინო ფერხული დაუაროს და თაყვანსაცემელი ნეშთი წარამარა თავის ხელითა და ფეხით გაჯიჯგნოს?

არა მგონია, ჭკუათამყოფელი კაცი, რა მიმართულებისა და აზრისაც უნდა იყოს იგი, მწარე სევდამ, გულის მომწველმა კაეშანმა არ შეიპყროს, თუ ამ საშინელ მოვლენას ჩაუფიქრდება.

* * *

ცოტა შორიდან დავიწყოთ: „პროტესტების" წარმოების მოკლე ისტორია მოგახსენოთ, შემდეგ გავიხსენოთ დიდებული ადამიანის მოკვლის პირველი დღეები, ამ თავზარდამცემის უბედურებისგან გამოწვეულ გრძნობათა აფეთქებას ანგარიში გავუწიოთ, დღევანდელი „პროტესტებიც" განვიხილოთ, ჩვენი „ბრალდებანი" ავუსხოთ და ამ „პროტესტებს" კბილი გავუსინჯოთ; მისი საბუთიანობის გარკვევის დროს ვიხელმძღვანელოთ მრავალტანჯულის დიდებულის მოძღვრის რჩევით, რომ „საცა ლიტერატურული სჯაა და ბაასი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს", და, საზოგადოდ, ამ „პროტესტების" სული და გული გამოვააშკარავოთ, ნათელვყოთ მისი შინაარსი.

დასელების ბელადმა[6] ილიას წინააღმდეგ საბრძოლ იარაღად

პირველად 1900 წელს იხმარა „პროტესტები“ და „ზიზღი“... ეს ვაჟბატონი ილიას მოკვლის შემდეგ და „მოგზაურის“[7] სამარცხვინო პასკვილის[8] დასაცავად, ასეთ ლათაიებს გვიმღეროდა: თუ „მოგზაურის“ ცნობილი წერილი დაგგმეთ და მოუთმენლათ მიეიჩნიეთ, „მაშინ ხომ გაუქმდა პრესის თავისუფლება, ვინაიდან კერძო პირების შესახებ წერა ყოვლად შეუძლებელი ხდება და, ასე, ბოროტმოქმედება და ტირანია აულაგმავი რჩება“... „ან შეიძლებაო „ისარს“ ჰგონია, რომ არიან ისეთი უპირატესნი, რომელთა მხილებაც მწერლობაში არ შეიძლება? ის ალბათ ასე ფიქრობს, მარა დემოკრატიისათვის ეს არ არსებობს“ და სხვა. („ჩვენი გზა“, 1907 წ. № 28)[9]. დავიმახსოვროთ ეს კარგად და „პროტესტების“ ამბავი თავიდან დავიწყოთ.

1900 წელს ჩვენის ცნობილი მოღვაწის გიორგი წერეთლის დასაფლავებაზე ზოგიერთმა ორატორმა ზიზღით მოიხსენია „ივერიის“ რედაქცია, — გ. წერეთლისთანა მოღვაწეს სდევნიდა სიცოცხლეშიო. ეს საქციელი დაგმო როგორც მაშინდელმა „ივერიამ“, ისე „მოამბემ“, სადაც შრომობდნენ დღევანდელი „სახალხო გაზეთის“ ზოგიერთი თანამშრომლები[10]. ვიღაც ბ. კირვალიძემ, რომელმაც იკისრა ასეთი უცნაური როლი, ჯერ განაცხადა — ჩემი რწმენა წარმოვსთქვიო, მერე, როცა მისი „რწმენაც“ სუსტ საბუთად იქნა მიჩნეული, „კვალის“ რედაქციაში წარადგინა ას ერთი თფილისის მოსამსახურეთა, ასე ვსთქვათ, ვექილობა, რომლითაც ბ. კირვალიძე ვალდებული ხდებოდა დასწრებოდა გ. წერეთლის დასაფლავებას, გამოეცხადებინა გულისტკივილი გ. წერეთლის უდროოდ დაკარგვის გამო და „აგრეთვე, **გაეცხა ის ჯგუფი** (ხაზი მათია — ავტ.), რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდებულ მოღვაწეს გ. წერეთელს უმართებულოთ სდევნიდა და ლანძღავდა უშვერის კილოთი სიცოცხლეში“...

თუ ამ ინციდენტს ცოტას ჩაუკვირდებით, შემდეგს შეამჩნევთ: ბ. კირვალიძემ „ზეშთაგონებით“, თუ თავის მოსაზრებით, „ზიზღი“ წამოისროლა მთელი ჯგუფის მიმართ, რომელიც გ. წერეთლის საფლავის პატივსაცემლად იყო შეკრებილი. როდესაც ეს მისი საქციელი სამარცხვინოდ იქნა მიჩნეული, თავის „რწმენას“ დაუწყო დაბღაუჭება, ხოლო როცა ეს „ნუმერიც“ ჩაეშალა, მაშინ „საბუთის“ ჩასჭიდა ხელი. ბ. კირვალიძის ზურგს უკან, რასაკვირველია, „კვალის“ რედაქცია იზმორებოდა სიამოვნებით. ჩვენ აქ ეჭვს გვიბადებს ერთი გარემოება. „ას ერთის ხელმოწერილი“ საბუთი რომ ყოფილიყო, ეჭვი არ არის, მას არათუ ასე დამალავდა „კვალის“ რედაქცია, არამედ თვით დასაფლავების დღეს წააკითხებდა ბ. კირვალიძეს, თუ იმ დღეს არა, მეორე დღეს მაინც დასტამბავდა ამ საბუთს. ეჭვი არ არის, რომ ეს საბუთი შემდეგ არის მოჩხმახული და ბ. კირვალიძის ჩივილი, ეს საბუთი „კვალმა“ არ დამიბეჭდაო, მოჭორილია: „კვალი“

და ასეთ საბუთს არ დასტამბავდა იმავე დღეს, როგორც ხელში ჩაუვარდებოდა, ეს რა მოსაფიქრებელია![11]

მაგრამ განვაგრძოთ... არც ეს საბუთი იქნა საყურადღებოდ მიღებული და ეს საბუთი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ილიამ, რომელიც იმ დროს „ახალ-მოსულის" ფსევდონიმით წერდა. მე მოვიყვან იმ ადგილს ამ წერილიდან, რომელიც დღემდე სადემაგოგიო მასალად ხელზედა აქვთ დახვეული დასელებს და დღესაც უსირცხვილოდ ილიას სიტყვებს ამახინჯებენ და ასხვაფერებენ:

„რომ უფრო დიდ ავტორიტეტად დაანახვონ ქვეყანას ეს ვიღაც „ხალხის წარმომადგენელი გლეხი კირვალიძე", ჩვენი ჭკუიანი „კვალი" მე-12 №-ში გვეფიცება, რომ კირვალიძეს ას ერთი კაცი ამაზე ხელს უწერსო. ამისთანა საქმეში, საცა ლიტერატურული სჯაა და ბაასი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. გნებავთ; საქართველოში თუნდ ათი ათასს კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას და ნუთუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისათვის საბუთია? ნუთუ ამ ათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალილეისა? თუ კაცი თვითონ ნულია, — გლეხია თუ თავადი, — ათასი ამისთანა ნულები რომ ხელიხელ ჩართულად გაგვიმწკრივოთ, მაინც ნულია და ნული. ეს ხომ პირველი კლასსის გიმნაზიელმაც კი იცის და რატომ ბ-ნ ჟორდანიას არა სცოდნია". (1900 წ., „ივერია" № 65, — „პატარა საუბარი").

ამ სიტყვებს ყოველი ადამიანი, ვინც უნდა იყოს იგი, თამამად ხელს მოაწერდა, ვინაიდან იგი არავითარ სამარცხვინო აზრს არ შეიცავს. ან. ფრანსი უდიდებულესი დემოკრატი მწერალია, სოციალისტიც კი არის თავისის რწმენით, ისიც კი ამბობს ერთს თავის მოთხრობაში, რომელიც მისი სოციალისტურის მოძღვრების აღმსარებელია: „იმისთვის, რომ სისულელეს იმეორებს 36 მილიონი ყბა, სისულელე თავის ხასიათს არა კარგავს, იგი სისულელედ რჩებაო".

დასელების ბელადი კი ჩვეულებრივის ჯამბაზობით ასე ამახინჯებს ილიას ზემოხსენებულ ციტატას და ხალხს ამგვარად აბეზღებს:

„ამიერიდან სახელოვანმა „ახალ-მოსულმა" თავისი ერთი ყუმბარა ამ ას ერთ კაცსაც ესროლა და თან გამოუცხადა: თქვენ ვინა ყრიხართ, თქვენ „ნულები" (ე. ი. „არაფერები") ხართო! მარა, რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი ასეთი „ნულებისაგან" შედგება, მაშ ყველა ეს წყალ-წასაღები ყოფილა. საქართველოს „ჩიორა"[12] და „ახალ-მოსული" შეადგენს თურმე, და ნამდვილი „ხალხიც" ისინია! აი სადამდის მივიდა „ივერია"! **იმედია, ამას არ დაივიწყებს ასე ყბათ აღებული ქართველი ხალხი"**[13]...

გთხოვთ, კარგად დაუკვირდეთ ამ ჯამბაზურ წილადობილას! აბა დაუკვირდით ხაზგასმულ სიტყვებს — ეს პირველი წაქეზებაა[14], შემ-

დეგში ეს მოძახილი სიტყვასიტყვით შეორდება დღეინდელ „პროტესტებშიაც“ კი, იმიტომ კი არა, რასაკვირველია, რომ ეს გენიოსური თქმულება იყოს, არა, იმიტომ, რომ ყველა ეს პროტესტები ერთსა და იმავე ქურაში გახლავთ გამომწვარი.

ჯამბაზობაა, მაშ რაა ასეთი ლოღიკური სალტომორტალი? რაკი ბ. კირვალიძე „ნულათ“ ჩათვალა ილიამ, რაკი მისი მარწმუნებლები ას ერთ ნულათ ჩათვალა, მაშასადამე მთელი საქართველო ნული ყოფილაო[15]. თითქო მთელი საქართველო ამ ას ერთის კაცისაგან შესდგებოდა. და თუკი ასეა, ან. ფრანსის არ იყოს, თუკი მთელი საქართველო სისულელეს იმეორებს, თითქო იგი სისულელედ აღარ რჩება და სიბრძნეთ იქცევა! ას ერთის პროტესტი უადგილო იყო, უშინაარსო იყო და უგუნური — ეს ითქვა და ეს გამეორებული უნდა იყოს! ჩვენ ქვევით ვნახავთ, რომ არათუ მთელი საქართველო, ერთი იმდენიც არ მიმატებია ამ რიცხვს და მათი სისულელე არ დაუდასტურებია, მაშ, რა შუაში იყო აქ ან საქართველო, ან ქართველი ხალხი. მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ოინებია ჩვენის დასელების ხელმძღვანელებისა და წინამძღვრებისა. დასელთა „ბელადს“ ეს პროტესტები ეჭაშნიკა, მადა გაეხსნა. ფრანგების არ იყოს, მადა ჭამის დროს ძლიერდებაო, ისე დაემართა, თანდათან თავბრუ დაეხვია და „პროტესტები“ თუ იქამდის ეითომდა დევნილი განსვენებულის გ. წერეთლის სახელის დასაცავად იყო შეთხზული, ახლა იმავე პროტესტებს ბ. ნ. ჟორდანიას ქომაგობა დაეკისრა.

იმ დროს „ახალ-მოსულსა“ და ბ. ნ. ჟორდანიას ლიტერატურული კამათი ჰქონდათ*. ილია ჭავჭავაძე სასტიკი და შეუწყნარებელი პოლემისტი იყო, ცხარე სიტყვებს ხმარობდა, მაგრამ თავის დღეში საზღვარს ლიტერატურის ეთიკისას იგი არ გადასცილებია. მისი მახვილი, ფოლადის სიტყვები კაცს გულს უსერავდა, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ იგი შეუწყნარებელი იყო ლიტერატურის ზნე-ჩვეულების მხრით. დასელთა ბელადს, განდიდების ქავილით შეპყრობილს, ეს არ ეჭაშნიკა და აი, ნელნელა „პროტესტანტები“ ამ პოლემიკის მსაჯულად გამოიყვანა. როცა ამ პროტესტებს კითხულობთ, ღმერთმანი, ღიმილს ვერ იკავებთ, იმდენად დაბლანდულია იგი, იმდენად უბადრუკად შეთითხნილია. მაგრამ დაუკვირდით, რა თანდათანობით ილიას სახელს ფეხქვეშ სთელენ. თქვენ ნახავთ, რომ წიწამურის ამბავი მთლიანი ტრაგედიაა, რომლის ევოლუციაც, თანდათანობითი განვითარება ჩვენი თვალის წინ არის გადაშლილი. მე მგონია, თვით მაშინდელ „პროტესტანტებს“ რომ წააკითხოთ მათი პროტესტი, ზოგიერთს მაინც, სინანულის „პროტესტი“ აღმოხდება ბაგე-

---

* ეს კამათი ასტყდა ნ. ჟ-ს „ქართული პრესის“[16] გამო, რომელიც არსილ ჯორჯაძემ მონათლა „ნიმუშად მიდგომილ და ცალმხრივ ლიტერატურული ნაწარმოებისა“ (იხ. ტ. II, 90)[17].

თაგან. პროტესტებს განსაკუთრებული ადგილი მიანიჭა „კვალის“ ბელადმა და უწოდა ამ განყოფილებას „ნულების წერილები“.

ერთი საპროტესტო წერილი („კვალი“ № 17) ამგვარის მარგალიტებით არის სავსე: „**ვინც ამდენ საძაგლობას ჩაიდენს** (როგორც „ახალ-მოსული“ ნ. ჟ-სთან პოლემიკის დროსო. — ავტ.), ის აღარაფრის წინ აღარ შეჩერდება. ჩვენ გვეგონა, რომ თვით რედაქცია... მიხვდებოდა ბოლოს ამ სისაძაგლეს და დაუხურავდა „ივერიის“ ფურცლებს **უღირს თანამშრომელს*... ეს ისეთი სისაძაგლეა, რომლის მოგონებაზე კაცს თმა ყალყზე უდგება და გაოცებული ეკითხები შენ თავს, თუ რა ხალხთან გაქვს საქმე... რაც შეეხება თვით ბ. ნ. ჟორდანიას, ჩვენ გულით და სულით ვწუხვართ, რომ მას ისეთ მოპირდაპირესთან აქვს საქმე, როგორც „ახალ-მოსულია“**. ჩვენში ძალიან ძნელია ამგვარ ვაჟბატონთა ალაგმვა“... ბ-ნი ჟორდანია ნუ იწუხებს თავს და ნუ ეკამათება „ახალ-მოსულს“, სანამ პირბადეს აიხდიდესო. „მაგრამ, — დასძენს პროტესტანტი, — გაბედავს კი ამას „ახალ-მოსული“? ძალიან საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ასე მოხდა, შესაძლებელი იქნება გამოიკვლიოს კაცმა, თუ რამ მიიყვანა **ეს საცოდავი ადამიანი ამგვარს სულიერ სიმახინჯემდის** (ხაზი ჩვენია — ავტ.). ეს გამოკვლევა მეტათ საინტერესოა და ამ მოვალეობას თქვენი უმორჩილესი მონა იკისრებს“[18].

ყველაზე უფრო სულელური და ბრიყვული ერთი „ქართველი აქიმის“ პროტესტია. უნდა გითხრათ, მე არ მგონია გამოჩნდეს ისეთი „ქართველი აქიმი“, რომელმაც გაბედოს და სთქვას: „ეს სტრიქონები მე მეკუთვნის და დღესაც იმ აზრისა ვარო“. ჩვენ დროში ყოველივე მოსალოდნელია, მხოლოდ მაგისთანა გაბედულობის დარი თავხედობა საეჭვოა.

„აფსუს პოლემისტო, აფსუს ლიტერატორო, მეცნიერო, ბანკირო და არა „ფინანსისტო“,.. — ბრძანებს აქიმი, უკბილოდაც ოხუნჯობს და თანაც ამით გვამცნებს, რომ კარგად სცოდნია ვისთან აქვს საქმე, — რამ გაგაკადნიერათ ამ ზომამდე, ბ. ახალ-მოსულო?!.. ბ. ნ. ჟორდანია **შრომობს მისდა სასახელოთ და ჩვენდა სანუგეშებლათ და ამიტომაც შეცდომებს შეცოდებათ არ ვიმჩნევთ,** მხოლოდ იმასაც ვხედავთ, რომ ბ. ახალ-მოსულს პსურს თავისი უსაქმურობა დიდ ღირსებათ ჩაგვათვლევინოს, და თვალთმაქცობა რომ არ შეგვამჩნევინოს, მბრძანებლობის ტონს იღებს... მართალი მოგახსენოთ, **ჩვენ ჯერ ბ. ახალ-მოსულის ნაშრომი არ გვინახავს**... რაც შეეხება მის თვალთმაქცობას, ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, რადგანაც ბ. ახალ-მო-

---

* ხაზი ყველგან ჩვენია. როგორც რედაქციამ, ისე პროტესტანტებმა კარგად იცოდნენ, რომ „ახალ-მოსული“ ილია იყო, ამას ყოველი წერილიდან შეამჩნევს მკითხველი [ავტორი].

სულს მოდებია ის დიდების სენი, რომელსაც „mania grandiosa"-ს ვუწოდებთ"[19]. (საბრალო ილია ქართველი აქიმის ხელში! — ავტ.). რასაკვირველია, „აქიმიც" ტრაფარეტს ვერ აშორებია და ურჩევს ნ. ჟ-ს, ნუ კარგავს ძვირფას დროს უნაყოფოდ და ნუ ეკამათება ახალ-მოსულსო. თანაც, არ ვიცი რა მიზნით, მოჰყავს რაღაც ყოვლად დაუჯერებელი და სულელური ეპიზოდი თფ. სათავადაზნაურო ბანკის ისტორიიდან, რომლის გაგებაც კი არ შეიძლება. ილია აქ ისეა გამოყვანილი, თითქო ჭკუაგამოფიტული ოინბაზი ყოფილიყოს, თუმცა ილიას პოლემისტური ორატორული ნიჭი არავის არ უარუყვია, გარდა ქართველი აქიმისა[20].

როგორ მოგწონთ ეს პროტესტანტი „ქართველი აქიმის" სიტყვები: **„ჩვენ ჯერ ბ-ნი ახალ-მოსულის ნაშრომი არ გვინახავსო"**, რომ ახალ-მოსული „მანია გრანდიოზას" სენითააო შეპყრობილი, რომ ჟორდანია „თავისდა სასახელოთ და ჩვენდა სანუგეშოთ" შრომობს, ამიტომ შეცდომებს შეცოდებად ვერ ჩაუთვლითო. ილია კი, ჰგავს, „ქართველი აქიმის" სასახელოდ შრომობდა და ჩვენდა გასამწარებლად, ამიტომ მისი ღვაწლიც ბოროტად უნდა ჩათვლილიყო და ასეც მოხდა... ნებსით თუ უნებლიეთ შექმნილი პლანი პუნქტუალურად იქნა ასრულებული და ქართველი ერის „კერპი" მიწაზე განართხული, ფეხქვეშ გათელილი, რასაც იმთავითვე იქადიდა ბელადი დასელებისა. ერთი „ქართველი იურისტის" წერილიცაა, ამას კი სახელი და გვარი მთლად ერთიანად აწერია. „აქიმზე" უფრო შორსმჭვრეტელი „იურისტი" გამოჩენილა და შთამოებისათვის არ დაუკარგავს თავისი ლიტერატურული განძი. შესაძლოა, „იურისტი" დღესაც სიამოვნებით იმასვე გაიმეორებს; შესაძლოა, ასეთია სიმტკიცე მისი გონიერებისა და გრძნობიერებისა. მაგრამ, დეე, მისი სახელიც დამარხული დარჩეს. ვისაც ნებავს, 1900 წლის „კვალის" მე-19 №-ს ნახავს, ამ საბუთსაც და მის ავტორსაც: „მთელ მის („ახალ-მოსულის") ნაწერებში (ავტორს აქ ნ. ჟორდანიასთან პოლემიკა აქვს უთუოდ მხედველობაში), გარდა თვით ავტორის (ე. ი. ილიას) „ქარაფშუტობისა", „უმეცრებისა", „ორპირობისა", „ორთავიანობისა", „სასიზღარი ლანძღვა-გინებისა და ლიტერატურული უწესოებისა", ჩვენ ვერაფერი ვერ დავინახეთ: ბატონ „ახალ-მოსულს", რომ არ მოსულიყო ის ერჩია, ხმა რომ არ ამოეღო, ისა სჯობდა როგორც მისთვის, ისე „ივერიისთვისაც", მან მოუღო ბოლო თავის თავს და მოუსწრაფა დღე ისეც დღემოსწრაფებულ „ივერიას"... „იურისტი" სწუხს, რომ ბ. ჟორდანია კარგავს ძვირფას დროს და ყურადღებას აქცევს „ახალ-მოსულის" „ავლაბრული გინებით შემკულ უაზრო როტვას"[21].

ზოგიერთი პროტესტანტი გვეუბნება: „მაგისთანა ლანძღვა-გინება მხოლოდ თფილისის აბანოებთან გაგვიგონია, სხვაგან ამგვარი

არაფერი არსად არ გვსმენია... დიახ, ჩვენ გვიკვირს და გვწყინს, რომ ბ. ნოე ჟორდანია ამისთანაებთან კადრულობს ბაასს და განა ეს შეფერის ბ. ჟორდანიას? ან მიეტევება მას ამისთანა საქციელი?.. დეე, „ახალ-მოსულმა" რამდენიც უნდა ილანძღოს, **მწერლობასთან რა აქვს მას საერთო?"** (ხაზი ჩვენია — ავტ.). **„...ჩვენ ვთხოულობთ, რომ ბ. ნოე ჟორდანიამ თავი დაანებოს კინტოებთან კამათს..."** (ხაზი ჩვენია — ავტ.)[22].

კიდევ რამდენიმე პროტესტი — ერთი, თუ ორი, — და ამ სამარცხვინო კამპანიას კუდი მოსწყდა.

რამ გამოიწვია ასეთი გააფთრება „პროტესტანტებისა"? კილომ ილია ჭავჭავაძის პოლემიკისა?.. ნუთუ? აი, ნიმუშები, რომელსაც „პროტესტანტები" ხაზს უსვამენ, როგორც თვით უსაშინელესს, — მაგ. პროვინციელი ნული[23] (ასე უწოდებს თავს, ვითომდა ოხუნჯობს, მაგრამ ამ ოხუნჯობას საჯავახოელი ხუმრობა ჰქვია, სანამ არ ვიცით, ვინ იმალება ამ „ნულის" ქვეშაც). ჰო და, აი, ილიას „ავლაბრული", „კინტოური" და სხვაგვარის ეპითეტებით პროტესტანტთაგან მონათლული სიტყვები: „საუზმეთ დილის სიფთაზე ეს მისის უმეცრობის მცვრიანი მწვადიც საკმარისია, სადილები, ღვთით, მერე იქნება თავისის წვნიანებითა"... „ბ. ჟორდანიას ძველს უმეცრობას ქეჩოში ხელს წავავლებ. მე მარტო ამას ვწუხვარ, რომ ეს მისი ზღვა უმეცრობისა კოვზით უნდა ამოვწურო"... ანადა კიდევ: „თუ დამცალდა-კი, ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ, მე ბ-ნი ჟორდანია გამოგიჭიმოთ მთელის თავისის სიგრძე-სიგანით და ხელის გულზე გაგიგოროთო"[24]. ხოლო სასტიკმა კრიტიკოსმა „ქართველმა აქიმმა", რომელსაც — ხომ გახსოვთ, — ილიას „ნაშრომი არ უნახავს", და რომელიც ათასგვარი უფრო შეურაცხმყოფელი ეპითეტით ამკობს ილიას, ეს სიტყვები ჩასთვალა საშინელ სიტყვებად: „მე დავამტკიცე, მე ვამხილე, საძუე შემოვაწყვიტეო"[25].

ყველა ამ ადგილებში არაფერი არ მოიპოება ისეთი, რომელიც ვისსამე პირადობას ამცირებდეს, ან რაიმე სამარცხვინო ეპითეტებით ამკობდეს, მაგრამ ახლად მოვლენილმა ბელადმა ეს იწყინა და აამხედრა „ქრისტეს მოყვარე მხედრობა", ვითომდა თავის შებღალულის ღირსების დასაცავად, და ყოველივე ამის ჩამდენმა 7 წლის შემდეგ გვამცნო, რომ თუ კაცი დაგმეთ მისთვის, რომ ერის სიამაყეს ნათლავს — უსაფუძვლოდ, უსაბუთოდ, — **„უსასტიკესს ჯაშუშათ, რომელსაც ზედმიწევნით აქვს ჯაშუშობის როლი შესწავლილი"**, — თქვენ პრესის თავისუფლებას ალაგმავთ, ტირანიასა და დესპოტიზმს ამტკიცებთ. თუ სთქვით, რომ ილიასთანა კაცის „ჯაშუშათ" მონათვლა სახიფათო იყო იმ დროში და უეჭველად უნდა გამოეღო ის ნაყოფი, რომელიც უკვე მოიტანა, ეს ნიშნავს, რომ ამის მთქმელისთვის

„არიან ისეთი უპირატესნი, რომელთა მხილება მწერლობაში არ შეიძლება“. ეს ილიას შესახებ, ხოლო როცა ნოე ჟორდანიას საქმე შეეხო, მაშინ ილიასთანა დიდებულსაც კი ბურთი ჩასჩარეს პირში და „პროტესტები“ „პროტესტებზე“ გამოაცხვეს.

თორემ რა იყო ილიას პოლემიკაში იმაზე უარესი, ან იმის მსგავსი, რასაც თვით დასელთა ბელადი ჩადიოდა ამ პოლემიკის დროს, — რასაკვირველია, „პროტესტანტებზე“ ხომ რაღა ითქმის. თუმცა განა პროტესტების კილოს პასუხისმგებელიც ბელადი არა ბრძანდება? განა არ შეეძლო კალამი წაესვა ისეთ ადგილებზე, რომელიც მათი ავტორის უბადრუკობას ამტკიცებს და „ბელადის“ ქართველი ერისადმი საბედისწერო გაბოროტებას?

აი, მარგალიტები:

„ყველასათვის აშკარაა, თუ რა ალაპარაკებს ბ. ახალ-მოსულს. ეს არის არა საგნის გამორკვევა, არა საქმის სიყვარული, აზრთა შეჯახება და მწერლობის გაფაქიზება, არამედ პირადი ამოჩემება, ლანძღვა-გინება და დამცირება (აბა, საპირადო რა ჰქონდა გასაყოფი ილიას ბ. ნ. ჟ-სთან? — ავტ.), და რომ ეს თავისი საწადელი განახორციელოს, არავითარ საშუალებას არ ერიდება, **არავითარ უწესოებას გვერდს არ უვლის, არავითარი ოინების ჩადენა არ ეზარება.** მისი საპოლემიკო ფარ-ხმალია: ცილისწამება, ფაქტების გადამახინჯება“. „დიდათ გასაშტერებელი ოინები“, ახალ-მოსულის „ლათაიები“ **მყითხველს „სრულიად უსირცხვილოთ ატყუილებსო“**... „ერთი სიტყვით, ბ. ახალ-მოსულს თავი მოეჭრა თავისი მრევლის წინაშე, მაგრამ რაი! **ის ისეთი სირცხვილის კაცი ყოფილა, რომ ყველა ამას არაფრათ არ აგდებს;** ის არ დრკება, არ ჰწითლდება, და ვითომ აქ არაფერიო, თავის გამართლებას მოჰყოლია“[26]...

ჩვეულებრივი დაბეზღება ხალხთან, რომელიც თანდათან ამზადებდა ნიადაგს კატასტროფისათვის... მრწამს, რომ იმ დროს ეს მოულოდნელი იყო თვით ამგვარი პოლემისტებისათვის... მაგრამ შორსმჭვრეტელობა მოეთხოვება მას, ვინც ნამდვილ დიდებას ამსხვრევს და მის ადგილზე უნდა წამოასკუპოს ჭიქის ფეხებიანი ჯირკი („ჩურბანი“, რუსები რომ იტყვიან).

„ახალი მოსულები და მათი ამყოლდამყოლნი ხალხს „ნულათ“ თვლიან, ხალხში არავითარ ჭკუა-გონებას არ ხედვენ, მას ბრიყვათ აღიარებენ და მარტო თავისთავს უკმევენ გუნდრუკს“...

„და განა ყველა ამის ჩამდენს სიმართლე და ჭეშმარიტება აინტერესებს? განა ამას რაიმე პატივისცემა აქვს ბეჭდვითი სიტყვის? არა და ათასჯერ არა! მას, როგორც ერთხელ თქვა, **„გული აქვს გასიებული“**[27], ის ამ გულის დასამშვიდებლად წერს. რამ გაუსივა გული, რამ დაჭრა ასე სასიკვდილოთ — ამას მალავს, ამას არ ეხება და, სამაგიე-

როთ, **ცილისწამების მორევში შეუტოპავს** და იქიდან „გულის გასაიებელ“ წერილების „განადგურებას“ ლამობს! ეს მით უფრო ეხერხება, რომ ფსევდონიმის ბადეში გახვეულა, პირზე ნიღაბი ჩამოუფარებია და ასე საზოგადოებას ეძალება, რასაც ჩავიდენ შემრჩებაო. არა, ბ. ახალმოსულო, თქვენ, უმჯობესი იქნება, პირბადე აიხადოთ, თქვენი ნამდვილი სახე დაგვანახვოთ... **თუ თქვენით არ დაგვესახვებით, ჩვენ გამოგიყვანთ დასანახავზე, ჩვენ დაგარქმევთ ნამდვილ სახელს** და ამას ვიქმთ არა თქვენებურ **უმართებულოთ**, არამედ სრულიად მართებულათ, თქვენივე სიტყვებით, თქვენივე აღსარებით, და აი მაშინ მკითხველი თავისთავათ მიხვდება, თუ რამ აგიტაცათ ასე, რამ „გაგისივათ გული“ და რა გალაპარაკებსთ“. („კვალი“, № 17)[28].

აკი დაარქვეს შემდეგში ნამდვილი სახელი: **უსასტიკესი ჯაშუში, რომელსაც ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ჯაშუშის როლი**... „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათაო“.

მუქარა თანდათან ღრმავდება.

„ახალ-მოსულის“ ფელეტონი **„მისებური ოინებით“** არის სავსე, ხოლო მეორე ნახევარში **„მისებური აზრებით“**, ჩემი აზრები გამოუყენებიაო: „არა ისე, როგორც ამას **ყოველი სინიდისიერი მოკამათე იქმს**, არამედ ისე, როგორც ამას ბ. ახალმოსული ყოველთვის შვრება“.

ახალმოსული **„ჭორიკანობსო“, „ცილისწამება ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი“**... „ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტყუილი და ტყუილი“. „ჩვენ კარგად ვიცით, რა აბრაზებს და რა ამახინჯებიებს ბ. ახალმოსულს ასე საშინლათ სხვის აზრებს, და რომ სხვებმაც გაიგოს ეს — ამისათვის **საჭიროა მან პირბადე აიხადოს** და თავისი ნამდვილი სახით დაგვენახვოს. ეს ჩვენ მოვთხოვეთ გასულ კვირას, ის ჯერჯერობით დუმს, არას ამბობს, მაშ ცოტას კიდევ მოვუცდით“. (№ 18 „კვალი“)[29]...

პირბადე დიდი ხანია ახადეს „ახალ-მოსულს“: ზემომოყვანილი საპროტესტო წერილები პირდაპირ იხსენიებენ მას „ბანკირად“, „ლიტერატორად“, „ივერიის“ „გამგედ“[30]. ეს ტყვილა ჯამბაზობა იყო. ჩვენის ახალი ლიტერატურის გამჭედს, მის დიდებას, ორმოცდაათი წლის ღვაწლის ჯილდოთ იმისი ნებაც არ ჰქონდა, რომ ფსევდონიმი ეხმარა, თუმც ეს ფსევდონიმი ყველამ იცოდა და თუმცა ამ ფსევდონიმს, ამ ნიღაბს, ყველა სწვდებოდა თავისი ბინძური ხელებით, თუმცა ფსევდონიმები ბ. ნ. ჟ-სთვის შემდეგში სრულიად ჩვეულებრივი სახის სამკაული შეიქნა.

ჩვენ აქ სრულიადაც არ ვართმევთ ნებას ბ. ნ. ჟ-ს, „ახალ-მოსულთან“ პოლემიკის გამმართველს, წეროს თუგინდ დიდებული ილიას წინააღმდეგ იმ კილოთი, რომლითაც იგი წერდა და რომელიც შეუდა-

რებლად უფრო უხერხული და მოურიდებული იყო, ვიდრე ილიას ჩვეულებრივი ცხარე სატირული კილო. ჩვენ აქ გვინდა აღვნიშნოთ ბ. ნ. ჟ-ს და მისი დასის უსამართლო გაბოროტება, უსამართლო ამხედრება ილიას წინააღმდეგ: ეს დასი „კინტოთ", „სულიერ მახინჯათ" იხსენიებდა თავის „პროტესტებში" დიდებულ მოძღვარს იმ პოლემიკის კილოსთვის, რომელიც ბ. ნ. ჟ-ს პოლემიკის კილოსთან პირდაპირ სალონების მასლაათად არის მისაღები.

1900-ში და შემდეგში ილია ავად გახდა. რედაქციის მართვა-გამგეობა მიატოვა[31]. პოლემიკაც შესწყდა. „პროტესტები" თავისთავად მოისპო.

დადგა 1905 წელი, — ხანა ბედნიერებისა, ხანა ხალხის გამოღვიძებისა, ერთი უდიდებულესი ხანა, რომელიც კი იცის მსოფლიო ისტორიამ: დამარცხდა საუკუნოდ ერთი უსასტიკესი და უსაშინელესი რეჟიმი, შეირყა კირთები ძველის ცხოვრებისა და ხელახლად გაიშალა დროშა ყოველ ერთა ცხოვრების უფლების დაკმაყოფილებისა, შრომის გათავისუფლებისა ყოველგვარი ბორკილისაგან, მიწის, ამ შრომის ქვაკუთხედის განსაზოგადოებისა; ფართო პოლიტიკური და სოციალური იდეალები წამოყენებულ იქნა იმ სახით, როგორც არაოდეს საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, და ზოგიერთის მხრივ არც მაშინ. ამ საერთო აღტაცების დროს ჩვენმა დასელებმა ხალხის თითქმის მთელი რევოლუციონური ენერგია მოახმარეს ქართველი ერის ადამიანურ უფლებათა უარყოფას: ქართველი ერის ცხოვრების **ძარღვის** დამცველთ შუბლზე მიაკრეს ჯაშუშობის, ბატონყმობის მესვეურის, ხალხის მტერის იარლიყი. ჩვენი ისტორია დააფასებს შესაფერისად მათ მოღვაწეობას ჩვენის ერის კაცურს საზოგადოებრივ უფლებათა აღორძინების ხელის შეშლაში, ამის შესახებ ეხლა ადგილი არა გვაქვს ვილაპარაკოთ.

ეროვნულ იდეალთა პოლიტიკურ დამცველთ ისეთი დიდი პირადობა მიემხრო, როგორც ილია იყო. მან საქვეყნოდ განაცხადა: „ჩვენის ერის ცხოვრების მოსაწესრიგებელი კანონები აქ უნდა იწერებოდესო"[32]. პოლიტიკურად განუვითარებელ „დასელთა" ბელადებს ეგონათ, თუ ილია ზნეობრივად მოკლეს, ამით იმ იდეალსაც მოკლავენ, რომელსაც იგი მთელს თავის სიცოცხლეში ემსახურებოდა, რომელიც პირველად გარკვეულათ წარმოსთქვა რამდენიმე ათი წლის წინათ. ეს სისტემა მათ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი, — ეს აზრი შეუგნებლად გამოსჭვივის ყოველს მათ პოლიტიკურ ბრძოლაში მათ მოპირდაპირეებთან: მოკალი ზნეობრივად ამა თუ იმ აზრის მატარებელი — აზრიც მოკვდება. ეს მათ მემკვიდრეობით აქვთ ნაანდერძევი და შეთვისებული იმ რეჟიმიდან, რომლის შვილნიც არიან. მართალი იყო ტოკკვილი, როცა ამბობდა: იაკობინელების ფსიქოლოგიური ნა-

კეთი ისეთი იყო, როგორც აბსოლუტისტების, მხოლოდ სხვა სამოსში იყო გამოხვეულიო[13]. მართლაც, ისეთი რეჟიმი, როგორიც რუსეთის ძველი რეჟიმი იყო, ტყვილად არ ჩაიყლის ხალხმე. იგი საუკუნო კვალსა და დაღს ასვამს მისგან აღზრდილებს, თუგინდ მისი სიხლისმსმელებიც იყვნენ ეს აღზრდილები. ძველი რეჟიმი ამბობს: მოკალი ფიზიკურად ამა თუ იმ აზრის მატარებელი, — მოკედება ეს აზრიცაო. დასელებიც ამ გზას ადგიან. მათ გულით სწამთ, რომ თუ ფედერალისტები ჯაშუშად მოსათლეს და ამგვარად ერთგვარი სნეობრივი მკვლელობა მოახდინეს, ფედერალიზმი, როგორც აზრი, დაიღუპება; მათ ჰგონიათ, რომ თუ ფედერალისტების შეთაურები ქურდებად მოსათლეს და პროვოკატორებად, ამით აზრი ფედერალიზმისა მოისპობა. ქურდი და ავაზაკი ყოველ პარტიაში, დასში მოიპოვება, მაგრამ ამით, თუ აზრი წმინდაა და სიცოცხლის მატარებელი, მას არა დაუშავდება რა. იუდამ ქრისტიანობას ვერა დააკლო რა, ის კი არა — ხელი შეუწყო.

ამგვარი სისტემის მიმდევრობა იმათ უფრო ამჩნევიათ, რასაკვირველია, ვისაც გონება დაწლუნგებული აქვს და სნეობრივი ყაყარჯანი შუახე გადატეხილი. და აი, დასელთა შორისაც ეს როლი ერგო ბ. ფ. მ-ს, რომლის ფიზიონომიაც უკვლამ კარგად იცის. — როგორც მტერმა, ისე მოყვარემ. თვით საკვლისა „ცნობის ფურცლის" ხანაში უკვლთესი ვეღარ გამოსახა რა, თუ არ ის, რომ ილია ჭავჭავაძის წინ აიმხედრა. ეს წერილი, რომელიც ამ[14] წლის მაისის „ივერიის" № 18—19-ს[31], აწ უკვე უკანასკნელი იქნება ქართველ ცხოვრებაში, როგორც იუდა ახალი აღთქმის ისტორიაში.

საკმარისია გავიხსენოთ ორი-სამი ადგილი ამ „პწკარლობისა", რომ აშკარად დავიანახოთ, დაეისახოთ, რა გახრწნილებამდე მიიყვანს ჩვენი პრესა იმ ვაებატონებმა, რომელსაც ქვეყანას არწმენებენ — ყოველივე რიგიანობისა და მართებულობის წყარო სწყს ვართო. ილიაო (რასაკვირველია, „თავ. ჭავჭავაძეც" იხსენიებს, რათა უფრო მკაცრად მოიხსენიოს) **„ადგას სისტემატიურად ბუნლობის, ცილისწამების და ჯაშუშობის გზას";**

ილიას „სამწუხაროთ, ჯაშუშობის როლი ზედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული";

ილიამო „გლეხები დააბეზღა, ჯაშუშობა გასწია თავისი ნიეთიერი ინტერესების გულისათვის"[32].

საკმარისია მარტო ამას მივაქციოთ ყურადღება, რომ ბ. ფ. მ. მიკისნიოთ საეროვნო დანაშაულობის რამდენად. როგორ, რა საბუთით, რა მოსაზრებით უწოდა მან საქართველოს უდიდეს პირადობას ამგვარი სახელები. ნუთუ პრესის თავისუფლება ნებას აძლევს ვინმეს — ამგვარად მოექცეს ვისმე, ვინც უსდა იყოს იგი, და მით უფრო ასეთს

დიდებულ პირადობას. დალოცვილებმა ერთი განგაში ასტეხეს, როგორ გაუბედა ილიამ, ამ „კინტომ“„სულით მახინჯმაო“ ბ. ნ. ჟ-ს ცხარე, ჩვეულებრივის კილოთი ბაასი. „პროტესტი“ „პროტესტზე“ აცხვეს და აცხვეს, და შემდეგ კი, როცა ფ. მ-ს უმსგავსო წერილზე მიდგა საქმე, პრესის თავისუფლებას მიმართეს აპელაციით. ანდა ილია კანონს გარეშე იყო უთუოდ დაყენებული, როგორც „დახელოვნებული ჯაშუში“, ხოლო ფ. მ-ს კი, როგორც ჯაშუშების მდევნელს, შეუძლია პრესის თავისუფლებით ისე ისარგებლოს, რომ ქართული პრესა საუკუნოდ ლაფში ამოსვაროს.

ყოველივე ამას თავი დავანებოთ. ყოველ ბრალდებულს, ყოველ დამნაშავეს საბუთს წარუდგენენ მისის დანაშაულობისას, უტყუარ საფუძველს ბრალდებისას. სად არის საბუთი, გვიჩვენეთ, სად არის ის საბუთი, რომელსაც ემყარებიან ბ. ფ. მახარაძე და მისი დამქაშნი, რომელნიც ერთს უდიდებულეს პირადობას ასეთ საზიზღარ ბრალსა სდებენ. საბუთი, საბუთი, ვღაღადებთ ჩვენ! ნაცვლად ამისა გამოურეკიათ ჯარი და აწერინებენ უმსგავსო პროტესტებს, რომელიც ვითომ რასმე ამტკიცებს, ან რასმე უარყოფს, გარდა მათის მომჩმახავის უსუსურობისა. მაგრამ განა იესოს ვინმემ დაუმტკიცა ის დანაშაული, რომელიც „მღვდელთმთავრებმა და მწიგნობრებმა“ თავზე მოახვიეს? ეს ისტორიული ტრაგედიაა:

ამოჩემებული პირადობის შესახებ ათასს უცნაურ რასმე მოჩმახვენ და მერე პასუხს აგებინებენ გააფთრებულის ბრბოის წინაშე.

„გამოვიდა პილატე მათდა გარე და ჰრქუა მათ: რასა შესმენასა მოიღებთ კაცისა ამის ზედა? მიუგეს და ჰრქუეს მას: უკუეთუმცა არა ბოროტის მოქმედი იყო, არამცა მიგეცით შენ ეგე“[36]. — აი საბუთი ბრბოისა.

და აი დიდი დანაშაული, რომელიც მას დააკისრეს — თავი ჰურიათა მეფედ მოაქვსო.

„შენ ხარ მეუფე ჰურიათაჲ?“ ეკითხება პილატე. „ჰრქუა მას იესო: შენ თავით თვისით იტყვი მაგას, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთვის?[37]... მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს“[38].

ასეთია ადათი ისტორიულ ცილისმწამებელთა. რასმე წამოროშვენ და მერე დასასაბუთებლად თავისგან გაბრიყვებულ ბრბოს ააყაყანებენ.

იმ დროში კაცის ჯაშუშად მონათვლა საკმარისი იყო სიკვდილის განჩინების დასადგენად. რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძე საკმაოდ დიდი პირადობა იყო მისთვის, რომ ბ. ფ. მ-ს ერთ სიტყვას ზედ მოჰყოლოდა ამ ბუმბერაზის ასე ბარბაროსულად მოკვლა. დათესილმა ღვარძლმა ნაყოფი გამოიღო და ილია ჭავჭავაძე მოკლეს. აღსრულდა: „ჯვარს ეცვინ, ჯვარს ეცვინ“.

რასაკვირველია, მთელ ქართველობას თავზარი დასცა ამ თითქმის უმაგალითო მკვლელობამ.

ყველას გული დაუსერა, გლოვითა და ზარით აივსო მთელი საქართველო. ვისაც კი გონება ჰქონდა, ყველა მწუხარებით შეიმოსა, ვისაც თვალი ჰქონდა, ცრემლებს ღვრიდა, ვისაც გული ჰქონდა, კვნესოდა.

თავისთავად ცხადი იყო, რომ ყველა თავის თავს, მთელ ერს სთვლიდა დამნაშავედ ამ საშინელ ბოროტმოქმედებაში. თავისთავად ცხადია, რომ ყველას ერთი და იგივე როლი არა ჰქონდა მინიჭებული ამ საეროვნო უბედურებაში, მაგრამ ისეთი მწერალი არ ყოფილა, ისეთი ორატორი არ ყოფილა, რომ მთელს ერს არ ადებდა ამ ცოდვას კისრად[39]. თანდათან ეს აზრი ირკვეოდა. ერთ საბუთსაც ყერ მივნევნებთ მისას, რომ ვისმე ეს რომელიმე პარტიისათვის მოეხვიოს კისერზე. თვით უფრო სასტიკად ცხარე სიტყვა ეკუთნის მაღალნიჭიერ მეცნიერ-სოციოლოგ Baton-ს[40] და მთელი პასაჟი ამ ბრალდებისა მთელ ერს ადებს კისრად ამ საშინელ ბოროტმოქმედებას.

„ვაგლახ, ბედშაო საქართველო!" ამბობს იგი: „ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს ჩვენ ასეთ საქციელს, ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს, ვინ მოვკალით, ვინ დავმარხეთ ჩვენივე ხელით ტყვიით გაგმირული! საქართველოს ერი, ლაჩარი, სნედაცემული, გაბრწყინვალი, უგრძნობელი, რომელმაც მთლად დაკარგა სახე, აი ამ ერმა თვით მოკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უგუანონი და სულელნი დაიტოვა თავისი ცხოვრების წინამძღოლებადაო"*. როგორც ხედავთ, აქ მთელი ერის შესახებაა ლაპარაკი. ამისთანა მომენტში კაცს შეიძლება ბყრი გაცხარებული სიტყვა წარმოსცდეს. ასეთი მომენტები ერის ცხოვრებაში მეტათ ტრაგედიული, მეტად შემზარავია, ფსიხოლოგიური ნორმალის კალაპოტიდგან გამოდის. დღესაც იმ მწარე ხანის მოგონება ტკივნს გიყინავს კაცს. ამისთანა ხანაშიაც კი „ისარმა" დიდი თავდაჭერილობა გამოიჩინა და ბრძოლის სიდინჯით ანგარიში გაუწია საზოგადოებას, რომელიც დამნაშავეს უთითებდა. „გონება გვებნევაო, — ამბობს „ისარი" № 191[41], — როცა გავიფიქრებო, რომ ილია პოლიტიკურს ნიადაგზე არის მოკლული... არა გვჯერა, რომ ასეთ გახრწნილებამდი მიეყვედით. გუშინ მთელი ტფილისი ამას იმეორებდა, მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აქ წინადვე განსრახული, დამზადებული და გადაწყვეტილი მკვლელობა იყოს. ეს თავის ინიციატივით ჩაიდინეს, ალბათ, უმეცარმა, გონება დაბნელებულმა ადამიანებმა, რომელთათვის კაცის მოკვლა არავითარ სიძნელეს არ

* ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გამოცემა „კალამისა", ტფ., 1907 წ., გვ. 182.

შეადგენს, — გადაგვარებულებმა, რომელთაც გამოჩენილი ადამიანის მოკვლა გმირობათაც მიაჩნიათ"*...

არის ერთი წერილი თვით დასელების ორგანო „ჩვენ გზაში", საცა ამის მსგავსი რამეა გამოთქმული და მწარე ნაღვლით აღსავსეა. დიახ, იმ ტრაგედიამ, იმ კატასტროფამ ეს მაშინდელ დროში კედლებგაურღვევლად მიჩნეული ციხე ძალზედ შეანძრია. ბევრი მათგანი ჩაახედა ღრმათ საგანში და ბევრს საბედისწერო კითხვა დაუსვა თვალწინ. ერთ ამგვართაგანს, უთუოდ, ერთი წუთით მაინც ღრმად აღტყინებულთაგანს უნდა ეკუთვნოდეს ის წერილი, რომელიც 1907 წლის „ჩვენი გზის" 4 სექტემბრის ნუმერშია მოქცეული[42]: „ჩვენი დღევანდელი ცხოვრება სავსეა ისეთი ფაქტებით, რომელნიც მწვავე გრძნობებს იწვევენ და მწარეთ აფიქრებენ თითოეულ ჩვენგანს. ასეთი ფაქტია ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობაც... დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თუ იდეიურათ არა, ფაქტიურად მაინც კაცის სიცოცხლემ თითქო ფასი და მნიშვნელობა დაჰკარგა, სამართლიანობამ შურისძიების ხასიათი მიიღო. და აქ გასაკვირიც არაფერია. სადაც საზოგადოება მოკლებულია ცხოვრებისათვის ბრძოლის კულტურულ საშუალებას, იქ აუცილებლათ თავი უნდა იჩინოს და ფესვი გაიდგას სისხლის ღვრამ, შურისძიებამ, ანარქიამ, ძალმომრეობამ, ქურდულათ და ავაზაკურათ მოქმედებამ, მეზობლურმა კინკლაობამ, წვრილმანობამ, ქვემძრომობამ და სხვა ანტისოციალურმა მიდრეკილებებმა და თვისებებმა. ამიტომაცაა, რომ თუმცა დღეს ძლიერ ბევრს ვყვირით და ვღაღადებთ სხვადასხვა უფლებებზე, კანონიერებაზე, სიმართლეპატიოსნებაზე, პიროვნების პატივისცემაზე და ხელშეუხებლობაზე, მაგრამ ყველა კარგად ხედავს, რომ კვლა, შურისძიება და სხვა ასეთგვარი ანტიკულტურული და ანტისოციალური მოვლენები უფრო გარეგნულად გვაღელვებს. **ჩვენ თითქო სრულიად შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ რაც ხდება დღეს ჩვენ გარშემო, მომავალი ცხოვრებისათვის ხელსაყრელი და გამოსადეგია. და აი, სწორეთ ეს გარემოება ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას...** (ხაზი ჩვენია — ავტ.). შესაძლოა, მკვლელობა მოხდა იმ გამწვავებული ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც მძვინვარებს დღეს მთელ რუსეთში მესაკუთრეთა და უმწეოთ დარჩენილთა შორის. ცხადზე-უცხადესია, რომ ბრძოლის ასეთი საშუალება არამცთუ მიზანს ვერ ახწევს, ის რყვნის, აველურებს და ასუსტებს თვით მას, ვინც იბრძვის ასეთი საშუალებით. ამიტომაც, თუ განსვენებულის მკვლელობა აღნიშნულ ნიადაგზე მოხდა, ჩვენ რაღა დაგვრჩენია მის მეტი, რომ კვლავინდებურათ ერთჯერ კიდევ დავგმოთ და სასტიკათ გავკიცხოთ ასეთი ველური მოქმედება... ეს აღმაშფოთებე-

---

*ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გამოცემა „კალამისა", ტფილისი, 1907 წ., გვ. 20—21.

ლი შემთხვევა ერთჯერ კიდევ გვაგონებს, რომ მედგარი ბრძოლა გვმართებს, რათა ახლო მომავალში მოვიპოვოთ საშუალება კულტურული ბრძოლისა და თავიდან ავიცილოთ ბრძოლის ყოველგვარი საშუალებები, რომლებსაც გადაშენებისკენ მივყევართ. უნდა დაუყოვნებლივ დღეიდანვე საჭირო ზომა ვიხმაროთ, რომ ფარდა აეხადოს და ნათელი მოეფინოს იმ კითხვას, თუ ვინ და რისთვის, რა მიზნით მოიმოქმედა ეს მკვლელობა. ამას გვავალებს ჩვენ განსვენებულის წარსული... დასასრული არ უჩანს მის არსებობას (ილიასას), როგორც „კაცია-ადამიანის", „გლახის ნაამბობის", „აჩრდილის", „განდეგილის", „ყაჩაღის", შემოქმედისას!.. **და თუ მისი მკვლელები იმას ფიქრობდენ, რომ განსვენებულთან ერთად ისინი კლავდენ და სპობდენ იმასაც, რაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ნიჭით და მოღვაწეობით შეიტანა ჩვენი საზოგადოების კულტურულ სალაროში,** ჩვენ ზიზღით და ბრისხანებით შევყვირებთ ასეთ მტარვალებს: შორს თქვენი მურტალი ხელი ამ სამკაულისგან. ეს სამკაულიც და მისი შემომქმედიც ილიაც ეკუთვნის საზოგადოებას; ისინი არიან ხელთუქმნელი ძეგლი. ან განშორდით მათ, ანდა მოდით, თუ ეს თქვენთვის კიდევ შესაძლოა, და ისწავლეთ მათგან, რომ შეინანოთ და თქვენც ღირსი გახდეთ კულტურული ცხოვრებისა"*.

ამ გრძელ ციტატში, რომელიც დაწყლულებულის გულისაგან ამოხეთქილია, უფრო ბევრი მწარე სიტყვა გაისმის, ვიდრე „ისარის" რომელიმე წერილში და ბევრი უფრო მწვავე მათრახი არის პირდაპირ გადაკრული. „ჩვენ თითქო სრულიად შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ რაც ხდება დღეს ჩვენ გარშემო, მომავალი ცხოვრებისათვის ხელსაყრელია და გამოსადეგიო". — ცოტას გვიმტკიცებდნენ სხვადასხვა ჰანგზე ბელადები „დასისა", რომ სწორედ ამგვარი მოვლენა, როგორც ილიას სიკვდილია, ნაფოტია, რომელიც ყოველთვის სცვივა, როცა ხესა სჭრიან? „და თუ მისი მკვლელები იმას ფიქრობდენ, რომ განსვენებულთან ერთად ისინი კლავდნენ და სპობდნენ იმასაც, რაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ნიჭით და მოღვაწეობით" შექმნაო, — ეს ხომ პირდაპირი აღნიშვნაა ბ. ფ. მ-ს ტიპის აზრთა მებრძოლისა. კიდევ უფრო დიდად საყურადღებოა და კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ი. ევდოშვილის მწარე სიტყვები და ნაწერები. ი. ევდოშვილი, როგორც ვიცით, დასელთა ჯგუფს ამოუდგა გვერდში იმ ხანებში და მასთან ერთად მოღვაწეობდა. მაგრამ თავზარდამცემმა ამბავმა სული მოუწამლა, და როგორც პოეტმა, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავზე უფრო ნახადა და ღრმადა გრძნობს, სურათი ტრაგედიისა სავსებით შეიგნო. მისი სიტყვა, მისი ნაწერი აღშფოთებული, ამ შემთხვე-

---

*იხ. „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 61—63.

ვაში ყოვლად უტყუარი, ყოვლად შეურყეველი საბუთია, და აი, რასა წერს ის 4 სექტ. „ისარის“ ნუმერში: „ცხოვრების ნაძირალებო! **თქვენ, რომელნიც არ მალავთ თქვენს ღიმილს და სიხარულს** (ხაზი ჩვენია — ავტ.) ავაზაკების მიერ განგმირულს ქართველების დიდი მგოსნის გვამთან, რომელნიც ასე ნასიამოვნები დარჩით მისის სიკვდილით, შეეკითხეთ იქვენს სინდისს: „რა დააშავა ილიამ ისეთი, რომ ის სიკვდილის ღირსი ყოფილიყოს“? აშკარად და ხმამაღლა გამოაქვეყნეთ ეს და არა ქუჩის კუთხეებში ფურჩულით. ნუთუ არ გესმთ, რომ თქვენი ღიმილი ვაშაა ავაზაკებისადმი!..

მერე უფრო საიდამ ისმის ეს სიხარულის ყიჟინა? იქიდან, რომელნიც ყველაზე უფრო მეტად უნდა სწუხდნენ, რომელნიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაკარგულ მგოსნის მაძლიერნი!“[13]

აქ ყოვლად უეჭველი ფაქტია ის, რომ იყო მთელი ჯგუფი, საყურადღებო ჯგუფი, რომელსაც ეს მკვლელობა ახარებდა, და იმდენად, რომ „სიხარულის ყიჟინასაც“ კი სცემდნენ. და ეს ჯგუფი ის ჯგუფი იყო, რომელიც ნორმალურ პირობებში ყველაზე მეტად უნდა შეწუხებულიყო ამ საშინელის, საერო ცოდვის ჩადენით.

ამისთანა ბრალდება არც ერთ დასელების მოპირდაპირეს არ წარმოუთქვამს, და რადგან ეს ეკუთვნის პირადობას, რომელიც დასელებთან უფრო დაახლოებული იყო, — მაშასადამე, რომლის გულწრფელობაშიც ეჭვს ვერავინ შეიტანს, — ეს წერილი საუკეთესო საბუთია ამ ტრაგედიის დედაძარღვის გამოსააშკარავებლად[11].

მე მოგახსენეთ: „ისარის“ ჯგუფი და თვით ის, რომელიც შურისძიების ღმერთსაც კი იწვევდა გამწარებული[15], ამ დიდ დანაშაულს საერო ცოდვად სთვლიდნენ, მთელს ერს აკისრებდნენ ამ ეცნაურ ბოროტმოქმედებას.

და თითქო იმ ანდაზისა არ იყოს — „პილპილი თუ არ გიჭამია, ენა რად გეწვისო“, — ჩვენი „დასელები“ გაუმკლავდნენ ამ გულის სიღრმიდან გადმონახეთქ სინანულს მთელი შეგნებული ქართველობისას, განურჩევლად მიმართულებისა, და დაიწყეს ჯამბაზობა და შალაყზე გადასვლ-გადმოსვლა, ათასგვარი დემაგოგიური სიყალბის მოჩმახვა: ილიას სახელით ბოროტად სარგებლობენ „მონარქისტები“, „პოგრომშჩიკები“, უბრალო ავტონომისტები და ისარისებური „სოციალისტები“, კლასობრივი, პარტიული თუ პირადი ანგარიშის გასასწორებლადო“[16], და სხვა ჩვეულებრივი გულის ასარევად მოსაწყენი ერთი და იგივე ლექსიკონი ფრაზებისა. გავიდა ერთ თვეზე მეტი და დაიძრა ბელადი დასელებისა, რომელმაც, რასაკვირველია, „დასის“ დაცვა იდვა თავს. და უნდა მოგახსენოთ, უტიფარი წერილი დასწერა და თავისი ჩვეულებრივი ჯამბაზობა უმაღლესს წერტილამდი მიიყვანა, თუმც, ჩვენის აზრით, ამ წერილისთვის მას ისტორია

მადლობას არ ეტყვის და ღირსეულ სახელსაც უწოდებს. წერილს „ბნელი ძალები“ ერქვა[47] და, რასაკვირველია, ეს „ბნელი ძალები“ ისინი იყვნენ, ვინც ილიას უბედურება საქართველოს უბედურებად და საშიშარ სიმპტომად მიიღო. ჯერ ერთი, რეაქციას გადააბრალა ილიას მოკვლა: „პარტიზანული გამოსვლა“, ტერორი, პირადი „აჯანყება“ ხდება მაშინ, როცა მასის გამოსვლა იშვიათია, რევოლუცია სუსტია, რეაქცია გამძვინვარებულია და ხალხს სულს უხუთავს... ცხადია, ილიას, როგორც მაგ., გერცენშტეინის მოკვლას, ნიადაგი მოუმზადა არა რევოლუციამ, არა სოციალ-დემოკრატებმა, არამედ რეაქციამო...[48] ამ წილადობილასაც რომ დავეთანხმოთ და დავიჯეროთ, რომ ტერორი მარტო რეაქციის დროს ხდებოდა და რევოლუციის უმწვერვალესს დროში იგი არა ხდებოდაო, ეს მაინც კიდევ არ გვიმტკიცებს იმას, რომ რეაქციას თავისი გავლენა არ მოეხდინოს სოციალ-დემოკრატთა ზოგიერთ ჯგუა და გონება დაბნეულზე, და სწორედ ამ დროს, რაკი პოლიციელების ხელის ხლება საშიშარი იყო, ილიას არ მივარდნოდენ.

მაგრამ იქვე წერილში ნათქვამია, რომ სწორედ რევოლუციის დროს ხდება ექსცესები, იმიტომ, რომ „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც სცვივა“[49]; რომ „დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე[50], მაგრამ ამიტომ თვით რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“. მოყავს ანალოგია ილიასა და ერთი დამსჯელი რაზმის უფროსის ლუჟანოვსკის მოკვლას შორის: 1905-ში გამოჩენილმა რუსის მწერალმა კოროლენკომ „გამოამჟღავნა ლუჟანოვსკის საარაკო მხეცობა და სისასტიკე. მან აიკლო რამდენიმე სოფელი და ამასთან ისეთი სისასტიკე გამოიჩინა, რომ მალიუტა სკურატოვსაც[51] კი გადააჭარბა. ცოტა ხანს შემდეგ ლუჟანოვსკი მოკლეს, რეაქციონურმა პრესამ კოროლენკოს მოახვია ეს მკვლელობა“[52]. ნ. ჟ. ფ. მახარაძეს ექომაგება, — თუ „მოგზაური“ გავამტყუნეთ, ეს პრესის თავისუფლების გაუქმება იქნებაო... ჩვენ გვაბრალებენ: ჩვენი მოღვაწეები „ხალხის პირად მტრათ გამოყავდათ და ბრბოს უსისინებდენ — ჰკა მაგათო, და მარტო ერთი საბუთი მოყავთ ამისი, განსვენებული ილიაო“. (ბ. ნ. ჟ-მ ასეთს ტრაგედიულ წუთშიაც კი ვერ გაიმეტა ილიას სახელისთვის მეტი ეპითეტი: „განსვენებული“, „განსვენებული“, — თითქო განსვენებული ყოველი მოკვდავის, თვით ლუჟანოვსკის შესახებაც არ იხმარება; სიკვდილის შემდეგაც ვერ გამოიმეტა ღვარძლით აღვსილმა გულმა ერთი განსაკუთრებული ეპითეტი ილიასთვის). „ნუთუ ჭკვაში მყოფელ კაცს“ შეუძლიაო ილიას მკვლელობა დაუკავშიროს „მოგზაურის“ ცნობილ მწერალს, როცა „მოგზაურის“ წერილსა და ილიას მკვლელობას შორის რამდენიმე წელიწადი გავიდაო“[53]. თუ დაუკვირდებით ამ წერილს,

ნახავთ, რომ ბ. ნ. ჟ. სცდილობს ილიას ვერაგულად მოკვლა ახსნას და სრულიადაც არა სცდილობს გამოარკვიოს -- რა ნიადაგზე მოხდა და რაგვარი სიმპტომია ეს მოკლენა ჩვენის ერის ცხოვრებაში: „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც სცვივაო". ბატონო, და თუ ილია ნაფოტია, რაღა უნდა იყოს ბ. ნ. ჟ. და კიდევ მეტი, -- ბ. ფ. მახარაძე?

გარდა ამისა ილიას მოკვლა არ გახლდათ ნაფოტისცვენა. ეს დიდი ისტორიული მოკლენა იყო, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ. ამას კი ყოველთვის გაურბოდნენ დასელები მათი ბელადითურთ. და ყოველად შეუწყნარებელი მათ მოქმედებაში ის არის, რომ აბუჩად იგდებდნენ ამ მოვლენას და სასაცილოდ არ ყოფნიდათ ის, ვინც ამას სერიოზულად უცქეროდა. „რა ვუყოთ მერე, ლავუაზიეც მოკლეს", „ჩეს სჭრიან, ნაფოტი სცვივა", „რა ვუყოთ მერე, გერცენშტეინიც მოკლეს, მაგრამ ამისთვის რევოლუციას არავინ გმობსო".

ნამდვილი მალაყია ასეთი პასუხი: სად რევოლუციის გმობა და სად ილია ჭავჭავაძის მოკვლა? დიადი ხალხის მოძრაობის გმობა ერთსაც არ წამოსცდენია, და თუ უსათუოდ ერთ სასწორზე უნდა იქნეს დასმული ხალხის განახლების ეპოქა და ილია ჭავჭავაძის სიკვდილი, უთუოდ ყველა დასელებისგან ყბადამოღებული „ბურჟუაფეოდალები" თაძაძად იტყვიან, რომ, მიუხედავად ასეთი საეროვნო უბედურებისა, იგი მოძრაობა მიუცილებელი იყო ხალხის, თვით ჩვენი ერის ცხოვრების გასაახლებლად და ასაღორძინებლად, მაგრამ თანაც ყოველი ჭკუათამყოფელი კაცი იტყვის, რომ რევოლუცია ეს მთელი საზოგადოების შეშარყეველი მოვლენაა და მის დროს გამოიცნობა მრავალი სენი დაავადმყოფებულის ორგანიზმისა. ამ საშინელმა კატასტროფამაც გვაჩვენა ის, რაც აღიარა ერთმა ავტორმა თვით დასელების გაზეთ „ჩვენ გზაში" იმავე წელიწადს[54]: ჩვენი შკულტურობაა ესა, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენ გადაშენების გზაზე ვდგავართ. საეროვნო იდეალების უარყოფამ, რომელმაც ფანატიკური ხასიათი მიიღო, უცნაური შედეგი იქონია და ეროვნულის გენიოსის მოსპობით დასრულდა. ამგვარი ატმოსფეროს შექმნას ხელს უწყობდნენ განსაკუთრებით „მოგზაური" და მისი ჯგუფი, მათი ბელადი, აწ ჩვენს ისტორიაში დაუვიწყარი იუდა ფილიპე მახარაძე.

რა შესადარებელია ლავუაზიესა და ილიას სიკვდილი? ლავუაზიე მეცნიერი იყო, რომლის ღვაწლიც ორიოდე კაცმა თუ იცოდა; ლავუაზიე გაასამართლეს, -- რა ფორმითაც უნდა ყოფილიყო ეს გასამართლება, -- ილია კი, ეს დიდებული მწერალი, „გლახის ნაამბობის" ავტორი, პირველი მოციქული ჩვენში კლასთა ბრძოლისა, როგორც აღიარა თვით ერთმა დასელმა (ბ. კარლო ჩხეიძემ) ილიას ცხედრის წინაშე[55], მოკლეს ჩუმად, ავაზაკურად, ყოველივე გასამართლების გარეშე.

აბა, ჯაშბაზის მეტი იკადრებს ილიასა და ლუკანოვსკის სიკვდილის შედარებას? ჯაშბაზობის გარდა, აქ — „დასცლების“ ტერმინოლოგია და მათი საკვარელი ლექსიკონი რომ ვიხმაროთ, პროვოკაციაც გახლავთ. აბა, რა უნდა ვსთქვათ, რომ სავსებით დავამსჯავრიოთ ეს შედარება? შეგვიძლია კოროლენკოს მოქალაქეობრივი მოქმედება შევადაროთ ფ. მახარაძის გაბოროტებულ სიგიჟეს? შესაძლებელია შეადაროს კაცმა რაიმე მხრით მკვლელი ლუკანოვსკისა და ილიასი? ეს ჩვეულებრივი ხრიკია დასცლათა ბელადის, რომ იმგვარი შედარებები მოიყვანოს, რომ ძალაუნებურად პირში ბურთი ჩაგჩრას. ვერ იტყვი პასუხს, იმიტომ, რომ ეს ყოველად მოუხერხებელია ღღევანდელი ცენზურის პირობებში, და თვით ასეთი ანალოგიის გატარება ილიასა და ლუკანოვსკის, ფ. მახარაძესა და კოროლენკოს შუა და ილიას მკვლელებსა და ლუკანოვსკის მკვლელს შუა, არის შეურაცხყოფა ილიასი, კიდეც ერთი სილა, კიდეც ერთი „ჰსერწყიდეს პირსა მისსა“, რომელსაც არა სტოვებენ არაოდეს დასცლთა სულისჩამდგმელნი[56].

ამგვარად ბ. ნ. ჟ-ს წერილმა ვერაფერი ვერ ახსნა და ვერ გაამართლა, ღობე-ყორეს მოედვა და ისეთ მაგალითებს მოჰკიდა ხელი, რომელთაც ილიას მკვლელობასთან საერთო არა აქვთ რა.

დასცლებმა კი განგაში მორთეს, კაცმა არ იცის რისთვის: არ გაბედოთ და ილიას მკვლელობა საეროვნო დანაშაულად არ ჩასთვალოთ, რა ვუყოთ — „ხე იჭრება, ნაფოტი სცვივა“, თქვენ დემაგოგიურ ხერხად გინდათ გამოიყენოთ ეს სიკვდილი და პარტიას დააბრალოთ. ერთ კაცს კი არ უთქვამს, არც უკისრია, რომ ამას პარტიას ვაბრალებთო.

თვით უსასტიკესი ბრალდება, რომელიც იყო წარმოყენებული, ეკუთვნის ბ. მ. ად-ლის და დასტამბული იყო „ისრის“ № 222-ში: **„სოც.-დემოკრატიულ პარტიას, როგორც ერთეულს, ილიას სიკვდილში ბრალი არ უდევს.** ჩვენ ვამბობდით, და ახლა უფრო **მკაფიოდ ვიმეორებთ, რომ სოც.-დემ. ბელადებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა** ისეთი **ფსიხიური ატმოსფერა შეჰქმნეს** ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომ **ერთი ნაწილი სოც.-დემოკრატიისა ხმამაღლა და გულწრფელათ თანაუგრძნობდა ილიას მოკვლას, მეორე ნაწილი გულგრილათ დაუხვდა მას და მხოლოდ უმცირესობა, სულ რამდენიმე კაცი, აღაშფოთა ამ საზიზღრობამ**“[57].

თავის დღეში კაცს არ შეეძლო ეთქვა ან წარმოედგინა, რომ დასცლებმა, მთელმა პარტიამ მოკლა ილია. პარტიასა ჰყავს თავის ორგანოები, წარმომადგენლები, ბოლოს — მთელი პარტიის რეფერენდუმი. უეჭველია, რომ არც ერთი ეს საფეხური ილიას მოკვლის საკითხს ოფიციალურად არ გაუკვლია და არსად ეს საკითხი გადაწყვეტილი არ

ყოფილა. შესაძლებელია, და მრავალი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პარტიის მთავარ კომიტეტს, რომ მოენდომებინა, ეს საქმე არ მოხდებოდა: მას რომ თავისი ავტორიტეტულის კილოთი ებრძანებინა, ილიას ხელს ვინც ახლებს, მას ჩვენთან ექნება საქმეო, ეს საქმე არ მოხდებოდა, უეჭველია. ჩვენი ერი ამ საშვილიშვილო ცოდვიდან თავისუფალი იქნებოდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მას, რომ მთელი პარტია ვისმე დამნაშავედ მიაჩნდეს, ხოლო ისეთი დანაშაული კი როგორც მთავარ კომიტეტს ყველას ჩვენ მიგვიძღვის. საკმაო იყო, რომელიმე ჯგუფს ხმა ამოეღო და ეთქვა, ილიას ხელი არ შეახოთ, თვარა ჩვენთან გექნებათ საქმეო, ამას ვერავინ გაბედავდა; ხოლო მთავარ კომიტეტს იმით უფრო მეტი ბრალი ედება, რომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისი წევრების ყურამდი უნდა მიეღწია ამბავს იმისას, რომ ილიას უპირებენ მოკვლას. ილიას მოკვლა სისტემატურად მზადდებოდა ორი წლის განმავლობაში: ჯერ ხომ მოუკლეს მოურავი[58]. უკვე ეს იყო, ასე ვსთქვათ, პირველი გაფრთხილება, პირველი სიგნალი. იმ პარტიას, რომელიც ქვეყნის მოვლა-პატრონობის უნარს მარტო იჩემებს, მარტო თავის თავს რაცხს ამ როლის ღირსად, უნდა გამოეჩინა საკმაო წინდახედულება და საშიში სიმპტომისთვის ყურადღება მიექცია... მაგრამ ეს არ ამართლებს სხვა ჯგუფთა შორსმჭვრეტელობას, მათ ერთგულებას ილიასადმი. მათ უფრო უნდა ეგრძნოთ მომავალი უბედურება და გაბედულად მიეღოთ ილია თავის მფარველობაში. აქ დაუდევრობაა, დაუდევრობა, რომელიც ბოროტმოქმედების განუყრელი თანამოზიარეა.

ატმოსფერო შექმნეს ბელადებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა, ატმოსფერო საბედისწერო. ეს დაურღვეველი ჭეშმარიტებაა.

ვინ დასწვა ილიას ნაწარმოებები თფილისსა და ბათუმში საჯაროდ, ვინ ჩაიდინა ეს უსაშინელესი ბარბაროსობა?

არა კმარა ეს საბუთად იმისა, რომ არათუ ატმოსფერო, ზნეობრივად უკვე მოკლეს ილია მოქმედებით? ილიას თხზულებათაგან დასტამბულია მხოლოდ მისი პოეტური ნაწარმოებნი[59], ის, რომლის შესახებაც ერთი კრინტის დაბერვაც არ შეუძლია ფ. მახარაძის მეტს არც ერთ გიჟს, და მაშასადამე, თუკი ეს მოიმოქმედეს, უკვე არ ჩაიდინეს თვით უსაშინელესი მკვლელობა, ვინაიდან კოცონი აღუგეს მის სულის განძს, მის სულიერ დიდებას?!

ატმოსფერო შექმნა ფ. მახარაძემ და მისმა ამყოლმა, როცა ილია მონათლეს „სისტემატიურ ჯაშუშათ, რომელსაც ჯაშუშობა ზედმიწევნით აქვს შესწავლილი".

რომ ერთი ჯგუფი სოციალ-დემოკრატებისა ხმამაღლა აცხადებდა თანაგრძნობას ილიას მოკვლისას, ამის უტყუარი საბუთები ხელში გვიჭირავს. ყველაზე საყურადღებო კი ი. ევდოშვილის ზემოხსენე-

ბული წერილია; გარდა ამისა სისტემატური განდეგილობა დასელე-ბის სხვადასხვა ჯგუფის, სისტემატური შეურყევლობა თვით ამ სა-შინელი ტრაგედიის დროს დაეიწყებინათ თავისი გაბოროტება: მთელი რიგი დასელი მუშებისა, სტუდენტებისა, სხვადასხვა დარგის მოსამსახურეებისა არ ესწრება ილიას დასაფლავებას[60]; დეპეშები ხაზის გასწვრივ იწერება: „ყვირილის ქართველ მუშათა ჯგუფი", „მე-ტეხის ციხის პატიმართა ერთი ნაწილი", „ქუთაისის ექიმთა ჯგუფი" და სხვ. აწერია დეპეშებს, — ჩანს, პირდაპირ მოსთხოვს ამ ჯგუფს აღენიშნათ, რომ არა ყველა აგზავნის სამძიმრის დეპეშას[61].

ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტობიდან მთელმა ჯგუფმა, თითქმის 27 დასელმა სტუდენტმა უარი განაცხადა:

„მწუხარებას ვერ გამოვსთქვამთ ილიას მოკვლის გამო, ვინაიდან ეგ რეაქციონური აქტი იყოო" და სხვა[62].

მაშასადამე ყოველივე ბრალდება საკუთრივ დამტკიცებული იყო. მთელ პარტიას არავინ არაფერს აბრალებდა. ერთ ნაწილს რასაც აბ-რალებდნენ, — ყოველივე შეურყევლად დამტკიცებულია. ეს ნაწილი სცდილობს, — ის, რასაც მას აბრალიან, მთელ პარტიაზე გადაიტა-ნოს და ჩაითრიოს ამ საქმეში ყველანი: „სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილსა ჩვენთა სედაო", გაჰკვირიან.

...1905-ში ფილიპე მახარაძემ სასტიკ ჯაშუშად გამოაცხადა უდიდებულესი მწერალი საქართველოსი[63]. კაცს არ ესმის, ვერც გაი-გებს, რას ერჩოდა ილიას, როცა იგი თითქმის უკვე აღარავითარ მო-ნაწილეობას არ ღებულობდა იმ დროის გაცხარებულ ბრძოლაში[64]. მაგრამ გიჟის, დეგენერატის მოქმედებას არაოდეს არ აქვს ლოგიკუ-რი საფუძველი. იმ დროში კაცის ჯაშუშად გამოცხადება — განჩინე-ბა იყო სიკვდილით დასჯისა-შესახ. მოგახსენებდით. ბ. ნ. ჟ-ს უკ-ვირს, როგორ შეიძლება ფ. მახარაძის წერილს დაუკავშიროთ ილიას სიკვდილი, როცა ამ ორ ფაქტს შორის რამდენიმე წელიწადი გავი-დაო? აი, კიდევ ერთი ნიმუში ჯაშბაზობისა ეს „რამდენიმე წელიწა-დია". რა „რამდენიმე წელიწადი?" — სულ ორი წელიწადი გახლავსთ. შერე გულუბრყვილო მკითხველს ეგონება, იმნაირი გაკეირვებით ლა-პარაკობს ბ. ნ. ჟ., თითქო ფ. მახარაძის წერილი ილიას მოკვლის შემ-დეგ იყოს დასტამბული; ანადა იქნებ ბ. ნ. ჟ. ფიქრობს, რომ ორი წე-ლიწადი დიდი ხანია ისეთი „ნაფიტის" ჩამოჩეხისთვის, როგორც ილია იყო. რაც უნდა ნაძირალები ყოფილიყვნენ მისი ფიზიკური მკვლელები, მაინც ორი წელიწადი კიდევ ცოტა დროა მათ გამოსაძებ-ნელად და მათ დასაჯერებლად. სემოთ არ მოგახსენეთ, ეს მკვლელო-ბა სისტემატურად მზადდებოდა და როცა დარწმუნდნენ, „მოგზაუ-რის" სახიზარ ცილისწამებისა და შემდეგ მოურავის მოკვლის გა-მო, რომ ილიას კაცი-მეგობარი არ გამოუჩნდა — ამ სიმპტომატურ

მოვლენის, ამ „პირველი გაფრთხილებისთვის“ პასუხი გაეცა, მერე მასაც სწვდნენ და „აღასრულეს“. ასე რომ, აქ ეს მოსაზრება რა მოსატანია, ან რა საფუძველია? ასეთი ლაყბობა მარტო წყალწაღებულის ხავსია.

გავიდა კიდევ ხუთი წელიწადი და 1913 წლის მაისში კვლავ აყაყანდა საქართველოს ბოროტი სული, ფილიპე მახარაძე კვლავ სწვდა ილიას, საფლავიდან ამოიღო და... საოცარი გამბედაობა გამოიჩინა: მთელს თუ არა, თითქმის მთელ პარტიას იგი გააროზგვინა: წამოვიდა „პროტესტები“ „პროტესტებზე,“ სადაც პროტესტანტები ურცხვად გაიძახიან: „ღრმა თანაგრძნობას“; „გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ ფ. მახარაძეს“, „უანგარო მოღვაწეს“; „ჩვენ ვართ მისი თანამოაზრენი“; „მადლობა ფ. მახარაძეს, რომლის შემწეობითაც თვალები აგვეხილაო“; „ჩვენ ვართ ფ. მახარაძის კომპანიაო“; „ჩვენ დაურღვევლათ მიგვაჩნია ჟურნალ „მოგზაურში“ განსვენებული ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი“; „ჩვენი თანაგრძნობა ცილისმწამებლებისგან თავხედურათ ათვალისწუნებულ ფ. მახარაძისკენააო“; „ნებას არავის მივცემთ ფეხქვეშ გასთელონ ისეთი პიროვნება, რომელიც დარაჯათ უდგას კაცობრიობის კეთილს მისწრაფებას“ (რასაკვირველია, ასეთი როლი, „პროტესტანტების“ აზრით, მარტო დეგენერატ ფ. მახარაძეს ეკუთვნის); „ჩვენ თავიდანვე თვალყურს ვადევნებდით ჟურნალ-გაზეთებს და ვეცნობოდით ი. ჭავჭავაძის გარშემო ატეხილ დავას, მაგრამ დღემდის არავის დაურღვევია ის ბრალდებები, რომელიც ფ. მახარაძემ და „მოგზაურის“ კორესპონდენტმა[65] წამოაყენა განსვენებულის წანააღმდეგო“[66]; — ე. ი. ყველა ეს ვალეხნიკოვები, მაროზოვები, გრიმთელოვები, არმენაკ ამბარდაროვები, კეშეშოვები, ტატალოვები, პარამუზოვები, როკვითარკოვები, ჩილინგაროვები, მარია ვიჩურკინა, მანია № (ესეც გვარია), მარო კლაცმანი[67] და სხვანი მრავალნი, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, სქესისა, ხნისა, ჯკუისა, სინდისისა და გონებისა, ადასტურებენ, რომ დიდი მოძღვარი ახალი საქართველოისა, ილია ჭავჭავაძე, იყო **„უსასტიკესი ჯაშუში, რომელსაც ჯაშუშის ხელობა ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი“**. და სულ რამდენიმე დღეა მას აქეთ, სომეხთა „მემარცხენე“ გაზეთმაც კვერი დაუკრა თავის თანამოაზრე ფ. მახარაძეს და საქვეყნოდ განაცხადა: **„ილია ჭავჭავაძე ასრულებდა სამარცხვინო როლს ჯაშუშობისასაო“**.

ამგვარად, ბ. ფ. მახარაძემ, საზიზღარს საეროვნო ბოროტმოქმედებაში, რომელიც აღასრულა, თითქმის მთელი პარტია ჩაითრია და მთელს „პროტესტანტთა“ ჯგუფს საუკუნო ჩირქი მოსცხო. თუ აქამდე ვისმე რაიმე ეჭვი ჰქონდა, თუ კიდევ ვისმე რაიმე ურწმუნოების აჩრდილი მოევლინებოდა იმ სასიზღვარი როლის შესახებ, რომელიც

ფ. მახარაძემ წიწამურის ტრაგედიაში ითამაშა, თუ კიდევ ვისმე ეგონა, რომ ფ. მახარაძესა და მის კომპანიას იუდას როლი არ უკისრებია, — დღეს ეს აღარ არსებობს. კაცმა რომ სთქვას, იუდას ვერც კი შევადარებთ ფ. მახარაძეს; იუდამ შეიგნო რა, რომ „მისცა სისხლი მართალი,.. დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილ-იბა“ (თავი ჩამოიხრჩო)[68].

ადამიანმა, რომელმაც მოახერხა დატანჯულის, მოკლულის, განაწამების დიდებულის მგოსნის ნეშტის გამათრახება, რომელმაც „მახვილებითა“ და „წათებითა“ აღჭურვა ამდენი ხალხი ჯვარცმულის მოძღვრის შესაგინებლად, ამ ადამიანს შეეძლო ყოველიფერი ჩაედინა, იმისა და მისი ნამდვილი „კომპანიის“ საქმეა საეროვნო ბოროტმოქმედება. რასაკვირველია, ჩვენ დღეს, როცა ფორმალური საბუთი ხელში გვიჭირავს, რომელზეც ხელი უწერია რამდენიმე ას და ათას კაცს, ჩვენ შეგვეძლო მთელის პარტიის შესახებ გველაპარაკა. მაგრამ რაც არ უნდა შემოგვიტიონ „პროტესტანტებმა“, რომ იგინი შეგნებულნი არიან, რომ თვალყურს ადევნებდენ საქმეს და ყოველნაირად დაგვარწმუნონ, რომ იგინი სრულს ჭკუაზე არიან, როცა ასეთ „პროტესტებს“ ხელს აწერენ, ჩვენ იგინი მაინც ბრმა იარაღად მიგვაჩნია მახინჯის სულისა, ეშმაკეულისა. მათ ან არ იციან, რას აწერენ ხელს, ან თუ იციან, ცრუ წინასწარმეტყველს უჯერიან და „მცირენი ამათგანი დაბრკოლებულ“[69] არიან მისგან. რაც არ უნდა შემოგვფიცონ, არ დავიჯერებთ, რომ ამდენ ხალხს სწამდეს, რომ საქართველოს ტანჯულის სულის მოციქული „სისტემატურად ჯაშუშობის გზას ადგა“, რომ მათ საქართველოს ერის გენიოსობის სამკაული „ჯაშუშად“ მიაჩნდეთ, და ისინი კი ამას ამტკიცებენ თავისის პროტესტით*. და ეს დასკვნა ჩვენი გამოყვანილი ხომ არ არის, ფ. მახარაძის და კომპანიის მეგობრის სომხური გაზეთის დასკვნაა, ამ „პროტესტებზე“ დამყარებული: ილიაო, გვიბრძანებს ეს გაზეთი, ასრულებდა სამარცხვინო როლს ჯაშუშისას, ამის დამამტკიცებელი საბუთი ქართველ მემარცხენეებს აქვთო, და სომხები ხომ მემარცხენეებად მარტო ესდეკებსა სთვლიან.

თუკი ამდენ კაცს ასეთ სამარცხვინო საბუთებზე აწერინებენ ხელს ფილიპე მახარაძე და მისი დამქაშები დღეს, როცა ცოტა არ იყოს გამოფხიზლების ხანაა, რას არ იზამდა სულით მახინჯი ადამიანი იმ დროში, როცა სრულიად დარღვეული იყო სულის მშვიდობა და საკმარისი იყო ვისმე წამოსცდენოდა ამა თუ იმ პირის შესახებ „ჯაშუში“, რომ ცივი ტყვია მისთვის გამზადებული იქნებოდა.

---

* თუ დაუკვირდებით „პროტესტებს“, ნახავთ, რომ „პროტესტანტები“ ყოველ ღონეს ხმარობენ, ილია აბუჩად აიგდონ, ბ. ნ. „ჟორდანიასი არ იყოს, ეპითეტი „განსვენებულის“ მეტი ვერა მოუნახავს რა დიდ უმეტესობას ილიასათვის.

ასეთი ლაიაიებით კი, როგორსაც ვიღაც „გულუბრყვილო“ „მადელენი“ გვიძღერის დასელების ორგანოში („თანამედროვე ქვეყანა“ № 32), ბავშვების მოტყუებაც კი არ შეიძლება: **„რაფერ შეიძლებოდა, რომ პარტიას, რომელიც გადაჭრით უარყოფს მემამულეებსა და კაპიტალისტებთან ტერორისტული აქტებით გამკლავებას, შეექმნა ატმოსფერა და მოეშზადებია ნიადაგი ილია ჭავჭავაძის მოსაკლავათ“**[70]. ამ სიტყვებს თვით ავტორი ხაზსაც კი უსვამს. რა საბუთია ეს, თუ არა ერთგვარი პროვოკაციე. თუ მოვახსენეთ „მადელენს“, რომ მიუხედავად თეორიისა, პრაქტიკაში მრავალი მემამულეები და კაპიტალისტები გამოასალმა ამ პარტიამ წუთისოფელსთქო[71], მაშინვე შეიქნება ყიჟინა ჯაშუშობის შესახებ, თუ არადა ამგვარი წილადობილათი მარტო მარია ვიჩურკინა და მარო კლაცმანი თუ გაებმება მახეში, თვარა არა ჭკუათამყოფი ადამიანი. „მადელენის“ და მისი ამქრებისთვის მიგვინდეია იმის გამოკვლევა, რას მოქმედებდა „პარტია“ ამ ნიადაგზე და ვსთქვათ, რომ „მადელენი“ არ ცუღლუტობდეს ამ შეკითხვით და მაროლაც დავუჯეროთ, რომ „პარტიას“ არც ერთი მემამულისთვის ხელი არ უხლია, — ბ. მახარაძე ილიას მარტო სასტიკ მემამულედ ხომ არ სახავს, იგი მას **სასტიკ ჯაშუშად** აცხადებდა თავის „უკვდავ“ წერილებში, — **„ჯაშუშად, რომელსაც ზედმიწევნით აქვს თავისი როლი შესწავლილი“**, — ამგვარ „მოღვაწეებს“ კი იმ დროში, დარწმუნებული ვართ, „პარტია“ არ დაინდობდა და სიბრალულით არ მოეკიდებოდა. ამას ველარც „მადელენი“ ყოფს უარს. თუ დააკვირდებით დასელების წერილებსა და პროტესტებს, ნათლად არის ერთი ა'სრი გატარებული: ფ. მახარაძის ბრალდება ილიას შესახებ ვერავინ დაარღვია, იგი თავიდან ბოლომდე სიმართლეაო... გაუმარჯოს ფ. მახარაძისთანა „უანგარო“ მოღვაწესაო. თუ ფ. მახარაძის ბრალდება ილიას შესახებ შეურყეველია, თუ ილია მართლა „ჯაშუში“ იყო, მაშასადამე, მისი მკვლაც გასამართლებელია დიდის უმრავლესობის თვალში. ცოტა მოიძებნება ჩვენში კი არა, უფრო განათლებულსა და დაწყნარებულ ქვეყნებშიაც, რომ ასეთ მკვლელობას თუ მოწონებით, მოთმინებით მაინც არ შეხედოს. სასაცილოა, სამწუხაროც რომ არ იყოს ის ხმაღში გაწვევა, რომელსაც დასელები ეწევიან ახლა: თქვენ არ გინდათ, თორემ ჩვენ ყოველთვის გვინდოდა ილიას მკვლელები აღმოგვეჩინაო, თუ ასეთი სურვილი ჰქონდათ, დასელებს ყოველთვის შეეძლოთ ეს მოეხდინათ, მით უფრო იმ დროში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა მაგათ ერთგულ ქვეშევდომად მიაჩნდათ. რა საჭირო იყო აქ ფედერალისტების დახმარება? სწორედ ფედერალისტების ჯიბრზე უნდა მოეხდინათ ეს გამოძიება.

მაგრამ „გამოძიება“ სიტყვის მასალად იყო ნახმარი, ხოლო იმ დროებში კი ხდებოდა სულ სხვა ფაქტები. „ვიღაც“, რომელიღაც

ძლიერი ორგანიზაცია სცდილობდა კვალის წაშლას: ერთ-ერთი მკვლელის, აფციაურის მეტეხის ციხიდან გათავისუფლება ისეთ პირობებში მოხდა[72], რომ უეჭველი იყო, დიდად დაინტერესებული ჯგუფი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ასეთს ჯგუფს შეეძლო ასეთის აურზაურის მოხდენა. დღეს კი ყოველივე ამგვარი გამოძიება კომიკურის ხასიათის იქნება,.. თუ არ ვიქონიებთ იმედს, რომ ჩვენი იუდაც ერთ დროს იტყვის ისტორიულ სიტყვებს: „ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალიო“[73] და თვით თავის თავს არ მიაყენებს ისეთსავე სასჯელს, რის ღირსადაც დაინახავს თავს.

ფედერალისტებს ძალიან გულით რომ მოეწადინებინათ იმ დროში ამ საქმის გამოკვლევა, შეუძლებელი იყო. გამოძიებაში უსათუოდ ჩაერეოდნენ მთავრობის წარმომადგენლები და შესაძლებელი იყო ბევრი ბრმა იარაღი სახრჩობელაზე აეყვანათ. ფედერალისტების სურვილს კი შურისძიება არ შეადგენდა. ფედერალისტები, პირიქით, ყოველ ღონესა სდებდნენ, რომ მთავრობას შეეწყნარებია ფიზიკური მკვლელები, რადგან სწამდათ, რომ იგინი უდანაშაულო არიან, ვითა შეცდომაში შეყვანილი, უდანაშაულო მსხვერპლი ფანატიკურის წამქეზებელისა. სხვას გარდა, სიმართლის გამოსარკვევად ერთადერთი საშუალება ეს იყო, რომ მკვლელები, ადრე თუ გვიან, გვამცნებდნენ — ვინ, ან რამ ჩაადენინათ მათ საეროვნო დანაშაული. იგი აფციაური უკვე სინანულში იყო აკი ჩავარდნილი. მაგრამ აფციაური დიდის ზარითა და ზეიმით გაათავისუფლეს, მერე აკი „ვიღაცამ“ მოკლა[74], „ვიღაც“ ბოროტმა ხელმა მისოვის შეკრა გზა სინანულისა, და ძალით მოგვიჭრა საშუალება სიმართლის აღმოჩენისა.

და ახლა გვეპატიჟებიან — სიმართლე გამოვიკვლიოთო!

სიმართლე გამოკვლეულია: რაც ნებავს ბ. ფ. მახარაძეს და მის ქეშიკებს, იმას ჩაადენინებენ რამდენიმე ასსა და ათასს კაცს, თუგინდ ისეთ საშინელებასაც კი, რომ განაწამებ ადამიანს, „რათა არა დაადგრეს გვამი მისი ჯვარსა ზედა“, წვივთა გაატეხინებს და ჯვარზე სისხლიანის ხელით დააწერინებს: აჰა კაცი, რომელიც „ასრულებდა სამარცხვინო როლს ჯაშუშობისასაო“. მეტად ტრაგიკომედიულ შთაბეჭდილებას ახდენს „პროტესტანტთა“ მუქარა, ლანძღვა-გინება მოწინააღმდეგებისა: „სასტიკი პასუხი მოგეთხოვებათ, საცა არის გათენდება, და მაშინ ვაი, მისი ბრალი, ვინც საზიზღარი ცილისწამება სთესა“, — გვეუბნება ერთი[75], „დგება დრო, როცა მოგთხოვთ უკანასკნელ პასუხსაო“, — გვეუბნება მეორე[76], არა ერთი და ორია, რომელიც გვიმასპინძლდება „ამ განახლების გარიჟრაჟზე“ „უდიდესი გულისწყრომითა და უღრმესი ზიზღით“[77]... გვწამს, ბატონებო, და თქვენი დაპირებაც არ გვინდა. მან, ვინც ილიას მკვლელობას ნიადაგი მოუმზადა, ვინც იგი საფლაშიაც კი არ დააყენა და მკვდარი

ამოიღო და გააძათრახა, მისთვის არ არსებობს საზღვარი სისაძაგლისა და სიბოროტისა, მაგრამ გეშინოდეთ ხალხის გულისწყრომისა და იცოდეთ — მაგისთანა ექსპერიმენტებს აწ არავინ დაგანებებთო.

თქვენი სიდუხჭირეც ის იყო, და ჩვენი უბედურებაც, რომ „განახლების გარიჟრაჟზე", განთიადის დროს, მრავალი ენერგია და ძალა მიალიეთ მას, რომ გედევნათ უდიდესი ქართველი მეცხრამეტე საუკუნისა, ლაფში ამოგესვარათ წმინდა იდეალი ქართველი ერის თვითარსებობისა და ყველანაირი, საზიზღარი ცილისწამებით მოპერობდით იმ პარტიას, რომელიც ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესს იცავდა. თქვენი სისულელე იქამდე მივიდა, რომ იმ პარტიას, რომელმაც არა ერთი და ორი წვეთი სისხლი დაანთხია საუკეთესო მომავლისთვის ბრძოლაში, პირში ბერთი ჩასჩარეთ „განახლების გარიჟრაჟზე" და როცა „თქვენებური" დიქტატურა გამოაცხადეთ, ჩუმად პროკლამაციის დასტამბვაც ვეღარ მოახერხეს თვით უკიდურესმა პარტიებმა. მაგრამ ამგვარი მოქმედება უთხრის სამარეს თავისუფლებისათვის ბრძოლას და არა შველის მას, ეს აბნელებს ხალხის გონებას, მის გათვითცნობიერებას აფერხებს და არ აადვილებს მას.

ამ „პროტესტებმა" კი სრულიად დაადასტურეს ის, რასაც ყოველთვის ამბობდა „სახალხო გაზეთი", „იმერეთი"[7] და სხვა მათი მიმართულების ორგანოები.

და გამეორდა ტრაგედია ჯვარცმულისა. ყოველი როლი ამ ტრაგედიისა დანაწილებული იყო, ყოველ როლს თავისი აღმსრულებელი გამოუნდა: გამოჩნდა იუდა — ბევრად უარესი უწინდელზე, გამოჩნდენ მღვდელთმთავრები და მწიგნობრები, პილატე და ყველა სტატისტი თაეზარდამცემი სცენის დასამშვენებლად. ბევრს უნახავს, უთუოდ, ცნობილ მხატვრის მუნკაჩის შესანიშნავი სურათი — „ქრისტე პილატეს წინაშე": ქრისტე ხელგაბაწრული, ღვთაებრივი სიმშვიდით დგას პილატეს სამსჯავროს წინაშე. მის უკან დგას ერთი ებრაელი, სახეზე სიტუტუცისა და სიბრიყვის წარუხორცელი ბეჭედი აზის, ხელები მაღლა აუწევია, ყბა დაუღია, რაც ძალი და ღონე აქვს გაჰყვირის — თქვენ გრძნობთ ამას, საკრამენტალურს: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!" და თქვენ ხედავთ, რომ მას არც კი ესმის უგნურება ამგვარის ყვირილისა: ნამღვილი გენიოსური სურათია ჩვენი „პროტესტანტებისა".

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და დღევანდელ „პროტესტებს" შემდეგ უფრო თამამად ვიმეორებთ:

1. იღიას მოკვლისათვის ნიადაგი მოამზადა „მოგზაურმა" და მისმა ჯგუფმა ფ. მახარაძის მეთაურობით.

2. დღევანდელი „პროტესტები" ეჭვს აღგვიძრავს, რომ ფ. მახარაძესა და „კომპ." დიდი წილი უდევს საერო დანაშაულში, ყოველ შემ-

ოხვიცაში, მათ უნდა სცოლნოღაო იგი: თუკი ექვს წელს შემდეგ, როცა ჩვენმა ერმა ამდენი უბედურება გადაიტანა, კიდევ ძოახერხა ბ. ფ. მახარაძემ და მისმა კომპანიამ მკვდრის საფლავიდან ამოთხრა, მისი შეგინება და საქეყნოთ ღაღადი, რომ „ილია ჯაშუში იყო, რომელსაც ზედმიწევნით ჰქონდა ჯაშუშობის როლი შესწავლილიო“, იმ საშინელ დროში უფრო ადვილი იყო ილიას წაძება და ამ „დიდებულის“ საქმისათვის ორიოდე გადარეულის მოპოვება.

3. მთელ პარტიას, რასაკვირველია, ამაში მონაწილეობა არ მიუღია. ე. ი. რასაკვირველია, პარტიას კონფერენცია არ მოუწვევია ამ უკუნაური საკითხის გადასაწყვეტად; არც პლებისციტი მოუხდენია და ხალხში არ გაუტანია ეს საგანი განსასჯელად. კიდევ მეტი საეჭვოა და არდასაჯერებელი, რომ ან მთავარ ორგანოს პარტიისას, ე. ი. პარტიის კომიტეტს დაედგინოს ასეთი უცნაური რამ (კომიტეტს რომ ენერგიული ზომები მიეღო, შეიძლება ეს არ მომხდარიყო). ხოლო, რომ პარტიის ზოგიერთი მეთაური ფ. მახარაძის ჯურისა, პარტიის ზოგიერთი წრეს გადასული წევრი ამზადებდა ნიადაგს ამ საზიზღარი საეროვნო დანაშაულისათვის; რომ პარტიის უმეტესობამ მოვალეობად ჩასთვალა გულგრილად მოპყრობოდა ამ საშინელ ფაქტს, ხოლო ერთმა ნაწილმა სამხიარულოდაც მიიჩნია და სრულიად ღირსეულად ცნო ილია ჭავჭავაძე ამგვარის გასამართლების, — ამის უტყუარი საბუთები დღეს ხელთ გვიჭირავს და ვერავითარი „მუქარა“, „ზიზღი“, „პროტესტი“ ამას ვერ გააქარწყლებს. ის კი არა, ვიმეორებთ, დღევანდელი „პროტესტები“ ყოველივე ამას ადასტურებს და ცოცხლად თვალწინ გვიყენებს იმ ატმოსფეროს, რომელშიც ქართველ ერს საშვილიშვილოდ მოეცხო სისხლი მისი დიდებულის ძოძღვრისა...

4. რამდენიმე დასელი ისე შეარყია, ისეთი თავხარი დასცა ამ საშინელებამ, რომ საუკუნოდ ზურგი უბრუნა ასეთ „პარტიას“, ამგვარ „განახლების“ მოციქულებს, რომელთაც შეუძლიათ ასეთი დიადი ტრაგედიის „ნაფოტის დაცვენით“ ახსნა[79].

5. მაგრამ ჩვენ საერო დანაშაულს თავის დღეში ვიწრო ფარგალში არ ვსვამდით. ჩვენ მიგვაჩნია ამ ბოროტების მონაწილედ ილიას თაყვანისმცემელი ჯგუფები და პარტიები. მათ ამ საშინელი მოქმედების დროს პილატეს როლი აღასრულეს. პილატემ, ხომ გახსოვთ, „ვითარცა იხილა, რამეთუ არარას არგებს, არამედ უფროჲსღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანნა ხელნი წინაშე ერისა მის და თქუა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ“[80]. ეჭვი არ არის, მაშინ რომ რომელიმე მოქმედ ჯგუფს ულტიმატუმი წამოეყენებინა, რომ ილიას ხელის შეხება არავის ეპატიებაო, ჩვენ გადავირეცხდით სამარადისო, საშვილიშვილო სირცხვილს... მაგრამ „ვითარცა იხილეს, რამეთუ არარას არგებს, არა-

მედ უფროჲსღა შფოთი იქმნების“... — აი, დახასიათება იმ ფსიქიურის განწყობილებისა, რომელსაც განიცდიდნენ და დღესაც განიცდიან ზემოხსენებული ჯგუფები და პარტიები, რომელთა მოვალეობაც იყო და არის ილიას დაცვა. განა დღესაც იგივე არ მეორდება? სრულიად გულგრილად ვუყურებთ, როგორ შეაგინეს დიდებული საფლავი მტერმა და მოყვარემ და მასვე გავიძახით: „ვიხილეთ, რამეთუ არარას არგებს, არამედ უფროჲსღა შფოთი იქმნების“...

შეგვარჩენს კი ამას ისტორიის მსვლელობა? როგორ მოხდა, როგორ ჩაიდინა ჩვენმა ერმა ასეთი უმაგალითო დანაშაული, — ეს ისეთი ტრაგიზმით აღსავსე საკითხია, რომელიც თავში უტრიალებს ყოველ შეგნებულ ქართველს, ხოლო გონებადაკარგული ბრბო კი, წაქეზებული „მღვდელთმთავართა და მწიგნობართა“ მიერ, აღარა სცხრება და ძველებურად გაჰკივის: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე! სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო!“

და რამდენმა კაცმაც, მთელმა საქართველომაც რომ მოაწეროს ხელი, ამით ეს ჭეშმარიტი ბრალდება ვერ მოისპობა, ბოროტმოქმედება — კეთილად ვერ იქცევა. არსებული ფაქტის აზრი ვერ შეირყევა ათასი და გინდ ათი ათასი დაინტერესებული მოწმის უარყოფის გამო. გავიმეოროთ დროისა და გარემოების შესაფერისი ცვლილებით ან. ფრანსის ზემომოყვანილი სიტყვები: იმისთვის, რომ სისულელეს იმეორებს რამდენიმე ასი და ათასი ყბა, სისულელე თავისს ხასიათს არ კარგავს, იგი სისულელედ რჩება.

კომენტარები და შენიშვნები

„ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ 1913 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში დაიწერა და იმავე წელს, ფსევდონიმით — „ერთი პილატეთაგანი“, ორჯერ გამოქვეყნდა (ქვესათაურით — „სამარცხვინო განგაშის გამო“): თავდაპირველად — ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ახლადდაარსებულ ქუთათურ გაზეთ „ერში“ (№№ 1—7, 1 XI—8 XI), შემდეგ კი — ცალკე წიგნად. (იხ. ერთი პილატეთაგანი, „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“, გადმობეჭდილი გაზ. „ერი“-დან, გამოცემა სერგო გერსამიასი, ქუთაისი, 1913 წ.).

ფსევდონიმი „ერთი პილატეთაგანი“ უცნობი იყო მკითხველი საზოგადოებისათვის (ეს ფსევდონიმი კიტა აბაშიძეს — და საერთოდ არავის, — აღარც შემდგომში გამოუყენებია); აღსანიშნავია ისიც, რომ „ერის“ იმავე ნომერში, რომელშიც დაიწყო წინამდებარე წერილის ბეჭდვა, გამოქვეყნდა, აგრეთვე, „კიტა აბაშიძის სიტყვა, ქუთაისში, ილიას საღამოზე წარმოთქმული 27 ოქტომბერს 1913 წელს“, რომელიც, ისევე, როგორც „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობას ეხებოდა, და ამდენად მკითხველთათვის ნაკლებ სავარაუდო უნდა ყოფილიყო, რომ გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში (მით უფრო — ახლადდაარსებული გაზეთის პირველ ნომერში) ერთი და იმავე საკითხისადმი მიძღვნილი ორივე პუბლიკაციის ავტორი ერთი და იგივე პიროვნება იქნებოდა. ამ წერილის კიტა აბაშიძისეულობაში დაეჭვება უნდა გამოეწვია იმ ფაქტსაც, რომ „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“-ს ბეჭდვის პერიოდში კიტა აბაშიძე (რომელიც იმჟამად „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“ თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა), სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით რუსეთში იმყოფებოდა, რის შესახებაც მკითხველი იმავე „ერის“ მიერ საგანგებოდ იყო ინფორმირებული („შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საქმეების გამო კიტა აბაშიძე როსტოვს გაემგზავრაო“, — იუწყებოდა გაზეთი „ახალი ამბავის“ რუბრიკაში). მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართველი საზოგადოებრიობისათვის იმთავითვე გახდა ცნობილი, რომ მოულოდნელი ფსევდონიმი „ერთი პილატეთაგა-

ნი“ კიტა აბაშიძეს ეკუთვნოდა, — ილია ჭავჭავაძის უერთგულეს მოწაფესა და თანამებრძოლს, რომელსაც, სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, ვერავინ შესწამებდა პილატეობას.

წერილის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, — შემონახულია მხოლოდ კიტა აბაშიძის მიერ გაკეთებული ცალკეული ამონაწერები ილია ჭავჭავაძის შესახებ 1900—1910-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებიდან, რომლებიც წინამდებარე წერილშია დამოწმებული(აღნიშნული ამონაწერები კიტა აბაშიძის საოჯახო არქივშია დაცული).

ტექსტი გამოსაცემად მომზადდა ზემოხსენებული ნაბეჭდი წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. გარდა კორექტურული შეცდომებისა, გასწორდა მხოლოდ ორიოდე კალმისმიერი შეცდომა, რაზეც სათანადოდ არის მითითებული შენიშვნებში, ზოგიერთი გრამატიკული ფორმა და პუნქტუაცია.

1. ი ო ვ ა ნ ე, 1,11.

2. მ ა თ ე, 26,67.

3. ციტირებულია ფილიპე მახარაძის წერილიდან „თავის გამართლებაც ასეთი უნდა! (პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს)“, — ჟურნ. „მოგზაური“, 1905 წ., № 19, გვ. 303 (მითითებული წერილი „მოგზაურის“ №№ 18—19-ში დაიბეჭდა, — 15 და 22 მაისს).

4. ი ო ვ ა ნ ე, 19,19.

5. მ ა თ ე, 27,25.

6. „დასელებში“ ე. წ. „მესამედასელები“ იგულისხმებიან („დასელები“ თუ „მესამედასელები“ ქართველ სოციალ-დემოკრატთა სინონიმად იხმარებოდა), „დასელების ბელადში“ — ნოე ჟორდანია (1868—1953 წწ.), სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი, ქართველ მენშევიკთა ლიდერი; შემდგომში — 1918—1921 წლებში — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (და არა პრეზიდენტი, როგორც ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე).

7. „მოგზაური“ 1901—1905 წლებში გამოდიოდა: 1901—1904 წლებში იგი ყოველთვიური „ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ჟურნალი“ იყო, ხოლო 1905 წლის იანვრიდან ქართველ სოციალ-დემოკრატთა ხელში გადავიდა და სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველკვირეულ ჟურნალად იქცა. ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლად, ოფიციალურად, პედაგოგი და ჟურნალისტი ივანე როსტომაშვილი ითვლებოდა, ფაქტიურად კი „მოგზაურს“ 1905 წლიდან ფილიპე მახარაძე განაგებდა.

8. იგულისხმება ჟურნ. „მოგზაურში“ 1905 წელს დაბეჭდილი

ფ. მახარაძის წერილი — „თავის გამართლებაც ასეთი უნდა! (პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს)".

9. ციტირებულია 1907 წლის 9 ოქტომბერს გაზეთ „ჩვენი გზის" მითითებულ ნომერში (№ 28) დაბეჭდილ „ნ. ჟ."-ს — ნოე ჟორდანიას წერილიდან „ბნელი ძალები" („ჩვენი გზა" — „ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი", — ქართველ სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი ძირითადი პერიოდული გამოცემა იყო).

10. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ძირითადი პერიოდული გამოცემის, — ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული ორგანოს — „სახალხო გაზეთის" (1910—1914 წწ.) იმ „ზოგიერთ თანამშრომელში", რომელნიც ადრე ილია ჭავჭავაძის „ივერიასა" (1877—1902 წწ.) და ჟურნალ „მოამბეში" (1894—1905 წწ.) თანამშრომლობდენ და რომელთაც 1900 წელს ხმა აღიმაღლეს გაზეთ „ივერიის" რედაქციისადმი და, პირველ რიგში, „ივერიის" რედაქტორის — ილია ჭავჭავაძისადმი დაპირისპირებულ „დასელთა" გამოხდომების წინააღმდეგ, იგულისხმებიან ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი (შემდგომში — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი) გიორგი ლასხიშვილი (1865—1931 წწ.) და თვით კიტა აბაშიძე.

11. ვინაიდან ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია თანამედროვე მკითხველი საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი, კიტა აბაშიძის მიერ ზემოთ მითითებულ ფაქტებზე, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება უფრო ვრცლად შევჩერდეთ და იმ მასალებსაც გავეცნოთ, რომლებიც წინამდებარე წერილში გაკვრით არის მოხსენიებული ან, რიგ შემთხვევებში — მხოლოდ ნაგულისხმები.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 1900 წლისათვის, ილია ჭავჭავაძის პიროვნების, მოღვაწეობისა და შეხედულებების უარყოფით შეფასებას, ილიას მოწინააღმდეგეთა ცალკეული გამოხდომების წყალობით, უკვე საკმაოდ მყარი ტრადიცია გააჩნდა, განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი კი ამ მხრივ გაზეთმა „კვალმა" შეასრულა, რომლის ფურცლებზე 1890-იან წლებში ილია ჭავჭავაძის ღვაწლის დამაკნინებელი არაერთი ტენდენციური წერილი დაიბეჭდა (იხ. მაგ., ნოე ჟორდანიას წერილები: „გაზეთი „ივერია" და ეროვნება", — გაზ. „კვალი", 1895 წ., №№ 11—12; „მოამბე", „ივერია" და ეროვნება", — „კვალი", 1895 წ., №№ 28—30, 32, 34—35; „ადგილობრივი პრესა წარსულ წელს", — „კვალი", 1899 წ., № 3; „ივანე მაჩაბელი", — „კვალი", 1899 წ., № 26; ფ. მახარაძის წერილი „საიუბილეო ბროშურა", — „კვალი", 1898 წ., № 31 და სხვ.).

მაგრამ 1900 წლის დამდეგი, — კერძოდ, ამ წლის 16 იანვარი (გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის დაკრძალვის დღე), — რა დროიდანაც მოგვითხრობს კიტა აბაშიძე ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ისტორიას, — მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი, თვისებრივად ახალი ეტაპის დასაწყისია ამ ხანგრძლივი ბრძოლის ისტორიაში, — საგულდაგულოდ შემზადებული და ორგანიზებული ეტაპისა, როცა ილიას იდეურმა მტრებმა ილია ჭავჭავაძის — ამ „რეაქციული მოძრაობის მეთაურის“ და „არმაზის ალაგას აღმართული კერპის“ (ნ. ჟორდანიას დახასიათებით) — დასამხობად მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლებიც აამხედრეს და „საბრძოლო იარაღად“ გამოიყენეს.

გიორგი წერეთლის დაკრძალვის დღეს გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილ ნეკროლოგს ნოე ჟორდანია — გაზეთის ფაქტიური რედაქტორი — ასე ამთავრებდა: „...მხნეობა, პირდაპირობა, გულწრფელობა, უანგარობა და გულკეთილობა, — აი, რა მაღალი თვისებებით იყო დაჯილდოებული გიორგი წერეთელი... აი, ვინ იყო ის, ჩემო მკითხველო! აი, ვინ იყავი შენ, ძვირფასო გიორგი! მაგრამ რადგანაც ამ ჩვენ გათახსირებულ დროში არც ერთ ამ თვისებას ფასი აღარ აქვს, ამიტომ აღარც შენ დაგდევს ფასი, აღარც შენ მოგცეს მოსვენება არც კარგათ ყოფნობაში და არც ავათ ყოფნობაში, და აი, როცა შენ სამუდამოთ მოისვენე, სამუდამოთ დადუმდი, მოისვენეს და დადუმდენ ისინიც და ახლა შენი ცხედრის წინაშე ყველა ერთათ თავშეყრილი სინანულს ეძლევიან. ამოიხედე ერთი ზევით და ამათ შენებურ ნელი ხმით უთხარი: „მომიტევებია!“...

„კვალის“ მკითხველთათვის ძნელი არ იყო მიხვედრა, თუ ვისი მისამართით იყო ნათქვამი ქარაგმული სიტყვები: „აღარც შენ დაგდევს ფასი, აღარც შენ მოგცეს მოსვენება არც კარგათ ყოფნობაში და არც ავათ ყოფნობაში“: ნ. ჟორდანიას სიტყვები ილია ჭავჭავაძეს ეხებოდა, — ილიას პოლემიკას გიორგი წერეთელთან ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რიგ საჭირბოროტო პრობლემებთან დაკავშირებით. ეს იყო „დასელთა ბელადის“ მიერ თავისი რაზმისათვის მიცემული პირველი ნიშანი გიორგი წერეთლის „მტრების“ წინააღმდეგ ლაშქრობის დასაწყებად, — „ნამდვილი Mot d'ordre, რომელიც ბელადმა თავის ჯარისკაცებს მისცა“*, — ხოლო გიორგი წერეთლის სამარესთან „თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლის“ — ვასილ კირვალიძის წარმოთქმული სიტყვა, რომელსაც კიტა აბაშიძე მოიხსენიებს, „ქართული დემოკრატიის“ პირველი აშკარა

* ნარკვევი, გაზ. „ივერია“, 1900 წ., 23 II, № 40, გვ. 2.

თავდასხმა ილია ჭავჭავაძეზე. აი, ამ სიტყვის ტექსტი, რომელიც „კვალმა“ გამოაქვეყნა:

„თფილისში მყოფი მოსამსახურები სულითა და გულით სწუხან... სწუხან და ტირიან ძვირფასი მოღვაწის გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის დაკარგვას...

უფრო სწუხან და ტირიან მისთვის, რომ ჩვენში (ქართველობაში) გამოერიენ მისთანა პირები, რომლებიც უსაფუძლოთ დევნიან ამგვარ მოღვაწეებს... მე და სხვებიც ბევრი ზიზღით ვუყურებთ „ივერიის“ პირველ ნომერს, ვუყურებთ მისთვის, რომ მასში სწერია რასაკვირველია მათივე დამამცირებელი ლაზღანდარობა. ჩვენ, ეგრეთ წოდებული მდაბიო ხალხი, არც ისე გონება დახშული ვართ, რომ ვერ გავარჩიოთ ავი და კარგი, დიაღ! ჩვენ კარგათ გვესმის, რაც დასაკლისი დაგვაკლდა დღეს, მაგრამ ამით კი ვნუგეშობთ, რომ ხალხი უყვარდა და ხალხმავე სცა პატივი... და არც დაივიწყებს გიორგი წერეთელს“.

როგორც გიორგი წერეთლის საფლავთან შეკრებილი ქართული საზოგადოებისათვის, ასევე გაზეთ „კვალის“ მკითხველებისათვისაც, თავისთავად ცხადი იყო, რომ „ქართველებში გამორეულ მისთანა პირებში“, რომლებიც „უსაფუძვლოდ დევნიდნენ“ გიორგი წერეთელს, „თბილისის მოსამსახურეთა წარმომადგენელი“ ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს გულისხმობდა, ხოლო გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრის „მათივე დამამცირებელ ლაზღანდარობაში“ — გაზეთის საახალწლო ნომერში და მის დამატებაში (1900 წლის 1 იანვარს „ივერია“ დამატებითურთ გამოვიდა) გამოქვეყნებულ სხვადასხვა მასალებს — ლექსებს, ნაკვესებს და სხვ., რომლებშიც, გ. წერეთლის სახელისა და გვარის მოუხსენიებლად, გაკენწლილი იყო მწერლის პოზიცია საქართველოს მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების რიგ აქტუალურ პრობლემათა მიმართ. თავისი გამოსვლა ვ. კირვალიძემ გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსით დაასრულა, რომელშიც კვლავ გაამათრახა „მუდამ სიმართლის მთქმელი“ გიორგი წერეთლის „უმართებლოთ“ მდევნელები.

„თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლის“ ამ მრავლისმეტყველ სიტყვასთან და ლექსთან ხმაშეწყობილად ულერდა „ხელოსან ნოშრევან მერკვილაძის“ ლექსი, მიძღვნილი გ. წერეთლისადმი, რომელიც ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

„...და აი ამით, დიდო მოღვაწევ,
იყავ შენ მეტათ შესანიშნავი,
ხალხი გიყვარდა და მცნებათ გწამდა,
რომ გაგეწირა ხალხისთვის თავი!
ზოგთ არრად უჩნდა ეგ შენი მცნება,

შენ გზას უმარტოლო პირით ძრახავდა,
ზიზღსა და მტრობას, ვითა სიწმინდეს,
შენდამი მიმართ გულში მარხავდა.
და აი, დღეს კი ზოგი მათგანნი
უკან გამოჰყვნენ შენ წმინდა ცხედარს,
სირცხვილი მათთვის, რომ ასხეაყებენ
მოღვაწეს ცოცხალს და მოღვაწეს მკვდარს".

ამრიგად, გიორგი წერეთლისა და „ხოგთა" აზრთა სხვადასხვაობისა და დაპირისპირების მიზეზად პოეტი-ხელოსანი თავის ლექსში გ. წერეთლის მხრივ ხალხის სიყვარულსა და ხალხისათვის თავგანწირვას, ხოლო მისი „მტრების" მხრივ ხალხის ინტერესების უგულებელყოფას აცხადებდა, ხოლო თუ კონკრეტულად ვინ იგულისხმებოდა გ. წერეთლის და, საერთოდ, მთელი ქართველი ხალხის ამ „მტრებში", „თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლის" ვასილ კირვალიძის სიტყვის შემდეგ, უკვე არავითარ განმარტებას აღარ საჭიროებდა.

ნიშანდობრივია, რომ „უმრავლესობის ბედნიერებასთან" — ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან და ცხოვრების მიერ ნაკარნახევ პროგრესულ „ახალ აზრთან" მიმართების თვალსაზრისათ, გიორგი წერეთლის პიროვნება სრულიად აშკარად იყო დაპირისპირებული სხვა დიდი ქართველი სამოციანელებისადმი — და, თავისთავად ცხადია, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძისადმი, — ცნობილი „მესამედასელის", სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაძოჩენილი მოღვაწის (შემდგომში — 1917 წელს, — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე, 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმის, ხოლო 1919—1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე) კარლო ჩხეიძის (1864—1926 წწ.) სიტყვაშიც: „...თქვენ ორჯერ იყავით მოწმე ჩვენს ცხოვრებაში ძველი და ახალი აზრის შეტაკებისა, — მიმართავდა კ. ჩხეიძე გიორგი წერეთლის ნეშტს, — პირველათ მესამოცე წლებში, როცა ბატონყმობის დროის შვილთ შეებრძოლა ის დასი ახალგაზრდობისა, რომელმაც დაჰგმო ბატონყმობაზე აგებული ცხოვრება და მიით წაუშლელი კვალი აღბეჭდა ქართველი ერის თვითცნობიერების ისტორიაში. იმ ახალგაზრდათა შორის, უეჭველია, თქვენ საპატიო ადგილი გეჭირათ. მას შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა ჩვენ ცხოვრებაში და სხვათა შორის ერთი მეტათ სამწუხარო, თუმცა არა მოულოდნელი ცვლილებაც: დიდი უმეტესობა მესამოცე წლების საპატიო მებრძოლთა ბოლო დროს დაადგა სწორეთ უარის ყოფის გზას. მათთვის მცირეთაც კი შეუძლებელი შეიქნა შეგუება და შეთვისება იმისა, რაც მათ მცნებაში ერთხელ და სამუდამოთ არ იყო აღბეჭდილი. ამგვარათ მათ

მიერ დავიწყებული დარჩა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ცხოვრება ცვალებადია და ვისაც სურს ცხოვრებასთან ერთად წინ მიდიოდეს, მან ცხოვრების ცვლილებისა კვალათ უნდა შეცვალოს თავისი მცნება და მიმართულება, თავისი თეორიული და პრაქტიკული პროგრამა. უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ არ გქონდათ დავიწყებული ეს ჭეშმარიტება, როცა თანაგრძნობა გამოიჩინეთ იმ ახალგაზრდობისადმი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში კრიტიკული თვალით შეხედა მას, რასაც ჩვენი მწერლები და მეთაურნი ჩასძახოდენ ქართველ საზოგადოებას, როგორც ანბანურ ჭეშმარიტებას: სწორეთ იმ დროს, როდესაც ზოგნი მხათ იყვენ სამარცხვინო ბოძზე გაეკრათ ეს ნაწილი ახალგაზრდობისა, ზოგნი ცდილობდენ დაემტკიცებინათ არარაობა ამ ახალგაზრდობისა ამაყი და მედიდური სიჩუმით, ზოგი, სიძულვილით აღვსილნი, აქ ფარულათ, იქ ცხადათ, საქმით თუ სიტყვით, ვინ იცის რას ჩადიოდნენ მის წინააღმდეგ, სწორეთ ამ დროს შენ თანაგრძნობით მიეგებე იმავ ახალგაზრდობას და გამოიჩინე ხალისი და სურვილი შეძლებისამებრ მისი დახმარებისა... მომავალი ეკუთვნის იმ მოძრაობას, რომლის მონაწილეთა დროშაზე წარწერილი აქვთ: „უმრავლესობა და მისი ბედნიერება". ვაი მას, ვინც რჩება გარეშე ამ მოძრაობისა, რადგან იგი მოკვეთილი იქნება ცხოვრების ნიადაგისაგან, როგორც უნაყოფო ხე, შხაბიანი ბალახი. შენ კი, რამდენათაც თანამგრძნობელი გახდი ამ მოძრაობისა, იმდენათ შესძინე კიდევ ერთი საგანძური შენი წარსული მრავალმნიშვნელოვანი მოღვაწეობის სალაროს..."

ზემომოყვანილ სიტყვებსა და ლექსებს, რომლებიც გიორგი წერეთლის დაკრძალვისას წარმოთქმულ რიგ სხვა სიტყვებთან და ლექსებთან ერთად გაზ. „კვალის" 1900 წლის 23 იანვრის ნომერში დაიბეჭდა*, ნოე ჟორდანიას ფრიად საგულისხმო სტრიქონები წაემძღვარა, — საგულისხმო, ბრძოლის იმ მეთოდების გასააზრებლად, რომელთაც „კვალის" ირგვლივ შემოკრებილი დასი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლისას მიმართავდა:

„რასაც დასთეს იმას მომკიო, ნათქვამია, და სწორეთ ეს ითქმის აწ განსვენებულ გიორგი წერეთელზე. — წერდა ნ. ჟორდანია, — მან რაც ორმოცი წლის განმავლობაში თესა, მომკა ერთ დღეს და ეს დიდებული დღეა დღე მისი გასვენებისა. მთელ თავის სიცოცხლეში ეკლის გვირგვინის მატარებელმა ბოლოს ჟამს მიიღო ხელთუქმნელი დაფნის გვირგვინი, მიიღო არა ნათესავის, ნაცნობის და მეგობრისაგან, არამედ თითონ ხალხისაგან. ხალხისათვის თავგამოდებული

---

* იხ. „სიტყვები, წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე", — გაზ. „კვალი", 1900 წ., № 4, გვ. 55 -62.

დააფასა ხალხმა, ხალხისათვის მებრძოლი შეამკო ხალხმა... აქ ქართველმა ხალხმა დაგვანახვა თავისი თავი, გვამცნო თავისი ზნეობრივი სახე, ჩაგვახედა თავის გულის სიღრმეში და ამოგვაკითხა ის, რაც ასე შესანიშნავათ არასოდეს არ ამოუკითხვინებია. ხალხი, მუდამ აბუჩათ აგდებული ბევრ განსწავლულთაგან, 16 იანვარს ამაღლდა; ის, ქონდრის კაცებისაგან დაბრიყვებული, ბუმბერაზათ გადაიქცა... და ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ დაუვიწყარ გიორგი წერეთელს. მისი გარდაცვალების ამბავმა მიაღწია თფილისის ყველა სახელოსნოში, ხალხის ყველა წრეში და მის პატივსაცემლათ გამოეშურა ყველა ტვირთმძიმე და მაშვრალი. და აი, გიორგის ცხედრის გარშემო შემოკრბა თფილისის მუშა და გამრჯელი ხალხი... ეს პირველი მაგალითია, რომ მოღვაწის დასაფლავებაში ქართველი ხალხი ასე გულმხურვალე და შეგნებულ მონაწილეობას ღებულობს... ეს ახალი ნაბიჯია ხალხის მიერ წინ გადადგმული და ამ ნაბიჯის მიზეზათ შეიქნა გიორგი წერეთელი... მის კუბოსთან შემოკრბა არა მარტო ახალი რაზმი ახალგაზდობისა, არამედ ახალი ხალხიც მთელი ერისა... აქ თავის თავი გვამცნო ახალმა ხალხმა...

გიორგი წერეთლის საფლავზე გადმოხეთქა ახალმა ნაკადულმა, აღმოცენდა ახალი მოვლენა, რომლის მზგავსი ერც ერთ წინანდელ დასაფლავებაზე არ გვინახავს. აქ თითონ ხალხი ამეტყველდა, ალაპარაკდა და თავისი გულის ნადები ცრემლებში შერეული გადმოაფქვია. და ეს არა მიკიბულ-მოკიბულათ, პირმოთნეთ და ფარისეველურათ, არამედ მკაფიოთ, პირდაპირ და მამაცურათ. იმან საქვეყნოთ დაჰგმო ის, რაც კაიხანია დასაგმობია, იმან ხმამაღლა უარჰყო ის, რაც კაიხანია უარი საყოფელია. და მერე რა, იცით? რა და ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ერთ ნაწილში გამეფებული ზნეობა, ზნეობა შენ-ჩემობის, პირადი ამოჩემების და უსაბუთოთ ლანძღვა-თრევის. ხალხმა პირველათ შეახო ხელი ამ საზიზღარ ხელობას და ის საუკუნოთ დაასამარა, ხალხმა პირველათ აღახო ბაგენი თვისნი და აღახო სწორეთ ლიტერატურის გათახსირების წინააღმდეგ. მან მოითხოვა გაადამიანება იმათგან, ვინც სხვებს უნდა აადამიანებდეს, მან მოითხოვა მოქალაქეობა იმათგან, ვინც სხვას უნდა აქალაქებდეს, მან შეარცხვინა ის, ვინც სხვებს უნდა არცხვენდეს. ხალხი ამაღლდა, მწვერვალზე მოექცა და იქიდან სახარებას უკითხავს ჩვენ ინტელიგენციას. რა დიადი სანახაობაა, რა მჭერმეტყველი მოვლენაა! ამას შემდეგ ვის შეუძლია ცილი დასწამოს ხალხს, ის ყრუ და დაცემულიაო! ამას შემდეგ ვის შეუძლის თქვას, რომ ქართველ ხალხს მომავალი არა აქვსო! არა, ხალხი გაგონიერებულია, გამოფხიზლებულია კაი ხანია და თუ ამას ვერ ამჩნევენ — ეს დაბრმავების ბრალია და მეტი არაფერი.

16 იანვარს კი ეს გამოფხიზლება აღაღადდა, გაიელვა და ბურუსში გახვეული შუქი გამოანათა"*...

ასეთი დითირამბი მიუძღვნა „დასელთა ბელადმა" „თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლის" ვ. კირვალიძისა და „პოეტ-ხელოსან" ნ. მერკვილაძის „საქვეყნო", „მკაფიო, პირდაპირ და მამაცურ" გალაშქრებას ქართველი ერის სულიერი მამის წინააღმდეგ, და ეს სავალალო ფაქტი მისაბაძ მაგალითად და „მჭერმეტყველურ მოვლენად" — ქართველი ხალხის „გაგონიერების, გამოფხიზლების" და ზნეობრივი „ამაღლების" მანიშნებლად შერაცხა.

ბუნებრივია, რომ ქართველი ინტელიგენცია სულის სიღრმემდე აღაშფოთა ილიას და მისი „ივერიის" წინააღმდეგ მიმართულმა ამ უტიფარმა და ცილისმწამებლურმა გამოხდომებმა (აღსანიშნავია, რომ თვით ილია ჭავჭავაძე გიორგი წერეთლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში ბაქოში იმყოფებოდა — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ბაქოს სააგენტოს რევიზიასთან დაკავშირებით, — და იმ დროს, როცა გ. წერეთლის საფლავთან შეკრებილი საზოგადოება კირვალიძისა და მერკვილაძის ინსინუაციებს ისმენდა, იგი გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებელ პანაშვიდს ესწრებოდა, რომელიც ბაქოში მცხოვრებმა ქართველობამ მწერლის დაკრძალვის დღეს გადაიხადა): გიორგი ლასხიშვილმა „დასელების" მიერ ნოე ჟორდანიას მეთაურობით გიორგი წერეთლის დაკრძალვისას ინსპირირებულ „შემაძრწუნებულ განგაშს" და „ზოგიერთი ვაჟბატონის ულირს საქციელს" (გაუცივებელი ცხედრის საფლავთან მათ ლანძღვას, „ვინც წრფელის გულით მოსულა, რათა მუხლი მოიდრიკოს დაუღალავ მოჭირნახულის წინაშე"), სავსებით სამართლიანად, „ძნელად წარმოსადგენი უხნეობა, უტაქტობა და უსირცხვილობა" უწოდა**, ხოლო კიტა აბაშიძემ ეს ამაზრზენი ფაქტი და მისდამი გაზეთ „კვალის" დამოკიდებულება ზნეობრივი დეგრადირების უტყუარ დამადასტურებლად მიიჩნია:

ჩვენი პუბლიცისტური ლიტერატურა, წერდა კიტა აბაშიძე, „დუქან-ბაზრად შეიქმნა, საცა ვინც გნებავთ შემობრძანდება, წამოწვება სალიტერატურო სამეფო ტახტზე და ლანძღვა-გინების მეტი არა ახსოვს რა, ჭორებითა და ინტრიგებით სული უდგია, ღვარძლიანობა და მელა-კუდობა სულის სატრფიალოდ გაუხდია... ეჭვის გარეშეა ის ფაქტი, რომ ჩვენს ლიტერატურაში მეტად ღრმა ფესვები გაიდგა ინტრიგანობამ და ჭორიკანობამ, მეშურნეობამ და გულღვარძლიანო-

---

* ნ. ჟორდანია, საგულისხმო გაელენა, — გაზ. „კვალი", 1900 წ., № 4, გვ. 54—55.

** ლალი [გიორგი ლასხიშვილი], შინაური მიმოხილვა,... — ჟურნ. „მოამბე", 1900 წ., № 1; ნარკვევი, — გაზ. „ივერია", 1900 წ., 23 II, № 40.

ბამ. და ყოველივე ამან იმ უმდაბლესს წერტილამდის მიაღწევინეს ლიტერატურას, რაზედაც უფრო დაბლა კიდევ დაწევა შეუძლებელია. ისე გამჯდარი აქვთ ჩვენს „ვითომდა ლიტერატორებს“ ეს მანერა, რომ თვით უსაშინელესს წამშიაც კი აღარ შეუძლიათ სხვანაირად მოიქცნენ. საფლავი და სიკვდილიც შურისძიების იარაღად გაუხდიათ და ადგილისა და დროის შეუხამებელის სიტყვებით იხსენიებენ ჯველას, ვინც მათებრ ალაპს არ ლოცულობს. განა მითხარით, — სინდისიერი, დამჯდარი და პატიოსანი კრიტიკა, ანდა კეთილშობილური ბრძოლა სალიტერატურო მოედანზე მოითმენს და ან მოისურვებს, რომ ყოველი პირი, რომლის აზრიც შენ არ მოგწონს, რომელიც შენს რჯულს არა სცემს თაყვანს, უთუოდ ჭორის ხეზე ჩამოახრჩო და ინტრიგების ბადეში გაახვიო? მის მაგივრად, რომ აზრს აზრით ეომონ, გრძნობას — გრძნობით, რაღაც ინსინუაციებით, დედაკაცების მოგონილის ჭორებით, უმართებულო სიტყვებით აღჭურვილნი გამოდიან და, რასაკვირველია, ძალაუნებურად მოპირდაპირესაც რიგიან იარაღს დააყრევინებენ ხოლმე და თავიანთ წუმპეში ჩაითრევენ. ამიტომაც ჩვენი ლიტერატურა სასაცილოსა და სამწუხარო წეწვა-გლეჯას წარმოადგენს, ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს, რიგიანი და ურიგო ერთად არეულან. ამნაირ დროში კი ყოვლად შეუძლებელი ხდება გაუსვრელი გამოხვიდე; თუკი ჩაერიე ჩვენს მწერლობაში. ეს ისევე შეუძლებელია, როგორც ტალახში გასვლა ისე, რომ ფეხზე ტალახი არ მოგეცხოს. უბედურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ტალახისათვის კალოშებია, ხოლო ლიტერატურაში დამდგარი ტალახისა და წუმპესათვის ჯერ კალოშები არ გამოუგონია კაცობრიობას. სასაცილო კიდევ ის არის, რომ ჩაგითრევენ ძალაუნებურად წუმპეში და მერე შენვე მოგახვევენ კისერზე თავიანთ ცოდვას. მე თქვენ გეტყვით და სირცხვილი დაუშლით“*.

მაგრამ „კვალელებს“ უკან არ დაუხევიათ. პირიქით, მათ კიდევ უფრო მეტი გააფთრებით შეუტიეს ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს. არენაზე ისევ გამოვიდა „თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენელი“ ვასილ კირვალიძე (ამჯერად უკვე „გლეხი ვასილი კირვალიძის“ ტიტულით) და კვლავ გამოუცხადა „ზიზღი“ ილიას „ივერიას“. „კვალის“ რედაქციამ კი კვლავ ქება-დიდება შეასხა „ივერიის“ „ლაზღანდარობის“, „უზრდელობისა“ და „გათახსირების“ წინააღმდეგ ამხედრებულ „ქართველ მუშა-ხალხს“:

„ქაჩალს ჰკითხეს, ვინ გძულს ყველაზე უფროვო, — ვინ და ვინც თავს მბანსო, მიუგო მან, — ვკითხულობთ 1900 წლის 27 თებერ-

---

*კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, 1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, — ჟურნ. „მოამბე“, 1900 წ., № 2, გვ. 4.

ვლის „კვალში“, სარედაქციო (ე. ი. ნ. ჟორდანიას) წერილში, — სწორეთ ამ ქაჩლის ამბავი სჭირთ ზოგ ჩვენ მწერლებს. მოგეხსენებათ, რომ ამათ, 16 იანვარს, განსვენებულ გ. წერეთლის საფლავ'ზე, თავი დაბანეს. ეს, რასაკვირველია, განსაკუთრებით „ივერიელთ“ ეძწვავათ. კიდეც მოედვენ ღობე-ყორეს: ერთი ვიღაცა ასე შეგვეხო, მეორე ისეო, მარა თავის დაცვა მაინც ვერ მოახერხეს და ვერა. მხოლოთ იმის თქმა კი მოასწრეს, რომ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთო და ენა მუცელში ჩაუვარდათ*. აბა, ენა ჩავარდნილთ რიღასი ლაპარაკი შეეძლოთ და ხმაც გაკმინდეს. მაგრამ, მეორე მხრით, მათი თავის ბანის ნაშხეფი მოხვედრია „მოამბის“ თანამშრომელს ბ. ლალს (გ. ლასხიშვილს — გ. ა.) და ამ წლის პირველ ნომერში კიდეც გამოილაშქრა, როგორ მკადრეთ შოლტებიო. ბ. ლალი სწორეთ მისწრებაა „ივერიისათვის“, ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო, ამაზეა ნათქვამი. „ივერია“ თავისი უხერხული მდგომარეობიდან დაიხსნა მისმა ადვოკატმა ბ. ლალმა... მიზანში „კვალის“ თანამშრომლები და მკითხველები ამოუღია და დაჰკარით მაგათო, გაიძახის. და მერე რატომ ასე გაგვრისხებია ეს ბუმბერაზი? რატომ და როგორ გაბედეთ და თქვით ის, რასაც ფიქრობდითო!.. იმ დღეს (გ. წერეთლის დაკრძალვისას — გ. ა.) დაჰგმეს მხოლოთ პირადი ამოჩემება, ლანძღვა-თრევა და გულღვარძლიანობა და არა პოლემიკა და აზრთა შეტაკება... და მერე ვინ იყო პრესის გათახსირების დამგმობელი? ვინ და უმთავრესათ დაბალი ხალხის წარმომადგენელნი. აი, რა წერილი მივიღეთ ჩვენ „ივერიაში“ 18 იანვარს დაბეჭდილი წერილის საპასუხოთ ერთი მათგანიდან:

„...მე მაგალითათ, ერთმა წარმომადგენელთაგანმა დაბალი ხალხისამ, ვთქვი სიტყვა და მოვიხსენიე, მართალია, ამ წლის „ივერიის“ პირველი ნომერი ზიზღით. ეს ჩემი წმინდა რწმენა იყო და არის. დიახ, ათასჯერ გავიმეორებ და გაიმეორებს ჩემთან ერთათ ასი ათასი ქართველი მუშა-ხალხი ზიზღს „ივერიის“ პირველ ნომერში დასტამბულ საზიზღარ ლანზღანდარობისადმი, სადაც ჩვენ საუკეთესო მოღვაწეებზე იმოდენა ლანძღვა-გინება, ლაფშგახეული და ძაფგაწყვეტილი უშვერობაა. გლეხი ვასილი კირვალიძე“. აი, ბატონებო, როგორ გულს ეწვის ჩვენი პრესის გათახსირება ქართველ მუშა-ხალხს და როცა ამას ის საჯაროთ, შემთხვევის დროს, ამბობს, გამოდის

---

* იგულისხმება 1900 წლის 18 იანვარს გაზ. „ივერიის“ № 12-ში გამოქვეყნებული ხელმოუწერელი წერილი — „გიორგი წერეთლის გვამის დაკრძალვა“, რომელშიც, გ. წერეთლის დაკრძალვისას წარმოთქმული სიტყვების მოკლე მიმოხილვის დასასრულს, აღნიშნული იყო: „ზოგიერთ გარემოებას, რომელმაც თავი იჩინა გ. წერეთლის დასაფლავების დროს და რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს, შეიძლება შემდეგ დავუბრუნდეთო“.

ბ. ლალი და კომპ. და მას უზნეოს და უსირცხვილოს უწოდებს! ხალხი თურმე უზნეოა, იმიტომ, რომ გურწრფელია, ბ. ლალი კი ზნემაღალია; იმიტომ, რომ გულჩახვეულია; ხალხი თურმე უსირცხვილოა, იმიტომ, რომ უზრდელობას ებრძვის, ბ. ლალი კი სირცხვილის კაცია, იმიტომ, რომ უზრდელობას იფარავს! ერთი სიტყვით, ბ. ლალს და ხალხს შორის დიდი უფსკრულია: ერთი მხრით დგას თვითონ ის, თავისი კლიენტებით, მეორე მხრით კი ხალხი და „კვალი“ სწორეთ ამაყობს იმით, რომ ის არ დგას პირველთა ბანაკში; ის ამაყობს იმით, რომ მან თქვა ის, რასაც ხალხი გრძნობდა, რის თქმასაც სწადდა და 16 იანვარს კიდეც გამოთქვა. გრძნობა „კვალის“ თანამშრომლებისა და ხალხისა ამ დღეს შეერთდა და, ვიმეორებ, ამით ვამაყობთ ჩვენ.

დეე, იყოს თქვენი ზნეობა ფარისევლობა, თქვენი ტაქტიკა — ლაზღანდარობის მფარველობა! მაგრამ დეე, ჩვენმა ხალხმაც ადრე გაიგოს ეს, ადრე შეიტყოს, ვინ არის მისკენ და ვინ არის მისი წინააღმდეგი... ახლა, ბ. ლალო, განაგრძეთ ისევ ხალხთან ბრძოლა!..“*

ამრიგად, „კვალმა“ „ჩვენი პრესის გათახსირებით“ „გულდამწვარი“ ვ. კირვალიძის „ზიზღი“ ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ მიმართ, კლავ მთელი „ქართველი მუშა-ხალხის“ გულისნადების გამომხატველად გამოაცხადა (შესაბამისად, ილიას პრესტიჟის დაცვა ცილისმწამებელთაგან, — ბრძოლად მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ). ხოლო როცა „ივერიამ“ ამ უცნაურ განზოგადებაზე გაამახვილა ყურადღება, ჩანს, სწორედ მაშინ იქნა შეთხზული 101 „თფილისის მოსამსახურის“ ხელმოწერილი „საბუთი“, რომელსაც, შეძლებისდაგვარად, ასეთი განზოგადების კანონიერების ილუზია უნდა შეექმნა. და, აი, „კვალის“ 1900 წლის 19 მარტის ნომერში, „გლეხი ვას. კირვალიძის“ ხელმოწერით, ასეთი წერილი ქვეყნდება:

„ივერიას“ ხელმეორეთ გამოუსაშქრია ჩემსა და ჩემ მარწმუნებელთა წინააღმდეგ (№ 47)... „ივერია“ წერს: რომელმა ხალხმა და სად მიანდო ვასილ კირვალიძეს ხალხის წარმომადგენლობა, ამ ვითომდა წარმომადგენელს, რომ წარმოსთქვა ესა თუ ის სიტყვაო, და სხვა**. კიდევ ქვევით წერს: დააკვირდით გლეხის კირვალიძის წე-

* ბ. ლალს, — გაზ. „კვალი“, 1900 წ., № 9, გვ. 142—143.

** გაზ. „ივერიის“ 1900 წლის № 47-ში (5 III) „ჩიორას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში — „სახელდახელო (ყბად-ასაღები — წყალ-წასაღები ამბები)“ არტემ ახნაზაროვი წერდა: „ჯერ ერთი, ვიკითხოთ, ესმით კი ნოე ჟორდანიასა და მისთა ლაშქართა, რა არის ხალხი და ხალხის წარმომადგენლობა, რომ ასე ბურთსავით ათამაშებენ ხელში წაღმა-უკუღმად ამ სახელს?!.. ვთქვათ, მეწერილმანე ვასილ კირვალიძე გლეხია, მერე ვინ დაუწლოცა „ხალხის წარმომადგენლობა“? რომელმა ხალხმა და სად მიანდო ამ ვითომდა წარმომადგენელს, რომ წამოდექი და ესა თუ ის განაცხადეო?..“

რილს. იგი წერს: მე, ერთმა წარმომადგენელთაგანმა დაბალი ხალხისამ, რაც ვთქვი, ჩემი წმინდა რწმენა იყო და არისო. ეს კირვალიძის „წმინდა რწმენა ყოფილა და ხალხი აქ რა შუაშიაო", კითხულობს „ივერია". ჩემ წერილში მე მოხსენებული მქონდა, ეს დავალებული იყო ხალხისაგან მეთქი(„კვალში" გამოტოვებული იყო) და ვუმატებდი: ჩემი წმინდა რწმენაც ეს იყო და არის მეთქი (და არა ის, რომ ვითომ მხოლოთ ჩემი რწმენა ყოფილიყოს). რომ ეს ასე იყო, ამას დაამტკიცებს ასი კაცის მიერ ხელმოწერილი საბუთის ქაღალდი, რომელსაც ამასთანავე ვარდგენ, რომლის ძალით მე ვილაპარაკე 16 იანვარს განსვენებულ გ.წერეთლის საფლავზე. აი, ეს ქაღალდიც:

„1900 წელსა, იანვრის 14 დღესა, ჩვენ, ამის ქვემორე ხელის მომწერლებმა, გავიგეთ რა ფრიად სამწუხარო ამბავი ჩვენი სამშობლოს მოღვაწის გიორგი ექვთიმის ძის წერეთლის გარდაცვალება, ამოვირჩიეთ ჩვენ წარმომადგენელათ ორი პირი: ბ. ვასილ კირვალიძე და ექვთიმე აბაშიძე, დავავალეთ იკისრონ თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლობა და დაესწრონ ზეგ, 16 იანვარს, გიორგი წერეთლის გვამის გამოსვენებაზე, წარმოთქვან სიტყვა და გამოუცხადონ ჩვენი უღრმესი გულისტკივილი გ. წერეთლის ასე უდროოთ დაკარგვის გამო. აგრეთვე გ ა ჰ კ ი ც ხ ო ნ ი ს ჯ გ უ ფ ი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდებულ მოღვაწეს, გ. წერეთელს, უმართებულოთ დევნიდა და ლანძღავდა უშვერის კილოთი სიცოცხლეში, აგრეთვე გაჰკიცხონ გაზ. „ივერიის" ზოგიერთი ნომრები და მეტადრე ამ იანვრის პირველი ნომერი, რომლის ფურცლებზე იმოდენა ლანძღვა-თრევა და უმართებელო ცილისწამება და ლაზღანდარობა იბეჭდება ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტ თავდადებულ მამულისშვილების საგმობელათ და სადევნელათ". ხელს აწერს ას ერთი კაცი (ეს ქაღალდი ინახება „კვალის" რედაქციაში და ვისაც სურს, შეუძლია ნახოს და შეამოწმოს. განსაკუთრებით მოვიწვევთ „ივერიის" და „მოამბის" თანამშრომელთ, რომლებიც ასე უწესოთ მოექცენ ხალხს და მის გულისტკივილს. — რედ.).

ახლა მაინც გაიგონ „ივერია" — „მოამბემ", მქონდა თუ არა უფლება, და არათუ უფლება, პირდაპირი დავალება, ხალხის სახელით მელაპარაკა.

მარა მაგათი აზრით, ვინც „ბანკირი" ან „აბლაკატი" არ არის, ის კაციც არ არის! „ივერია" ახლა ბძანებს — „კირვალიძე" რა კაცია და რა ხალხის წარმომადგენელიაო, მარა ამ საბუთის მერე, უეჭველია, იტყვის, მოსამსახურეები რა ხალხიაო, კიდევ მერე — მუშები ვინ არიანო, ბოლოს იტყვის — გლეხები ვინღა არიო. მაგათ ჯერ კიდევ ნაღელს ვართმევთ და ჩვენი ნაყმევები, ნასყიდ-გაყიდულები არიანო და სხვ. და სხვ. ამას იტყვის „ივერია", მიტომ რომ აღვირა-

წყვეტილია, თორემ აბა რა საიქმელი იყო „ივერიისაგან“ ის, რომ „რომელმა ხალხმა დაუმტკიცა კირვალიძეს წარმომადგენლობა, ან სად მიანდო — ესა იყო ის სიტყვა სოქიო“ და სხვ. აბა ამაზე იტყვიან, „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო“. რომ ჩვენც შეგაბრუნოთ ასე უკულმართათ ნახმარი „ივერიის“ იარაღი და შეკადროთ სიტყვა მის ბრწყინვალებას ილია ჭავჭავაძეს - - რედაქტორს „ივერიისას“ — და ვკითხოთ, ვინ დაულოცა წარმომადგენლობა მას, რომელმა ქართველმა მისცა რწმუნების წერილები, რომელ ნოტარიუსში იყვენ იგინი დამტკიცებული, როდესაც ი. ილია ჭავჭავაძე ვერის ბაღში სხვადასხვა ჭრელ-ჭრელ სიტყვებს ეუბნებოდა მთელი საქართველოს მაგიერ საფრანგეთის მწერალს ბ. დე ბაის და რუსეთისას ბ. მარკოვს?!* და ასე გაშინჯეთ, ჩანგიც კი მიართვა მთელი კავკასიის სახელით. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, თვარა ჩვენ ამას არ შევკადრებდით „ივერიის“ რედაქტორს, ამგვარი რამ მათი საქმეა და ღმერთმაც მათ შეახმაროთ...

რაც შეეხება ჩიორას სიტყვებს, კირვალიძე მეწვრილმანეაო, მე მრწამს, რომ ჩიორას და მის ძმებს არაფრათ ეჭაშნიკება ქართველების ვაჭრობაში ფეხის ჩადგმა, მაგრამ მათდა საბუთხაროდ, ქართველებში მეწვრილმანებიც მრავლდებიან და ვაჭრებიც“. (ამას მოსდევს ვ. კირვალიძის თანამებრძოლის „ხელოსან ნოშრევან მერკვილაძის“ წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენდა საბუთხაროთ, იძულებული შევიქენით ხმა ამოვიღოთ იმ უწმაწური ლანძღვა-გინების წინააღმდეგ, რომლითაც ეს რამდენიმე ხანია ასე დაჟინებით კვებავს „ივერია“ თავის ხელის-მომწერლებს და მკითხველებს. მართალი მოგახსენოთ, ცოდვათ ჩაეთვლება ყოველი ჩვენგანს, დღიურ მშრომელ მუშა და ხელოსან ხალხს, რომ თავისი მშრომელი მარჯვენა შეახოს იმ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს, სადაც მხოლოთ თავისი ქვეყნის საუკეთესო მამულიშვილების ლანძღვა-გინების მეტი არა არის რა, მაგრამ იძულებული ვართ ერთხელ მაინც ამოვიღოთ ხმა.

მოგეხსენებათ, რომ განსვენებული გ. წერეთლის დასაფლავების დღეს სიმართლის ღაღადს ბევრი გაუმწვავ-გაუწიწმატებია, მაგრამ ყველაზე უფრო გაწიწმატებულა „ივერია“ და მისი მოსიყვარულე „ჩიორა“. მას პირველი ხმა „მოამბის“ რედაქციიდან მისცა ბ. ღალმა: აქა ვარ მე, ნუ გეშინიათო, და ასე ერთათ შეერთებულებმა, ვინ იცის, რა ცილი არ დაწამეს ხალხს და ვის რა არ უწოდეს: უსირცხვილო, უტაქტო, უზნეო და სხვა სულ ამგვარი ხნემაღალი და ფაქიზი სიტ-

---

* იგულისხმება ილია ჭავჭავაძის სიტყვა, წარმოთქმული ფრანგი არქეოლოგის ბარონ დე ბაისა და რუსი მწერლის ევგენი მარკოვის პატივსაცემად ქართველი საზოგადოებრიობის მიერ გამართულ სადილზე 1899 წლის 24 ოქტომბერს, — იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 948.

ყვები... მხოლოთ იმით ვნუგეშობი, რომ არავითარი ნდობა „იერიის“ უშვერობას არა აქვს დაბალი ხალხის თვალში“... — გაზ. „კვალი“, 1900 წ., 19 III, № 12, გვ. 190—192).

„კვალის“ მიერ ინსპირირებულ პოლემიკაში თვით ილია ჭავჭავაძეც ჩაერთო, — „იერიის“ 1900 წლის № 65-ში (23 III) „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილით „პატარა საუბარი“, რომელიც შემდგომში — ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლის მანძილზე, — „დასელთა“ მიერ არაერთგზის ყოფილა დამოწმებული, როგორც „უტყუარი მამხილებელი“ ილიას „ანტიდემოკრატიულობისა“ და „რეაქციონერობისა“.

რადგან ეს წერილი პირველნაბეჭდის შემდეგ აღარ გამოქვეყნებულა და ფართო მკითხველისათვის ალბათ უცნობია, აქვე მოგვყავს მისი სრული ტექსტი:

პატარა საუბარი

„კვალის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართველოს ხალხს თავისი წარმომადგენელი ჰყოლია და იგი წარმომადგენელი ვიღაც კირვალიძეა თურმე. ვის უკურთხებია ეს ვიღაც კირვალიძე ხალხის წარმომადგენლად, — ეს ჯერ საიდუმლოა თურმე „კვალის“ რედაქციისა და, რასაკვირველია, ოდესმე ამასაც შეგვატყობინებს. მოგვილოცნია საქართველოს ხალხისათვის საერთოდ, რომ ამისთანა მადანი ბედისა გასჩენია. ეხლა, ღვთის მადლით, საქართველოს ხალხს აღარა უშავს-რა, მის ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფს. მოგვილოცნია „კვალის“ რედაქციისათვის საკუთრივ, რომ აქამდე ეს უცნაური ამბავი საცნაურ ჰქმნა და „კვალის“ № 12-ში საბუთიც წარმოგვიდგინა, რომ ეს ვიღაც კირვალიძე, „კვალის“ სიტყვით, მართლა ხალხის წარმომადგენელი ყოფილა. ქუდები მოვიხადოთ და ამ საქართველოს ხალხის წარმომადგენელს თავი მუხლ-მოდრეკით დავუკრათ, თორემ „კვალის“ რედაქცია გვეშურის, თუ ესე არ მოექეცით, თქვენ ხალხის უარმყოფელნი და მტერნი ყოფილხართო.

ასე უპასუხა „კვალმა“ ბ-ნ ლალს, როცა ამან „კვალელებს“ ერთი უმართებულობა შეჰნიშნა, აწ განსვენებულ გ. წერეთლის დასაფლაებაზე ჩადენილი. როგორ გაგვიბედე და უმართებულობა შეგვწამე, როცა თვით ხალხის წარმომადგენელი „გლეხი კირვალიძე“ ამ შემთხვევაში ჩვენკენ არისო, და დასამტკიცებლად აძისა ხომ კირვალიძის წერილიც „კვალში“ გამოსჭიმეს.

აქაო და კირვალიძემ ჩვენ კვერი დაგვიკრაო, აქედამ ბ-ნ ჟორდანიას ლოღიკისამებრ აი რა დასკვნა გამოიყვანეს: რადგანაც „გლეხი კირვალიძე“ ხალხის წარმომადგენელია და, მაშასადამე, შეუცდომე-

ლია ვითარცა პაპი რომისა, ამიტომაც ვინც „გლეხი კირვალიძის“ მიერ მოწონებულ საქციელს დაჰგმობს, ის ჰგმობს თვით ხალხსაცაო, ბ-ნმა ლალმა ეს საქციელი დაჰგმო, მაშასადამე, ბ-ნ ლალი მგმობელია ხალხისა და ვითარცა მგმობელი — მტერიც არისო. აფერუმ, „კვალო“!

ეგრე იარეთ მცხეთამდე, ჩვენნო ბრძენ-ფილოსოფოსნო, და მცხეთას-კი გაგივაკდებათ და მერე დაექანებით. სად გაგითენდებათ, ეს კი არ ვიცით, ან გაგითენდებათ-კი, თუნდა პეტერბურგამდინაც იაროთ! არა გვგონია! ბრმათათვის გათენება ტიბიკონში არა სწერია. ბ-ნ ლალისაგან შენიშნული საგანი ზნისა და მართებულობის თვალით განსასჯელი, განსაკითხავი საგანია. საბუთი და საუბარი ამ წიაღსა შინა უნდა საქმობდეს, იგი ეტიკის საქმეა. აქ „გლეხი კირვალიძე“ რა მოწამეა, რა კანონმდებელია, რომ იმის მაგიერ, რომ საბუთი წარმოადგინონ, საბუთი ამოციქულონ, სჯა ასაქმონ, ამდგარან და „გლეხის კირვალიძის“ კალთას ქვეშ შესჯდომიან და იძახიან: სუ, „გლეხის კირვალიძის“ წინაშეო. ზნისა და მართებულობის საქმეში „გლეხი კირვალიძე“ რა ავტორიტეტია, რომ რაკი იგი იმოწმეთ, გგონიათ, რომ ბ-ნს ლალს სიტყვა მოუჭერით, ხიდები ჩაუქციეთ და გამარჯვების ნიშნად ყურთმაჯები მხრებზე გადაიგდეთ და ქუდიც ვაჟკაცურად ჩაიტეხეთ. უკეთესი ეტიკოსი, უკეთესი ავტორიტეტი ვეღარსად იპოვნეთ. მეტი სასაცილოდ აგდება-ღა იქნება ქვეყნისა ცალკე, მკითხველისა ცალკე, რომ კირვალიძე ზნისა და მართებულობის კანონმდებლად და ავტორიტეტად გაგვიხადეს! მეტი უარარაობა-ღა შესაძლებელია, რომ კაცი კირვალიძის ავტორიტეტობას არამც თუ მარტო თვითონ დასჯერდეს, სხვასაც აჯერებდეს და ვინც არ იჯერებს, ქვეყნის მტრად ისახებოდეს! გაგონილა სადმე ამისთანა სასაცილო ამბავი!

ბ-ნმა ჟორდანიამ მთელი გერმანია მოიარა და ისევ აქ მოვიდა, რომ კურსი კირვალიძეს უნივერსიტეტში შეესრულებინა და აქ ესწავლა ზნე და მართებულობა! ნუთუ გერმანიაში — იმ მეცნიერთა და ფილოსოფოსთა ქვეყანაში — უკეთესი პროფესორი ვერ იშოვა, რომ მოვიდა და აქ, ჩვენში, კირვალიძეს მიებარა ზნისა და მართებულობის სასწავლებლად. მაშ რის მაქნისია, რომ ბ-ნ ლალის წინააღმდეგ მოწმად მოჰყავთ ვიღაც კირვალიძე, თუ იგი რაღაც უძლეველ ავტორიტეტად არ მიუჩნევიათ.

რომ უფრო დიდ ავტორიტეტად დაანახვონ ქვეყანას ეს ვიღაც „ხალხის წარმომადგენელი გლეხი კირვალიძე“, ჩვენი ჭკუიანი „კვალი“ მე-12 №-ში გვეფიცება, რომ კირვალიძეს ას ერთი კაცი ამაზე ხელს უწერსო. ამისთანა საქმეში, საცა ლიტერატურული სჯაა და ბაასი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. გნებავთ, საქარ-

თველოში თუნდ ათი ათასს კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას და ნუთუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისათვის საბუთია! ნუთუ ამ ათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალლილეისა! თუ კაცი თვითონ ნულია, — გლეხია თუ თავადი, — ათასი ამისთანა ნულები რომ ხელიხელ ჩართულად გაგვიმწკრივოთ, მაინც ნულია და ნული. ეს ხომ პირველ კლასსის გიმნაზიელმაც კი იცის და რატომ ბ-ნ ჟორდანიას არა სცოდნია. ლიტერატორობს და ამასთან მარქსისტობს კიდეც და ჰლამის ვიღაც კირვალიძის ჭკუასა და ცოდნას ყურმოჭრილ ყმად გაუხდეს. კარგი კოლოფი ჭკუისა და ბოღაზი ცოდნისა უპოვია. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს!

ამას იქით ნუ გაგვიკვირდებათ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ხელწერილი ჩამოატაროს კირვალიძეებსა და მერკვილაძეებში ბრძნობაზე ხელი მომიწერეთ, თორემ ლამის „იევრიამ“ უვიცობის სახელი დამიგდოსო. ამას იქით ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ ამისთანა ხელწერილი „კვალში“ დაჰბეჭდოს და როგორც კირვალიძეს დაუჩემებია ამისთანა საბუთით ხალხის წარმომადგენლობა, ისეც ბ-ნმა ჟორდანიამ ბრძნობა დაიჩემოს.

მოდით და ნუ იტყვით: ვაი ჩვენის მწერლობის ბრალი-თქო.

ახალ-მოსული.

12. „ჩიორას“ ფსევდონიმით — სხვა ფსევდონიმებთან ერთად, — წერდა ქართველი მწერალი და ჟურნალისტი არტემ ახნაზაროვი (1866 — 1942 წწ.), რომელიც 1886 წლიდან გაზეთ „ივერიის“ უახლოესი თანამშრომელი იყო.

13. იხ. [ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა] ჟურნალ-გაზეთებიდან, — გაზ. „კვალი“, 1900 წ., 2 IV, № 14, გვ. 220. (ხაზგასმა კიტა აბაშიძისაა).

14. რაღა თქმა უნდა, ეს, მართლაც, ილია ჭავჭავაძეზე ხალხის აშკარა წასისიანება იყო და ბუნებრივია, რომ ყველამ — მათ შორის თვით ილია ჭავჭავაძემაც — სწორედ ასე აღიქვა ნ. ჟორდანიას ეს სიტყვები. „რის თქმა გნებავთ ამითი, რასაც უკანასკნელი სიტყვები ამბობენ, ბ-ნო ჟორდანიავ? — წერდა ილია, — რომ ვეღარას გახდითრა, საქართველოს ერთან მაბეზღებთ განა?.. ეს რა საქმეზე აქეზებთ საქართველოს ხალხს, რომ „იმედია, ამას არ დაივიწყებს ასე ყბადაღებული საქართველოს ხალხიო“ და სამის წერტილით ათავებთ ამ სიტყვას. რა გნებავდათ ამით გეთქვათ და რა დაგრჩათ კიდევ სათქმელი, რომ სამი წერტილი ჩაურთეთ ამ სიტყვებს ბოლოში? ღმერთმა შეგინდოთ ეს უკადრისი, თუ უარესი არა, საქციელი, დეე ტაში გიკრან თქვენმა უკან მდევნელებმა, კირვალიძეებმა და მერკვილაძეებმა, ყველა რიგიანი და პატიოსანი კაცი კი მარტო ამ საქციელისა-

თვის ზურგს შემოგაქცევთ და ყველა ამისთანას შეეზარებით, სულ ცოტა რომ ვთქვა". (ა ხ ა ლ-მ ო ს უ ლ ი, ქარაფშუტობა, ორთაეიანობა და ორპირობა უმეცარისა, — გაზ. „ივერია", 1900 წ., 16 IV, № 81, გვ. 3).

15. ცხადია, ილია ჭავჭავაძის ზემოთ დამოწმებული ციტატიდან, ობიექტურად, სრულად შეუძლებელია იმ რეაქციული აზრის გამოტანა, რომელსაც მას ნ. ჟორდანია მიაწერდა: ნ. ჟორდანია, რასაკვირველია, განზრახ აყალბებდა ციტირებული სტრიქონების შინაარსს, რათა რაც შეიძლება მეტი „ნულები" აემხედრებინა ილიას წინააღმდეგ. ამ პროვოკაციისათვის ნ. ჟორდანიასა და მის „დასელებს" შემდეგშიც არაერთხელ მიუმართავთ. ასე, მაგ., ფილიპე მახარაძე ილია ჭავჭავაძის ციტირებულ სიტყვებს გულისხმობდა, როცა 1905 წელს წერდა: „რასაკვირველია... ჩვენი და თ-დ ილია ჭავჭავაძის შეთანხმება ყოვლათ შეუძლებელია, და მართლაც განა შესაძლებელია, რომ ის, ვინც მთელი 25 წლის განმავლობაში პრესისის დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ სიმართლისათვის გზა აეცია, ჭეშმარიტება დაეფარა, ჩვენ გვეთანხმებოდეს პრესის დანიშნულებაში? განა შესაძლებელია, რომ ის, ვინც ხალხს „ნულები" უწოდა, ისე უყურებდეს პრესასა, როგორც ჩვენ? მაგრამ საქმე ის არის, რომ თ-დ ჭავჭავაძეს თავის თავი საქართველოს „ბურჯათ" მიაჩნია, და ამიტომაც მოჩვენებია, რომ მას ადვილათ ვერავინ შეეხებოდა. თ-დ ჭავჭავაძის ნაწერებში ხშირათ შეხვდებით მაღალფარდოვან სიტყვებს ადამიანურ ღირსებაზე და კაცურ-კაცობაზე, მაგრამ მისი საქციელიდან გამოდის, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მისთანა თავადების მონოპოლია უნდა იყოს და სხვა არავისი". (იხ. ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ე, თავის გამართლებაც ასეთი უნდა! პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს, — ჟურნ. „მოგზაური", 1905 წ., 22 V, № 19, გვ. 302).

ილია ჭავჭავაძის ზემოთ ციტირებული სტრიქონების შინაარსის გაყალბების ნაცად ხერხს ნ. ჟორდანია ილიას სიკვდილის შემდგომაც წარმატებით იყენებდა, — ახლა უკვე არა მხოლოდ საკუთრივ ილია ჭავჭავაძის დისკრედიტაციის მიზნით, არამედ მისი ხსოვნისა და იდეალების თაყვანისმცემელთა რეპუტაციის შესალახავადაც: „ერთხელ ილია ჭავჭავაძემ მუშებს... „ნულები" უწოდა, — წერდა ნ. ჟორდანია 1913 წელს, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ წამოწყებული იმ კამპანიის დროს, რომლის გამოც დაიწერა კიტა აბაშიძის „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!" — ე. ი. ხალხი თავისთავათ არაფერი არ არის, ნულია, ხოლო როცა მას მიემატება რომელიმე ციფრი, ე. ი. გაბატონებული ელემენტები, მაშინ ის ხდება ძალათო. ეს, როგორც ხედავთ, ნათელი თეორიაა, განსაზღვრული შეხედულებაა ხალხზე. იმ დროს ასეთმა აზროვნებამ დიდი პროტე-

სტი გამოიწვია მუშებში. „კვალის“ რედაქცია აიცსო „ნულების“ საპროტესტო წერილებით. შემდეგ საქმითაც დაამტკიცეს ამ „ნულებმა“, რომ ისინი ძალას წარმოადგენენ. და დღეს რომ ილია ცოცხალი იყოს — არა მგონია თავისი წინანდელი თეორია საჯაროთ გამოეთქვა. სამაგიეროთ მის გზადაბნეულ ჭირისუფლებს წარსულიდან ვერაფერი უსწავლიათ და დღეს იმეორებენ ილიას შეხედულებას... ხოლო მუშა, გლეხი, ხელოსანი, ნოქარი — ეს მათთვის საზოგადოება არ არის, მათი აზრი საზოგადოებრივი არ არის, ესენი ნულებია და ნულის აზრი აბა ვის გაუგონია“, და ა. შ. — იხ. ნ ა რ ი ძ ე [ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა], ჟურნალისტის შენიშვნები, — გაზ. „განთიადი“, 1913 წ., 11 VIII, № 9, გვ. 3.

ასევეა გაყალბებული ილია ჭავჭავაძის აზრი 1913 წლის გაზეთ „სიტყვაში“ (№ 8) გამოქვეყნებულ ნ. ჟორდანიას სტატიაშიც, რომელიც გაზეთ „ერ'ში“ დაბეჭდილი კიტა აბაშიძის წინამდებარე წერილის („ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“) საპასუხოდაა დაწერილი. ამ სტატიაში, რომელშიც ილია ისევ და ისევ „რეაქციული მოძრაობის“ მეთაურად არის დასახული, ხოლო ილიას წინააღმდეგ ბრძოლა — ნიშანდობლივ თვისებად და უდავო დამსახურებად „ქართული რადიკალიზმისა“, ნ. ჟორდანია ილიას ზემოხსენებული სტრიქონების ციტირების შემდეგ, ამ სტრიქონების კიტა აბაშიძისეულ შეფასებასაც მოიხსენიებს — „ამ სიტყვებს ყოველი ადამიანი, ვინც უნდა იყოს იგი, თამამად ხელს მოაწერდაო“, — და განაგრძობს: „ე. ი. გაზეთი „ერი“ დღეს „თამამად“ იზიარებს ილიას მაშინდელ შეხედულებას ხალხზე. ახლა მითხარით, რა არის ეს შეხედულება თუ არა დემოკრატიზმის ძირიანათ უარის ყოფა? ასმა კაცმა თავისი მსჯავრი გამოიტანა საზოგადო მოვლენაზე,.. მათ ნულები უწოდეს, ე. ი. მათი აზრი საზოგადო კითხვაზე მოსატანი არ არისო. დემოკრატიის პატივისცემას ილიას ვერ მოვსთხოვთ, მარა რა უნდა ითქვას იმ ხალხზე, რომელიც თავს „სოციალისტსაც“ უწოდებს (იგულისხმებიან ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები — გ. ა.) და დღეს, როცა ეს „ნულები“ კანონმდებელსაც კი ირჩევენ, — ილიას ანტიდემოკრატიულ მოსაზრებას ქებას ასხამენ? თუ ხალხს არ შეუძლია თავისი მსჯავრი გამოიტანოს საზოგადო მოვლენაზე იმიტომ, რომ მას მეცნიერება არ შეუსწავლია, მაშ არც ხმა უნდა მიენიჭოს საზოგადო კითხვების გადაწყვეტაში, მაშასადამე დემოკრატიული წყობილება, ხალხის სუვერენობა სისულელეა. აი, საითკენ მიდის ილიას გამოთქმული და ფედერალისტების მიერ მოწონებული დებულება. „კვალმა“ ეს მაშინვე ამხილა ილიას და გამოესარჩლა ყბადაღებულ დემოკრატიას: დემოკრატიამაც თავისი პირველი პოლიტიკური ამოსაღები ამ მოსაზრების წინააღმდეგ გამოლაშქრებით დაიწყო, „ნულების“ ხმა გაზეთის

ფურცლებზე პირველათ გაისმა: მოძრაობა გაფართოვდა და გაღრმავდა". (იხ. ნ ა-ძ ე [ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა], ჟურნალისტის შენიშვნები, გაზ. „სიტყვა", 1913 წ., 10 XII, № 8, გვ. 3.). ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნ. ჟორდანია, თავისდაუნებურად, თვითვე აღიარებს, თუ როგორ დემაგოგიურ მეთოდებს მიმართავდნენ გაზ. „კვალის" მესვეურები ილიას წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლად და როგორ იღწვოდნენ ილიაზე ლაშქრობის „გასაფართოვებლად და გასაღრმავებლად".

16. ნ. ჟორდანიას „ქართული პრესა", რომელიც, არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უფრო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დამცირების გულისათვის იყო დაწერილი", ცალკე წიგნად 1900 წლის აგვისტოში დაისტამბა, თავდაპირველად კი — ამავე წლის იანვარ-ივნისის თვეებში, — წერილების სახით იბეჭდებოდა გაზეთ „კვალში", საერთო სათაურით — „პრესა" (იხ. გაზ. „კვალი", 1900 წ., №№ 5,7,9,11,13,16,21,23,25,26).

ნ. ჟორდანიას „პრესა", როგორც ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, „იმ აზრზეა აკინძული, რომ დაამტკიცოს „ივერიის" კონსერვატორობა და უშარგისობა, მისი უთავბოლობა, ერთს აზრზედ დაუდგრომლობა, ილია ჭავჭავაძის უხეირობა, თავადაზნაურობისათვის მის მიერ გუნდრუკის კმევა და სხვა ამისთანები". (ა ხ ა ლ-მ ო ს უ ლ ი [ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე], უმეცრობის ფართი-ფურთი, — გაზ. „ივერია", 1900 წ., 18 III, № 60, გვ. 1.).

ნ. ჟორდანიას „პრესის" პუბლიკაცია უშუალოდ „კვალის" იმ ნომრის (№ 4) შემდეგ დაიწყო, რომელშიც გიორგი წერეთლის დაკრძალვისას წარმოთქმული, ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებული სიტყვები იყო გამოქვეყნებული, და მისი ბეჭდვა პირველ ხანებში, აღნიშნულ სიტყვებთან დაკავშირებული, — ისევ ილიას წინააღმდეგ მიმართული, — ზემოთ მითითებული „გამოხმაურებების" პარალელურად მიმდინარეობდა. მას შემდეგ კი, რაც ნ. ჟორდანიას „პრესაში" გამოთქმული შეხედულებების საპასუხოდ გაზ. „ივერიის" 1900 წლის №№ 60—62-ში დაიბეჭდა „ახალ-მოსულის" (ილია ჭავჭავაძის) წერილი — „უმეცრობის ფართი-ფურთი" და ნ. ჟორდანიასა და „ახალ-მოსულს" შორის მწვავე პოლემიკა გაჩაღდა*, ამჯერად უკვე ამ ახალმა პოლემიკამ აღძრა „დასელების ბელადის" თანამოაზრეთა

---

* იხ. „ახალ-მოსულის": „პატარა საუბარი", — „ივერია", 1900 წ., № 65; „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიისი", — „ივერია", 1900 წ., № 73; „პატარა საუბარი", — „ივერია", 1900 წ., №№ 76, 78, 84; „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრისა", — „ივერია", 1900 წ., № 81; „ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი", — „ივერია", 1900 წ., №87; ნ. ჟორდანიას: „გზა და გზა", — „კვალი", 1900 წ., №№ 13, 15—18; „წერილი „ივერიის" რედაქციის მიმართ", — „ივერია", 1900 წ., № 84.

ახალი „გამოხმაურებები“, და წინასწარგანზრახულმა და ორგანიზებულმა ლაშქრობამ ილიას წინააღმდეგ უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო. ნიშანდობლივია, რომ ამ „გამოხმაურებათა“ ავტორები ეხებოდნენ არა აღნიშნული პოლემიკის არსს (მაშინ, როცა ილიას წერილებში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე იყო საუბარი, ძირითადად — საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებით), არამედ ილიას პოლემიკის სტილს, რომელსაც ისინი შეუწყნარებლად და თავისი „ბელადის“ — ნ. ჟორდანიას შეურაცხმყოფელად მიიჩნევდნენ.

ამ პოლემიკას კიტა აბაშიძეც გამოეხმაურა და მკაფიოდ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება როგორც გაზეთ „კვალისათვის“ საერთოდ დამახასიათებელი პოლემიკური „ხერხებისა და ხრიკების“, ასევე, საკუთრივ ნოე ჟორდანიას „პრესის“ მიმართაც:

„...პოლემიკა შესაძლოა მხოლოდ რიგიან მოწინააღმდეგესთან, — წერდა კიტა აბაშიძე, — მისი ფარ-ხმალი სიმართლისა და ჭეშმარიტების მოყვარეობა უნდა იყოს და არა ჭორები და ინტრიგები. ჭორის წინააღმდეგ ბრძოლა ყოვლად შეუძლებელია და უთუოდ ამიტომაც არის, რომ „კვალის“ პოლემისტები ამ უძლეველ იარაღს ხელიდან არ უშვებენ. ამიტომაც გულით ვწუხვარ, რომ ბ-ნ ახალ-მოსულს „კვალისტებთან“ პოლემიკისათვის მოუცლია“. მეთოდებმა „კვალისტების“ პოლემიკისა „კარგად გვამცნო, თუ რა ხერხიანი ვაჟბატონები ბრძანდებიან და როცა კუდი მოეწვით, რა ბინძურ საშუალებას მიმართავენ ხოლმე. შორს რად წავიდეთ, „კვალის“ უკანასკნელი ნომერი (№ 17) აიღეთ და ნახეთ იმათი მანიფესტები „ახალ-მოსულის“ წინააღმდეგ: „ნიღაბი აიხადეთ, ნიღაბი აიხადეთ“, უყეფენ აქეთიქით „ახალ-მოსულს“ გ. წერეთლისგან მოწოდებული ლეკვები (ამ სახელით მოუნათლავს განსვენებულ გ. წერეთელს ამ პროგრესულ დასთა მოციქულები და თუ საჭირო იქნება, ამის მოწმეებსაც დავასახელებთ). რად დასჭირდათ ნეტავ ეს ნიღბის ახდა? რასაკვირველია იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ხერხს — ჭორიკნობას მიჰყონ ხელი და განაცხადონ: მაგისთანა კაცთან არა ღირს ლაპარაკი, მაგან ესა და ეს კაცი გაძარცვა, ამას ცოლი წაართვა, ამას შვილი მოუწამლა, ამას ჯიბიდან ფული ამოაცალაო და სხვა და სხვა. ამისი, რასაკვირველია, ბ-ნ „ახალ-მოსულს“ არ შეეშინდება, მაგრამ ერთი ავიწყდებათ „კვალის“ სულის ჩამდგმელთ, ეს ის, რომ ტალახში სიარულის დროს კალოშები გვჭირია და მაგათთანა მოდავესთან ნიღაბი ერთგვარი კალოშია: როგორ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ყველას არა ჰსურს თავისი სახელი და გვარი გააჩირქიანოს და მაგათ სახსენებლადა და სათრეველად გახადოს.

ყოველივე ეს იმიტომა ვსთქვი, რომ ზოგიერთ ჩემ ლიტერატუ-

რულ მეგობარიაგან (შეცა მყავს მეგობრები, თუმცა არა ას ერთი მანიფესტანტი კირვალიძის სკოლისა) საკუდური მესმის, რატომ არ გავსცემ პასუხს ჟორდანიას „პრესასა"? იმავე მისეზებით, რომელნიც... 1899 წლის „ივერიის" №-62-ში მქონდა დასახელებული*. და... ვისაც რისამე გაგება სურს და ცოტად მაინც უდევნებია თვალყური ჩვენის წარსულის ჟურნალ-გაზეთებისათვის, თვით ამ „პრესიდგან" დაინახავს, რა სანდობი და რიგიანი პოლემისტი ბრძანდება ბ-ნი ჟორდანია". (კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, გაკვრით, გაზ. „ივერია", 1900 წ., 3 V, № 95, გვ. 3).

ნოე ჟორდანიასთან პოლემიკისას ილია ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებულ წერილებთან დაკავშირებით, 1900 წლის 28 მაისით დათარიღებულ ბარათში, კიტა აბაშიძე თავის მეგობარს — მწერალსა და პუბლიცისტს იასონ ბაქრაძეს სწერდა (თბილისიდან ოდესაში). „...ილიას ამ წერილებმა მე იმაში დამარწმუნა, რომ მის მეტი ცოცხალი და გონიერი კაცი ჩვენ არა გვყავს. მასთან ერთად მოჰკვდება უკანასკნელი ქართველი. ჟორდანიას „პრესას" აბა, რა ხმა გავსცე, იმაზედ, რაც შეადგენს ილიას დიდებას — როგორც სამშობლოს შვილისას, ლაპარაკი არ შეიძლება (ცენსურის გამო). ეს კარგად იცის ამ ინტრიგანმაც და იმიტომ დაიწყო ეგრეთი სახიზღარის წერილების სტამბვა. როზგის ღირსია მაგისთანა უნამუსი მწერალი და არა ლაპარაკის"... (ციტირებული წერილი კიტა აბაშიძის საოჯახო არქივშია დაცული).

17. ციტირებულია არჩილ ჯორჯაძის ნარკვევიდან „პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე." — იხ. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, ტფილისი, 1911, გვ. 90. (აღნიშნული ნარკვევი, სათაურით — „ილია, როგორც პუბლიცისტი", თავდაპირველად 1901 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის" №№ 6—10-ში).

18. ციტირებულია გ. წულუკიძის უსათაურო წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა რუბრიკაში „წერილები რედაქციის მიმართ". — იხ. გაზ. „კვალი", 1900 წ., 23 IV, № 17, გვ. 275.

19. „ქართველი ექიმის" ციტირებული წერილი („წერილი რედაქციის მიმართ") დაიბეჭდა გაზ. „კვალში", 1900 წლის 30 აპრილს (№ 18), გვ. 289—290.

---

* გაზ. „ივერიის" მითითებულ ნომერში გამოქვეყნებულ „წერილში რედაქციის მიმართ" კიტა აბაშიძე წერდა: „...ჩვენის საზოგადოებისა და მწერლობის ღირსების დამცირებად მიგვაჩნია ისეთის წერილების შესახებ დასწერო რამე, რომელიც აგებულია ინტრიგებზედ და ნაშობია ბინძურის გრძნობისაგან... სწორედ ამავე მისეზთა გამო „კვალის" ნაწარმოებთა პასუხისგება ჩვენის თავის დამცირებად მიგვაჩნია და აი რატომ: რასაც დასწერენ უთუოდ მათივე შეთხზული ინტრიგა და ჭორია, ყოველსავე სინამდვილეს მოკლებული და აბა, რა პასუხი გაეცემა ინტრიგას?"

20. იგულისხმება „ქართველი ექიმის“ მითითებული წერილის შემდეგი პასაჟი: „არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი მოვლენა, რომელიც შეეხმიანება თფილისის სათავადაზნაურო ბანკის ყრილობებზე და რომელიც მომაგონებს ბ. ახალ-მოსულის პოლემიკურ ფანდებს. როცა ერთი ოპოზიციის მოთავეთაგანი ლაპარაკს დაიწყებდა (კარგად ლაპარაკობდა ქართულათ) და გამგეობას ამხელდა ხოლმე ისეთი ფაქტებით, რომლის დარღვევა გამგეობას არასგზით არ შეეძლო, ამ დროს, შუა ლაპარაკში, შეაწყვეტინებდა ბაასს ერთი გამგეობის წევრთაგანი და შეეკითხებოდა: „რა ბრძანეთ, კნიაზო?“ ისიც გულწრფელათ გაუმეორებდა ხოლმე და მით იწყვეტდა ბაასის ძაფს და ამ დროს გაისმოდა დარბაზში — „ჰოო!“ გამგეობის წევრისა, ისეთი სახის შეცვლით (გრიმასით), თითქოს ამ „ჰოომ“ დაარღვია ძირეულათ მოყვანილი ფაქტი. ამით ეს ბატონი შთაბეჭდილებას თავის სასარგებლოთ ახდენდა და მეტი არც იმას ჰსურდა. აქ ბ. ახალ-მოსულის პოლემიკაშიაც ხშირათ „ჰოო“-ს ძახილი მოისმის“...

21. ციტირებულია კ. ი. ჯაფარიძის უსათაურო წერილიდან, რომელიც გაზ. „კვალის“ 1900 წლის 7 მაისის ნომერში დაიბეჭდა, რუბრიკაში — „წერილები რედაქციის მიმართ“ (№ 19, გვ. 306).

22. ციტირებულია გაზ. „კვალში“ 1900 წლის № 19-ში (რუბრიკაში — „წერილები რედაქციის მიმართ“, გვ. 306–307) დაბეჭდილი უსათაურო წერილიდან, რომელსაც 9 „პროტესტანტი“ აწერს ხელს.

23. იგულისხმება „პროვინციელი ნულის“ ხელმოწერით 1900 წლის 30 აპრილის გაზ. „კვალში“ (რუბრიკაში — „ნულების წერილები“) დაბეჭდილი წერილი („კვალი“, 1900 წ., № 18, გვ. 291).

24. ციტირებულია ილია ჭავჭავაძის პოლემიკური წერილიდან — „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“, რომელიც „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1900 წლის 2 აპრილს (№ 73, გვ. 3).

25. იხ. შენიშვნა № 19.

26. იხ. ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, გზა-და-გზა, — გაზ. „კვალი“, 1900 წ., IV, № 17, გვ. 272–274.

27. ჟორდანიას „პრესის“ წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკურ წერილში — „უმეცრობის ფართი-ფურთი“, რომელსაც ნ. ჟორდანია გულისხმობს და რომელიც „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზ. „ივერიის“ 1900 წლის №№ 60–62-ში, ილია ჭავჭავაძე წერდა: „ვიცი, ჩემი მკითხველი დამემდურება და მისაყვედურებს: განა ღირს ბ-ნი ჟორდანია, რომ იმის გამო ამდენი დრო, ქაღალდი და მელანი დაიხარჯოსო? მართალი ბრძანებაა,..“ მაგრამ „დიდი ხანია გულს მისიებს, გულის მიმღვრევს ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობის ფართი-ფუროი და ქადილების მტვერ-ბუქი. ვითმინე, ვითმინე და ბო-

ლოს აივსო ფიალა მოთმინებისა"... (გაზ. „ივერია", 1900 წ., 20 III, № 62, გვ. 1).

28. ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, გზა-და-გზა, — გაზ. „კვალი", 1900 წ., 23 IV, № 17, გვ. 274 — 275.

29. ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, გზა-და-გზა, — გაზ. „კვალი", 1900 წ., 30 IV, № 18, გვ. 288—289.

30. „ბანკირად" და „ლიტერატორად", როგორც ზემოთ დავინახეთ, „ახალ-მოსული" მოხსენიებული იყო 1900 წლის გაზ. „კვალის" № 18-ში გამოქვეყნებულ „ქართველი ექიმის" საპროტესტო წერილში; „ივერიის" გამგედ" კი „ახალ-მოსული" მოიხსენიება „კვალის" ამავე ნომერში, „ნულების წერილების" რუბრიკაში დაბეჭდილ წერილში, რომელსაც სოფ. ბახვის წარმომადგენელი „მე-102 ნული ნ. ვ-ძე" აწერს ხელს და რომელიც სავსებით ცხადყოფს, რომ ავტორმა — ისევე როგორც, რაღა თქმა უნდა, „კვალის" რედაქციამაც, — კარგად იცოდა, ვინც წერდა „ახალ-მოსულის" ფსევდონიმით: „ძმანო ნულებო! — ვკითხულობთ ამ წერილში, — მე, თქვენი მეასმეორე ამხანაგი... გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს, დიდებულ „ნათლიას" და უცნაურ „სახელს". მართლაც რომ უცნაური სახელი გვიწოდა „ნათლია" ჩვენმა. მაგრამ ეს ადვილი მოსანელებელი იქნება, თუ გავიხსენებთ „ნათლია" ჩვენის ბრწყინვალე სახეს, მის ზრდილობას და პატიოსნებას. მარტო ის გვეყოფა სასიქადულოთ, რომ ჩვენი „ნათლია" დიდი ვინმეა, დიდი გვარის შვილი და დიდი ადგილიც უჭირავს. ჯერ ერთი ის რათ ღირს, რომ ის მთელი „ივერიის" გამგეა..."

იმ ფაქტს, რომ ნ. ჟორდანიამ იმთავითვე იცოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ფსევდონიმი „ახალ-მოსული", არაერთი ეჭვმიუტანელი ფაქტი ადასტურებს. ასე, მაგ., „ქართველი ექიმის" ზემოდასახელებულ საპროტესტო წერილს ნ. ჟორდანიას ასეთი შენიშვნა ჰქონდა დართული: „ჩვენ ბევრი ასეთი წერილები მოგვდის და ამ წერილების უმეტესი ნაწილი გვირჩევს, თავი დაანებეთ ახალმოსულთან პოლემიკასო. ჩვენ ამას კაიხანიდან ასე ვიქმოდით, რომ ბატონი ახალმოსული „დიდი ვინმე" არ იყოს და, მაშასადამე, ბევრი ბრმა თაყვანისმცემელი არ ჰყავდეს. საჭიროა ამათაც დაინახონ ის, თუ რა ავლა-დიდების პატრონია მათი კერპი" (გაზ. „კვალი", 1900 წ., № 18, გვ. 290). ხოლო 1900 წლის 7 მაისის „კვალში" (19) გამოქვეყნებულ ერთ-ერთ საპროტესტო წერილში ვკითხულობთ: „ბ. ახალმოსულმა, თავის პოლემიკით, გარდა იმისა, რომ ზიზღი დაიმსახურა ყველა შეგნებული ქართველი მკითხველის თვალში, აშკარათ ჰყო ჩვენი ბრწყინვალე და ამაყი ინტელიგენციის უღონობა, რომელიც დუმს და კმაყოფილდება თავისი ბელადის ლანძღვა-გინებით", — ამ საპროტესტო წერილს კი

„რედაქტორის“, — ფაქტობრივად კი, ცხადია, ნოე ჟორდანიას, — ასეთი შენიშვნა დაერთვის: „სრულებით არ დუმს, ახალმოსულს ექომაგებიან ბ. კიტა აბაშიძე — „ჰვერიაში“ (№ 95) და ბ. ლალი — „მოამბეში“.

დაუჯერებულია, მაგრამ ციტირებული სტრიქონების ავტორი — და ფაქტიური რედაქტორი გაზეთისა, სადაც 1900 წელს არაერთგზის სრულიად აშკარად იყო მინიშნებული „ახალ-მოსულის“ ვინაობა, — 1913 წელს დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ვითომც, 1913 წლამდე ფსევდონიმი „ახალ-მოსული“ არავის „გაუხსნია“: „ეს პსევდონიმი პირველათ გახსნა „ერის“ თანაშრომელმა, — დაბეჯითებით წერდა ნ. ჟორდანია, — პირველათ ამ გაზეთში ითქვა (წერილში: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ — გ. ა.), რომ „ახალმოსული“ ილია იყოვო. ეს დიდათ სასიამოვნოა, რაც ავტორს მოუვიდა არა ჭკუით, არამედ თავისი ყარაჩოღლური მოურიდებლობით. ცოტა რომ ის დაფიქრებულიყო, გაიგებდა, რომ ილიას მომხრენი დიდათ მალავდნენ ამ პოლიშინელის საიდუმლოებას; იმდენათ არ მოსწონდათ „ახალმოსულის“ წერილები, რომ ერთმა მათგანმა, მგონი კიტა აბაშიძემ, პრესაშიაც კი უარჰყო ილიას „ახალმოსულობა“ და მრისხანეთ გამოაცხადა: „როგორ ბედავთ ამ პსევდონიმის ილიასთვის მიწერასო. (ჩანს, ნ. ჟორდანია ხვდებოდა, თუ ვის ეკუთვნოდა „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ და კიტა აბაშიძის ზემოაღნიშნული არარსებული განცხადების „გახსენებაც“, ვფიქრობთ, ამით ჯიხსნება — გ. ა.). დაგვეთანხმებით, რომ ახალმოსულის წერილები დიდათ დასაგმობი რამ ყოფილა, თუკი ასე ცდილობდენ მისი ავტორის დამალვას. კარგი და საქები წერილები რომ ყოფილიყო, მაშინვე არ აყვირდებოდენ: შეხეთ ჩვენს ილიას, რას სიბრძეს სწერსო? და ასე, თუკი „ახალმოსულის“ წერილები თვით ილიას მომხრეებს არ მოსწონდათ, თუ ისინი ავტორს ხელს აფარებდენ, რატომ „კვალის“ მკითხველს უნდა მოსწონებოდათ? და აკი პროტესტებიც განაცხადეს...

„ერი“ ამტკიცებს, რომ პრეტესტანტებმა კარგათ იცოდნენ „ახალმოსულის“ ვინაობა და სწორეთ ამიტომ ამხედრდენო. საიდან ეცოდინებოდათ ეს, როცა „ჰვერიელები“ გაიძახოდენ: „ახალმოსული“ მართლა ახლათ ჩამოსულია, ილია არ გეგონოთო! ზოგმა თუ იცოდა — იცოდა ეჭვით და ესეც თფილისში, პროვინციაში არც ეს იცოდენ...“ — იხ. ნა-მ ე [ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა], ჟურნალისტის შენიშვნები, გაზ. „სიტყვა“, 1913 , 10 XII, № 8, გვ. 3.

საგულისხმოა, რომ ნ. ჟორდანიას მოგონებათა წიგნშიც — „ჩემი წარსული“ (რომელიც ემიგრაციაში დაიწერა 1939 წელს, ხოლო პირველად 1953 წელს გამოიცა პარიზში), 1900 წლის დამდეგს „ახალმოსულის“ წინააღმდეგ „დასელთა“ გალაშქრების გახსენებისას,

ისეა საუბარი ილიას ამ ფსევდონიმის შესახებ, თითქოს ნ. ჟორდანიამ დანამდვილებით არც იმჟამად (1900 წელს) და არც შემდგომ არ იცოდა, რომ „ახალ-მოსული“ ილია ჭავჭავაძე იყო: „1900 წ. გარდაიცვალა გ. წერეთელი. — მოგვითხრობს ნ. ჟორდანია, — თფილისის მუშათა კლასმა გაუმართა დიდებული გასვენება, ნიშნათ იმ ღვაწლისა, რაიცა მან დაიმსახურა „კვალი“-ს გადმოცემით და ჩვენს გვერდში ამოდგომით. ეს იყო პირველი გასვენება საზოგადო მოღვაწის, რომელსაც მუშათა მასა დაესწრო. ამ გარემოებამ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ინტელიგენციაზე, რომელიც უფრო და უფრო გაერთიანდა ჩვენს წინააღმდეგ. ბრძოლის უმწვერვალესი პერიოდი დადგა 1900 წელს, როცა მე გამოვაქვეყნე „კვალ“-ში პრესის ისტორიული განხილვა და რაც შემდეგ ცალკეც გამოიცა. „ივერია“-მ ასტეხა პირველი განგაში. გამოვიდა წერილი ახალმოსულის პსევდონიმით, თან გავრცელეს ხმა, რომ ავტორი „თვით ილია“ არისო. მაგრამ როცა დაიბეჭდა ამ წერილის გაგრძელება ძრავალ ნომრებში, რომელთა ტონმა გამოიწვია საერთო აღშფოთება, დაიხიენ და თქვეს — ავტორი ილია არ არისო. ვინ არის? ზოგი ამბობდა ნ. ხიზანიშვილია, ზოგი — გ. ყიფშიძეა, ზოგი — ახნაზაროვია და სხვ. მუშებისაგან მივიღეთ საპროტესტო წერილები, ერთს ხელს აწერდა ასამდე კაცი, მეორეს — 500-ზე მეტი და სხვ. („პროტესტანტია“ რიცხვი რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა — გ. ა.), რაიცა ქვეყნებოდა „კვალ“-ში. პროტესტს აცხადებდენ არა შინაარსის, არამედ ფორმის და ტონის წინააღმდეგ. მუშები ასწავლიდენ ინტელიგენციას ზრდილობას. ატყდა პოლემიკა, უკანასკნელი, გადამწყვეტი. საქმეში ერეოდა მუშათა ორგანიზაციები. საერთო აზრი იყო, რომ საკითხი ახლა საბოლაოთ ნათელია, გზა გაკვალულია, ხაზი მოცემულია, რასაც ხალხი უნდა მისდევდესო. „ივერიელთ“ კი მუდამ ეგონათ -- ამ დავაში ხალხი არაფერ შუაშია, მათ არც კი ესმით ეს, ყოველივე ეს ყინყლი ატეხილია ნ. ჟორდანიას და მისი თანამშრომლების მიერო“. (ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული, თბ., 1990 წ., გვ. 37—38).

ჩვენი მკითხველი, რომელიც ნ. ჟორდანიას მეთაურობით ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ 1900 წელს „დასელთა“ ლაშქრობის ისტორიას პირველწყაროებით გაეცნო, კომენტარების გარეშეც იოლად შეამჩნევს, თუ რამდენად ძლიერი ტრასფორმაცია განიცადა ნ. ჟორდანიას მოგონებებში წარსულის სურათებმა და რაოდენ არაადეკვატური დახასიათება და შეფასება ჰქონდა ისტორიულ ფაქტებსა თუ მოვლენებს.

31. უკვე 1900 წლის აპრილიდან ილია ჭავჭავაძე შეუძლოდ იყო, — გულს უჩიოდა, — მალე კი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ იგი იძულებული გახდა სამკურნალოდ

საზღვარგარეთ (ბერლინი, კარლსბადი) გამგზავრებულიყო (1900 წ. 20 VI—15 IX). უცხოეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, „ივერიის" დროებით რედაქტორად, ილიას რეკომენდაციით, ვასილ ალექსანდრეს ძე სულხანიშვილი ინიშნება (ვ. ა. სულხანიშვილი, როგორც გაზეთის „დროებითი რედაქტორი", „ივერიას" ხელს აწერს 1900 წლის 25 ივნისიდან); 14 ნოემბრიდან კი კვლავ ილია განაგრძობს გაზეთის რედაქტორობას. საბოლოოდ ილია „ივერიას" 1902 წლის მაისიდან ანებებს თავს.

ვფიქრობთ, ეჭვგარეშეა, რომ გაზეთ „კვალის" მესვეურთა მიერ ორგანიზებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ, რომელიც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ თვეების მანძილზე წარმოებდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ამ პერიოდული გამოცემის ფურცლებიდან, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ილიას ჯანმრთელობის შერყევას. ამდენად ძალზე ძნელია იწამო „კვალის" რედაქციის გულწრფელობა, როცა იგი, უცხოეთში ილიას გამგზავრებისას, გაზეთის მორიგ ნომერში, ილია ჭავჭავაძის „სრულიად გაჯანსაღებას" და სამშობლოში მის „ადრე დაბრუნებას" ნატრობს: „ეს კარგა ხანია ავათ იმყოფება თ. ი. ჭავჭავაძე, და, თუმცა, ექიმების სიტყვით, საშიში არა აქვს რა, მაგრამ მაინც საზღვარგარეთ ურჩევიათ წასვლა და იქ მორჩენა. როგორც გავიგეთ, ამ ახლო ხანში კიდევაც აპირებს გამგზავრებას გერმანიაში. ვუსურვებთ სრულიად გაჯანსაღებული ადრე დაბრუნებულიყოს სამშობლოში". („სხვადასხვა ამბები", — გაზ. „კვალი", 1900 წ., 11 VI, № 24, გვ. 375).

32. 1905 წლის 6 მარტს ქართველ თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე ილია ჭავჭავაძემ განაცხადა: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან". (იხ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, წერილი რედაქციის მიმართ, — გაზ. „ივერია", 1905 წ., 9 მარტი, № 21). მეოცე საუკუნის დამდეგის ქართულ სინამდვილეში ეს იყო პირველი საჯაროდ გამოთქმული მოთხოვნა საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ (მანამდე ამ საკითხზე მხოლოდ გაზ. „საქართველო" ამახვილებდა ყურადღებას, — ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანო, რომელიც 1903—1905 წლებში გამოდიოდა პარიზში და არალეგალურად ვრცელდებოდა საქართველოში), — დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთხოვნა, რომელიც ილიასავე ინიციატივისა და ავტორიტეტის წყალობით, 1905 წლის 1 აპრილს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამაც გაიზიარა (შემდეგ კი — დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამაც) და საფუძვლად დაედო იმპერატორისადმი მიმართულ პეტიციას. „სახელმწიფოს საერთო სარგებლობა და საჭიროებანი — ჩაიწერა აღნიშნულ პეტიცია-

ში, — აიძულებენ თავადაზნაურობას გამოსთქვას თავისი რწმენა, რომ ქართველი ხალხის კულტურული განვითარება იქნება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რომელმაც ნებაყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედსა, მიენიჭება უფლება, იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივ კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული, და ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორ კენჭისყრით თუ იქმნებიან ამორჩეულნი". (გაზ. „ივერია", 1905 წ. 2 IV, № 43; გაზ. „ცნობის ფურცელი", 2 IV, № 2787).

ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამ ილიასეულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, 1905 წლის 15 მაისს ჟურნ. „მოგზაურში" გამოქვეყნებულ წერილში ფილიპე მახარაძე წერდა: „ჩვენ სავსებით გვესმის თავადი ილია ჭავჭავაძის გაბრაზება დღევანდელ მოძრაობის გამო. მართლაც-და, კაცი მთელ თავის სიცოცხლეში იმას ცდილობდა, რომ თავისი ბატონობა განემტკიცებია, რომ რაც შეიძლება მეტი წილი გლეხის ნაოფლარისა ჩაეგდო ხელში, რისთვისაც იგი გლეხკაცობას ყოველგვარ შევიწროებას აყენებდა, რისთვისაც იგი არაფერს არ ზოგავდა, ოღონდ კი თავის მიზანი განეხორციელებია და ახლა ხედავს, რომ ყოველივე ეს იფუშება, ყოველივე მისი მეცადინეობა იკარგება... ჩვენ ახლა კარგათ გვესმის, თუ ასე ძალზე რისთვის იჭაჭებოდა თ-დი ჭავჭავაძე, როცა საქართველოს ავტონომიის შესახებ სჯა-ბაასი ჰქონდა ქართველ თავადაზნაურობას. ჩვენ ახლა კარგათ ვიცით, თუ რას ნიშნავდა იმის სიტყვები, რომ ყველა კანონებს აქ, ადგილობრივ, უნდა ვწერდეთო. კაი თქვენ დაგემართებათ, კარგ კანონებს დაუთესდით თქვენ მუშა-ხალხს!" — იხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თავის გამართლებაც ასეთი უნდა! (პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს), — ჟურნ. „მოგზაური", 1905 წ., 15 V, № 18, გვ. 279.

33. დამოწმებული თვალსაზრისი განვითარებულია ალექსის ტოკვილის (1805—1859) — ცნობილი ფრანგი ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის, — ნაშრომში „ძველი წესწყობილება და რევოლუცია" (1856 წ.).

34. ბ[ატონი] ფ. მ. — ფილიპე მახარაძე (1868—1941 წწ.), სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი (შემდეგში — ცნობილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე). წერილში, „რომელიც ამშვენებს 1905 წლის მაისის „მოგზაურის" № 18—19-ს", იგულისხმება ფილიპე მახარაძის ცილისმწამებლური წერილი „თავის გამართლებაც ასეთი უნდა! (პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს)". კიტა აბაშიძის წინამდებარე წერილის ტექსტში აქ (და ქვემოთაც, სადაც ფ. მახარა-

ძის მითითებული წერილის გამოქვეყნების თარიღია მოხსენიებული) კალმისმიერი შეცდომაა დაშვებული, რომელიც გავასწორეთ: „1905 წლის მაისის“ ნაცვლად ტექსტშია „1905 წლის მარტი“.

35. ჟურნ. „მოგზაური“, 1905 წ., 22 V, № 19, გვ. 278.

36. ი ო ვ ა ნ ე, 18, 29—30.

37. ი ო ვ ა ნ ე, 18, 33—34.

38. ი ო ვ ა ნ ე, 18, 36.

39. როგორც „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ ადასტურებს, კიტა აბაშიძეც იმ მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნებოდა, ვინც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში — „ამ საშინელ ბოროტმოქმედებაში“ — მთელს ქართველ ერს (და თვით საკუთარ თავსაც!) ადანაშაულებდა. იგივე აზრი კიტა აბაშიძეს ბევრად ადრეც ჰქონდა გამოთქმული, — ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში — „დიდებული მოძღვარი“, რომელიც ილიას დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ (1907 წლის 20 სექტემბერს) დაიბეჭდა გაზეთ „ისარში“.

აღსანიშნავია, რომ ილიას მკვლელობისა და დაკრძალვის დღეებში კიტა აბაშიძე „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“ საქმეებთან დაკავშირებით, პეტერბურგში იმყოფებოდა და თავისი გულისწუხილის გამოთქმა თავსდამტყდარი ეროვნული უბედურების გამო, მას, იმ ტრაგიკულ დღეებში, ტელეგრამით მოუხდა. ტელეგრამის ტექსტი — „ცხარე ცრემლით ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს“*, — საკმაოდ ცხადად მიანიშნებდა კიტა აბაშიძის სულიერ განწყობილებაზე, ზემოდასახელებულ წერილში კი მისი დამოკიდებულება მომხდარი შემზარავი ფაქტის მიმართ უკვე სრულიად აშკარად იყო გამოხატული.

საგულისხმოა, რომ თუმცა აღნიშნულ წერილში ჯერ კიდევ არაა სახელდებით მითითებული ილიას მკვლელობის წამქეზებლებსა და ორგანიზატორებზე, მაგრამ წერილის შინაარსი საკმაოდ ცხადყოფს, რომ კიტა აბაშიძემ იმთავითვე კარგად იცოდა მათი ვინაობა.

მოგვყავს ზოგიერთი ამონაწერი ამ წერილიდან, რომელიც 1907 წლის შემდეგ აღარ გამოქვეყნებულა:

„უკვე ბნელსა და ეგრედ წოდებულ გრილ მიწას მივაბარეთ გვამი ჩვენის დიდებულ მოძღვრისა, ჩვენის დიდის კაცისა და მე კი ჯერაც კალმისათვის ხელი ვერ მომიკიდნია. იმ ჩვენის ერისათვის შავ დღეს მერმე რაღაც უხილავი და უცნაური ძალა ყურში ჩამკივის და დაჟინებით მოძღვრის დიდებულ სიტყვებს იმეორებს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?!!

---

* იხ. გაზ. „ისარი“, 1907 წ., 6 IX, № 195; იხ., აგრეთვე, კრებული — „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გამოცემა „კალამისა“, ტფილისი, 1907, გვ. 257.

და ისეთივე ჯოჯოხეთურის დაჟინებით ეს ლექსი აქა სწყდება. ამ უცნაურ ხმას თან ირონიული კილო აქვს და კბილთა ღრჭენა მესმის, თან საოცარის სევდიოა და ნაღვლით არის აღსებული. და ამ დროს მომელანდება დამშვიდებული სახე მოძღვრისა, საუკუნო საიდუმლოებით მოცული, და თვალიდან ჩემდა უნებურად ცრემლი მომდის. ამ დროს ყოველთვის კალამი ხელიდან მივარდება...

მახსოვს ჩრდილოეთი სატახტო ქალაქი. მახსოვს გაზეთი... მახსოვს ორი სტრიქონი: „ტფილისის მახლობლად სასიკვდილოდ დასჭრეს სახელმწიფო საბჭოს წევრი ო. ი. ჭავჭავაძე და მოუკლეს მსახური". მახსოვს, სახტად დავრჩი...

მთელი საშინელი სურათი თვალწინ გადამეშალა. ვიცოდი — ვინ მოჰკლა, როგორ მოჰკლეს, რად მოჰკლეს... მაგრამ ამ ფაქტის შერიგება შეუძლებელი იყო... გრიგ. ვოლსკის ამბავი გამახსენდა,* გულის ფანცქალით ველოდი ორ დღეს და თუმცა ჩემს გულში რაღაც ძარღვი გასწყდა, ლაჩარი გრძნობა მაინც მანუგეშებდა — არა, არაფერია, მორჩება, თუმც დაჭრილიაო... თითქო აქ მარტო ფაქტს არა ჰქონდეს მნიშვნელობა. მეორე დღეს საშინელება დამტკიცდა... ვინ? — ჩემთვის ცხადზე უცხადესი იყო! რად? — ჩემთვის ცხადი იყო... მე პირდაპირ როგორღაც წინასწარმეტყველური შეგნება მომეცა მოვლენისა... ჩემი მდგომარეობა მაინც გამორკვეული არ იყო; უეცრად ყოველივე, რაც კი ჩემის ცხოვრების იდეალს შეადგენს, დამსხვრეულად მომეჩენა... ჩემს ნერვებს ვაბრალებდი. ქართულ გაზეთს („ისარს") არც კი ვეძებდი, მეშინოდა, ვფიქრობდი — ვაითუ ამ ფაქტს სხვაგვარად უცქერიან და არა ისე, როგორც მე... მაშინ ხომ ჩემი სიგიჟე ცხადია მეთქი.

მხოლოდ როცა წავიკითხე პირველი ნომერი „ისრისა", ჩემი მდგომარეობა გამოირკვა. მაშინ ვიგრძენი მთელი ფიზიკური ტკივილი ამ მოვლენისა. მაშინ ვიგრძენი, რომ მე არა ვყოფილვარ გიჟი და თუ ვყოფილვარ, კიდევ ყოფილა ორი-სამი კაცი ჩემი სიგიჟის ამხანაგი... უდიდესი ტანჯვა და სევდა, მწარე ცრემლის ღვარი, სასოწარკვეთილება უსაზღვრო და საშინელი, რომლითაც გაჟღენთილი იყო ყოველი სტრიქონი ამ გაზეთისა, ერთადერთი ნუგეში გახდა ჩემი; გულზე მალამოდ მომეცხო და თვალთაგან ცრემლი წამსკდა: ჩემთვის ცხადზედ უცხადესი შეიქმნა: თავისი დიდებული მოძღვარი მოჰკლა ქართველმა ერმა. იმ ერმა, რომელიც დიდებულ მოძრაობაში მარტო ერთი გრძნობითა და აზრით იკვებებოდა — საქართველოს, ქართველი ერის, ე. ი. თავის თავის უარყოფითა და ზიზღით, ეს

---

* ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი (1860--1909 წწ.) 1907 წლის 1 აგვისტოს მძიმედ დაჭრეს (უცნობმა პირებმა). თავდაპირველად ხმა გავრცელდა — გრ. ვოლსკი მოუკლავთო.

გრძნობა გამოხატა საშინლად, მხეცურად და საეროვნო გრძნობის დიდებული დარაჯი ვერაგულად, საზიზღრად მოჰკლა.

ქართველი ერი ამ მოქმედებით წყეულ ერთა რიცხვში ჩაეწერა, ქვეყანაზე სამაგალითოდ შეიქმნა: ქრისტე თუ ჯვარს აცვეს, — დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, „ბურჟუებს“ შეგვიძლიან გადავაბრალოთ; სოკრატე თუ მოსწამლეს, ისიც „ბურჟუებს“ შეგვიძლიან გადავაბრალოთ გულის მოსაფხანად... მაგრამ ისტორიის განგებამ იცის ხალხი, ერი და არა ბურჟუა და ფეოდალი, და ის ერი, რომელიც თავის დიდებულ კაცსა ჰკლავს, მორიელია, რომელიც თავისის შხამით თავის თავსვე იწამლავს. ამიტომაც ურიასტანი მოისპო, საბერძნეთი დაეცხო და ქართველმა ერმა არ იკმარა, რომ თავის შესარცხვენად საქვეყნოდ განაცხადა — ქართველობის წოდება სათაკილოდ მიმაჩნიაო, მოჰკლა ქართველი ერის სული, — დიდებული კაცი ერისა არის მისი სული.

ქართველმა ერმა დიდებულის მოძღვრის სულის მოკვლაც მოიწადინა და ვითა საშუალო საუკუნეებში, ამ რამდენსამე წლის წინათ დიდუბის მოედანზე დიდებულის მოძღვრის ნაწარმოები ცეცხლს მისცა. ქართველმა ერმა თავისი მადლობა დიდებულ მოძღვარს იმითი გადაუხადა, რომ როცა „სახალხო“ თეატრის დარბაზში ტფილისში მოძღვრის სახელის ხსენება უნდოდათ, ამის მსურველს კინაღამ სცემეს, ხოლო დიდებულის კაცის სურათი ფეხქვეშ განართხეს. დღეს კი სამარეში ცალის ფეხის შექონე მოძღვარს სიცოცხლე დაუმოკლეს...

ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისი, რომ ქართველი ერი უკურნებელის სენით არის ავად და მისი დღეები დათვლილია, ეს ცხადზედ უცხადესია. ეს სიმპტომი ისეთია, როგორიც სულთმობრძავის ხრიალი...

მოჰკლა და მერე პარადი გააკეთა... მოძღვრის დასაფლავებაზე, ქართველს რომ ნამუსი ჰქონოდა, არც კი უნდა გამოჩენილიყო, თავზედ ნაცარი უნდა დაეყარა და სახლში ჩაკეტილიყო, თავის თავისაც უნდა შინებოდა...

იტირა — ვინ? საშძიმარი გამოუცხადა — ვის? ნუგეში სცა — ვისა? განა არ იცოდა, რა ხდებოდა ამ დღეს? ამ დღეს ქართველმა ერმა თავის თავისთვის საფლავი გაითხარა...

ამ ფაქტმა მე და ორიოდე ჩემსავით გიჟს საშინელება ქართველის ერის დაღუპვისა თვალწინ ნათლად დაგვიხატა... მოგვისპო ყოველივე სასოება ერისა, გაგვიქარწყლა იმედი, და დღეს, მოხუცებულობას მიღწეულს (ქართველი კაცი ოცდაათ წელიწადს შემდეგ მოხუცებულია), წაგვაროვა ის, რითაც ვსაზრდოებდით ოცდაათი წლის განმავლობაში; მოგვგლიჯა გულიდან, წალეკა შეხსიერებიდან და მიწაზე დაანარცხა ჩვენი იდეალი, ჩვენი რწმენა, ჩვენი დარდი და მუდ-

მიცი ფიქრი და ოცნება — „ძაძულო საყვარელო, შენ როსღა აღვავდები“?

პასუხი მოგვესპო; ნაცვლად მესმის ჯოჯოხეთური სიცილი ბოროტის ძალისა -- „ჩემო კარგო ქვეყანავ, რასედ მოგიწყენია“? — თითქო დასცინოდეს დიდებულ მოძღვარს: ეგეც შენი უკურნებელი ოპტიმიზმი, ეგეც შენი შეურყეველი რწმენა, აი შენი „კარგი ქვეყანაო“. მესმის ეს სიტყვები და თანაც მელანდება დიდებულის მოძღვრის დასისხლიანებული, დამშვიდებული სახე, საუკუნო საიდუმლოებით მოცული...

აი, ეს არის ჭეშმარიტი (და ჩემიანების) დაუსრულებელი ტანჯვა; ეს არის ჩემი (და ჩემიანების) უსაზღვრო კაეშანი და ვარამი... რა საუკუნო გრძნობით შეუერთდი გამოუცნობელს, დიდებულო მოძღვარო, გაგახსენდა ეს სიტყვები, დარწმუნდი, რომ შენი „კარგი ქვეყანა“ გკლავს და საუკუნო გულის ტკივილით განუტევე სული, რაიცა უფრო მწარეა ყოველ სიკვდილზედ?!

უეჭველია, უეჭველი, თორემ რად დამხარხარებს ეს წყეული ხმა, რად ურევს მწარე ირონიასა და გესლს, რადა სწყვეტს შუაზედ დიდებულს გრძნობას დიდებულის სულის შექმნილს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“?..

თუმც ციტირებულ წერილში ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მთელი ქართველი ერია დადანაშაულებული, მაგრამ, რასაკვირველია, ყველასათვის აშკარა იყო, თუ ქართველი ერის სახელდობრ რა ნაწილი აცხადებდა „თავის თავის შესარცხვენად და საქვეყნოდ — ქართველობის წოდება სათაკილოდ მიმაჩნიაო“; თუ ვინ მისცა ცეცხლს დიდი მწერლის ნაწარმოებნი; ვინ გადათელა ფეხით ქართველი ერის დიდი ადამიანის სურათი, — და, მაშ, ვის მიიჩნევდა კიტა აბაშიძე „საეროვნო გრძნობის დიდებული დარაჯის“, „დიდებული მოძღვრისა“ და „ქართველი ერის სულის“ მკვლელად.

კიტა აბაშიძის წერილში, რადა თქმა უნდა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმაც ამოიცნეს საკუთარი თავი. და სწორედ ამით აიხსნება ის შეფასება, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ ამ შესაისშნავ წერილს მისცა: „ბ-ნ კიტა აბაშიძეს ასეთი ბოდვა მიეტევება, რადგანაც მას თვითონ შეაქვს იჭვი თავის ჯანმრთელობაზე და ნერვების სისრულეში“. (გას. „ჩვენი გზა“, 1907 წ., 14 X, № 33, გვ. 3).

10. იგულისხმება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და პოლიტიკური მოღვაწის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878—1965 წწ.) „სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის თბილისში ჩამოსვენების დროს, 7 სექტემბერს, 1907 წ.“, რომელიც Baton-ის ფსევდონიმით დაიბეჭდა კრებულში — „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გამოცემა „კალამისა“, ტფილისი, 1907, გვ. 176—184.

41. იგულისხმება ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ცენტრალურ ორგანოში — ყოველდღიურ ლიტერატურულ და პოლიტიკურ გაზეთ „ისარში“ 1907 წლის პირველ სექტემბერს დაბეჭდილი სარედაქციო წერილი — „საზარელი მკვლელობა“.

42. იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიურ ლიტერატურულ და პოლიტიკურ გაზეთში „ჩვენი გზა“ (1907 წ., № 1) ხელმოუწერლად გამოქვეყნებული წერილი — „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“.

43. ი. ე ვ დ ო შ ვ ი ლ ი, ნაძირალებს, — გაზ. „ისარი“, 1907 წ., № 192, გვ. 2.

44. წიწამურის ტრაგედიის „დედაძარღვის გამოსააშკარავებლად“ მეტად მნიშვნელოვანია იროდიონ ევდოშვილის მიერ 1911 წლის 23 ნოემბერს სანდრო შანშიაშვილისადმი ციმბირის გადასახლებიდან (ჩერნო-იარიდან) გამოგზავნილი ბარათი, რომელშიც — ირ. ევდოშვილის ზემოთ ციტირებული წერილისაგან განსხვავებით, — ქართველი სოციალ-დემოკრატები სრულიად აშკარად არიან დადანაშაულებულნი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში:

„...ამ მოკლე წერილით ვერ გამოვსთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდა დიდიხანია ვთქვა, რაც შხამის ტბათ ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩემმა სამეგობროებმა დაატრიალეს. მართალს მწერ, სანდრო, ვიცი, რომ იმგვარი გადამთხვეულები, რომლისთვისაც შენ კბილები მიგიმტვრევია, ბევრნი არიან, მლანძღავენ, მჭორავენ, აქა ვარ, გამოვეცალე იქაურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყეფენ და მოპარვით ზურგიდან მჩხვლეტავენ. კარგა ხანია, რაც ამ გველებმა სისინი დაიწყეს. ეს მოხდა იმ დროს, როცა ამგვარმავე „გადამთხვეულებმა“ ილიას მოხუც ნაჭირნახულევ გულს ტყვია დაახალეს. ეს ტყვია მეც მომხვდა; როგორც სამგლოვიარო სევდა, მე ხმა ამოვიღე ლექსით, წერილებით და აქ გაწყდა ჩემსა და მათ შორის შემაერთებელი ძაფი. მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაფი კი არა, ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი იმიტომ, რომ მათთან ვიყავ მე მიჯაჭვული მთელი ათითორმეტი წლის განმავლობაში იდეიურათ. მხოლოდ საქმე იმაშია, რო არავინ იცის — როდის დაიწყო ჩემს გულში ბრძოლა ორი აზრის შორის: რას ვემსახურო: საქართველოს ერს, როგორც პოლიტიკურათ დაჩაგრულ ხალხს, თუ პროლეტარიატს, როგორც ეკონომიურად დაჩაგრულ კლასს? ორივე ჩემთვის ძვირფასი იყო და დღესაც ძვირფასია, მაგრამ როდესაც ქართველმა ესდეკებმა (სოციალ-დემოკრატებმა — გ. ა.) საქართველოს ხსენებაც კი სათაკილოდ გაიხადეს, როდესაც მისი აწინდელი კვნესა მომავალ სოციალიზმის შვებასთან დააკავშირეს და ცხონებას სიკვდილის შემდეგ დაპპირდნენ, მაშინ კი ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადაატრიალა მათ წინააღმდეგ. ეს მოჰხდა

ჯერ კიდევ 1903 წელს, მაშინ მივანებე კიდეც „კვალში“ თავი მუშაობას. ნელ-ნელა მიდიოდა ეს ნაკადული ჩემს გულში, ჩუმათ, მარტოთ-მარტო ჩემს ფიქრებში. ძნელათ იყო თორმეტი წლის ნაჭედი ჯაჭვის გაწყვეტა, და აი, ილია დამეხმარა მე თავის სიკვდილით. იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველი ესდეკებიდამ და თუ მივბრუნდები დღეს მათკენ, მივბრუნდები მხოლოდ იმისთვის, რომ მივაფურთხო მათ. ვიმეორებ და შენს ყურადღებას მივაქცევ ორ სიტყვას: ქართველ ესდეკებისაკენ მეთქი. იმიტომ რო ასეთი უკუღმართი შეხედულება, როგორც მათა აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ქვეყნის ს.-დემოკრატს არ აქვს. დააკვირდი და ყურადღება მიაქციე ავსტრიის ესდეკებს, გერმანელებს და სხვ. მაგრამ თუ დღეს ქართველ მუშას ასეთი უკუღმართი შეხედულება აქვს ეროვნულ კითხვაზე, ამაში, რასაკვირველია, ქართველი ესდეკი ინტელიგენციაა დამნაშავე. მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გამოვასწორო. მე ისიც კარგად ვიცი სანდრო, რომ ბევრს, ამავე მიზეზის გამო, შეგნებულ მუშას და ინტელიგენტს გადმოუბრუნდა ჩემსავით გული, მაგრამ ძრიელ ცოტანი ჰბედავენ მათში კერძო ლაპარაკის დროს თავის გულწრფელი აზრების გამოთქმას, წერით ხო ეშინიანთ და ემალებიან იმ ზიზღს, რომელიც მე მდევს თან მათი ამხანაგებისაგან. მაგრამ შენ ხომ იცი, პოეტის გული კალამს ვერ გაამრუდებს, და მეც ვერ გაუძელ გულის თქმას, ვამბობ და ვწერ იმას, რასაც ჩემი გული მელაპარაკება. მათი ნესტრის ტრიალი დეეჯახა ქიზიყელის ჯიუტ გულს და დღეს უნდა გითხრა, მე გამარჯვებული ვარ ამ გველებზე. მათი შხამიანი ისარი ვერ აღწევს მიზანს, თუმცა ძვირათ კი დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა. ბევრი ნაღველი გამოვიარე და ამ ნაღველმა სევდის ჩრდილი დაჰკრა ჩემს სულს.“ (ციტირებული წერილი, რომელიც გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული, პირველად, სრულად, გამოაქვეყნა ქ-ნმა ციალა კარბელაშვილმა, რუსულ ენაზე. — იხ. ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზია“, 1968 წ., № 12).

45. შესაძლებელია იგულისხმებოდეს მიხაკო წერეთლის წერილი „კაცია-ადამიანი?!“, რომელიც Baton-ის ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზეთ „ისარში“, 1907 წლის 2 სექტემბერს.

„ვინ მოჰკლა ილია? ქართველმა თუ სხვა ერის უმსგავსომ? — წერდა მ. წერეთელი, — ...რა მიზეზიც უნდა იყოს იმის მკვლელობისა, ვინც უნდა იყოს მისი მკვლელი, საქართველოს დღეს ჩირქი მოეცხო, ისეთი ჩირქი, რომლის მსგავსიც მას არასოდეს არ მოსცხებია, და თუ მართლა დღეს ჩვენში კიდევ დარჩენილა კაცი, რომელსაც ადამიანი ჰქვიან, რომელიც თავის თავსა სთვლის ადამიანად, ერთადერთი რამ დაგვრჩენია, — შურისძიება! მაგრამ ჩვენი ქვეყანა სიგრძე-სიგანით შეურაცხყვეს და გააუპატიურეს, — ხმა კი არავის

ამოუღია ვაჟკაცურად და ღირსეულად. გარდა სასოწარკვეთილის ლაჩრულ ხახილისა, ღონემიხდილ-შერცხვენილისა, ჩვენში ძლიერი ხმა არავის სმენია კაი ხანია, და რა იმედიღა უნდა გვქონდეს, რომ ეხლა მაინც შეიცვლება ეს სამარეში ჩასასვლელად მოშზადებული, რომ ხელში ავიღოთ მახვილი და მტერი განვგმიროთ, ვინც უნდა იყოს?! მითხარით, ჩვენში ამისთვის ვის შესწევს ძალა, მითხარით, საქართველოს სინდისი კიდევ ცოცხალია, თუ სამუდამოდ დაიმარხა სამარეს ილია ჭავჭავაძესთან ერთად? დაე, ეხლა გამოჩნდეს ჯელაფერი!"

მაგრამ კიტა აბაშიძე შეიძლება გულისხმობდეს მოწოდებას ქართველებისადმი, რომელიც ილიას მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ პროკლამაციების სახით გავრცელდა საქართველოში. აი, ამ პროკლამაციის ტექსტი, რომელიც მცირედენი შემოკლებით ჟურნ. „შურდულის" სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა (1907 წ., № 1, გვ. 5—6) და, რომელიც, ვფიქრობთ, ასევე მიხაკო წერეთლის კალამს ეკუთვნის:

„ქართველებო! ნუ ვაპატიებთ ნურავის ასეთ საშინელ შეურაცხყოფას, ნუ მოვიჭრით თავს ქვეყანაში. უგუნურმა ხალხმა იესო ჯვარს აცვა და ქრისტეს მეგობრებმა შური ვერ იძიეს; მაგრამ ეს იყო ოცი საუკუნის წინეთ. ნუთუ ახლა მთელი საქართველო უნდა შეიქმნეს იმ ადამიანის ჯვარმცმელი, რომელმაც 60 წელზე მეტი იმსახურა.

ქართველებო! ხელი ხმალს, მოვიდა ჟამი ნამდვილი თავის დაცვისა ყველა ოხერთაგან, ცინიკოსთაგან, უგუნურთაგან, უნამუსოთაგან, კაცისმკვლელ ავაზაკთაგან.

ქართველებო! მხოლოდ საშინელი შურისძიებით შეიძლება ამ იუდობის ბეჭდის ჩვენი შუბლიდან მორეცხვა! ხელი ხმალს იკარ, ქართველო, დღეს დამტკიცდება შენი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა.

მაგრამ თუ ქართული სინდისი ისე არ გამქრალა ჯერ, რომ ჩვენ არ ჩაგვიდენია ეს საშინელი დანაშაული ჩვენივე თავის წინაშე, — თუ ილია სკვითთა მსხვერპლია ისე, როგორც ჰერცენშტეინი და იოლლოსი, ქართველებო, ნურც მაშინ შევაწევთ მტერს ასეთ დანაშაულს, ხელი ხმალს მაშინაც და ავინაზღაუროთ ის საშინელი დანაკლისი, რომელმაც ილიას სიკვდილით ყველა ჩვენ უბედურებასთან შედარებით გაცილებით უფრო გაგვანადგურა!

ქართველებო! კმარა ამდენი მოთმინება! აღიესო მოთმინების ფიალა! ვინც უნდა იყოს ილიას მკვლელი, გარეული თუ შინაური, — დაჰკარ, ვაჟკაცო, გულცივად და შეუბრალებლად, კმარა ამდენი სილაჩრე აზრითა, მოქალაქეობითა და იარაღითა!

ქართველებო! ვინც უნდა იყოს დამნაშავე, — გარეშე თუ შინა-

ური, — ერთნაირი შურისძიება მათ, სასტიკი, ულმობელი და ღირსეული!

ქართველებო! შემოკრბით საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩვენ სატახტო ქალაქში, თბილისში, განურჩევლად სჯულისა, რწმენისა და ადგილისა! მართლმადიდებულნო, — ქართლ-კახელნო, გურულ-იმერ-მეგრელნო, აჭარა-ქობულეთელნო, მესხნო და ჯავახელნო, სვანნო და რაჭველ-სამურზაყანოელნო, თუშნო და ფშავ-ხევსურნო, რათა ვიღონოთ ჩვენ მტერთა აღმოჩენა და მათი დასჯა საერთო ძალით!..“*

აღსანიშნავია, რომ შურისძიებისაკენ მოწოდებამ ქართველი საზოგადოებრიობის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. სწორედ ზემოციტირებულ სტრიქონებს გულისხმობდა ვაჟა-ფშაველა, როცა გაზეთ „ისარში“ გამოქვეყნებულ წერილში „ვერ მოჰკლეს“ (1907 წ., 6 IX) წერდა: „... რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის ჰეროსტრატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვექცნეთ ამ უბადრუკებს? — ნუთუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი — ცეცხლი და მახვილი მკვლელებსო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავურთოთ ზედ? დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი...

...სისხლი სისხლისათვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს — სირცხვილი? განა იმათ ადამიანობისა ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას?.. არა. არ არიან ასინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად, და პირუტყვებზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე. ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?!“

---

* ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დღეებში საქართველოში სხვა პროკლამაციაც გავრცელდა, რომელიც გაზ. „ჩვენი გზის“ ცნობით, „ანარქისტ-კომუნისტთა ადგილობრივი ჯგუფის“ ნახელავი იყო და რომელშიც ილიას მკვლელობა ჩაგრულთა მიერ შურაგვრელების წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლის გამოვლენად და მისაბაძ მაგალითად იყო დასახული. პროკლამაცია მშრომელ ხალხს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამძაფრებისკენ მოუწოდებდა: ჩვენ არ შეგვიძლიაო, ეწერა პროკლამაციაში, „პეტრე მოციქულსავით უარი ვთქვათ თავის თავზე და ვთქვათ, რომ მესაკუთრეთა და უმწეოთა შორის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩვენ ვგმობთ უმწეოთა ბრძოლასო. ჩვენ არ დავგმობთ ჩაგრულთა ბრძოლას, არა და არა!..

...ჩვენ, როგორც შეგვეფერის თავისუფლებისათვის აჯანყებულთ, ვესროლოთ ფუხებში გამძვინვარებულს მხეცს რეაქციისას სოციალური რევოლუცია და ჩავახრჩოთ უხიაგი მხეცი თავისავე სისხლის მორევში!“ (ციტირებულია გაზ. „ჩვენი გზა“, 1907, 13 IX, № 8, ჟურნ. „შურდული“, 1907 წ., № 2).

მაგრამ მიხაკო წერეთელმა (სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა ილია ჭავჭავაძის ნეშტის თბილისში ჩამოსვენების დროს, 1907 წლის 7 სექტემბერს) დაუშვებლად მიიჩნია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მიტევება: „მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს — ილიას ხსოვნას შურისძიება არ ეკადრებაო! კი, ეკადრება!

ამ სირცხვილს მხოლოდ შურისძიებით გავაქარწყლებთ. შურისძიება მთელი ერისა იმ უმსგავსთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელ ქვეყანაში გააბიაბრუეს, ერთადერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანიური თვისებისა და დიდსულოვნების დამამტკიცებელი კი არ იქმნება და, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისა!“ (იხ. „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907, გვ. 182).

46. ციტირებულია სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველკვირეულ პოლიტიკურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ გაზეთ „ცისკარში“ 1907 წლის 16 სექტემბერს (№ 1) დაბეჭდილი წერილიდან — „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო“.

47. ნ. ჟორდანიას დასახელებული წერილი დაიბეჭდა გაზეთში „ჩვენი გზა“, 1907 წლის 9 ოქტომბერს (№ 28), ნ. ჟ-ს ხელმოწერით.

48. სახელმწიფო საბჭოს წევრი, კადეტთა პარტიის წარმომადგენელი პროფ. მ. ი. გერცენშტეინი მოკლეს შავრაზმული ორგანიზაციის — „რუსი ხალხის კავშირის“ 1906 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით.

49. მკრეხელურმა ანალოგიამ ხის მოჭრისას ნაფოტების ცვენასა და რევოლუციის ხანაში ილიას მოკვლას შორის, ქართველ სოციალ-დემოკრატთა წრეში, ჩანს, ფართო გავრცელება პოვა: „თოფივით გავარდა პეტერბურგში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი და აღაშფოთა სტუდენტობა. — ვკითხულობთ ცნობილი ქართველი პუბლიცისტის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის რევაზ გაბაშვილის (1882—1969 წწ.) მოგონებებში, — მახსოვს,.. კინაღამ გავგლიჯეთ ვალიკო ჯუღელი, მაშინ ბოლშევიკი, რომელმაც ცინიკურად განაცხადა: «Лес рубят — щепки летят», რასაც იმეორებდა ყველა მენშევიკიც“. (რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, რაც მახსოვს, მიუნხენი, 1959 წ., გვ. 58).

50. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ანტუან ლორან ლავუაზიე (1743—1794 წწ.), რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს (1789—1794 წწ.) კონსტიტუციურ მონარქიას უჭერდა მხარს, რევო-

ლუციური ტრიბუნალის განაჩენით სიკვდილით დასაჯეს 1794 წლის 8 მაისს.

51. მალიუტა სკურატოვი — გრიგოლ ლუკიანეს ძე სკურატოვ-ბელსკი (?—1573 წ.), მეფე ივანე IV-ის „ოპრიჩნიკების" მეთაურთა-განი, განთქმული იყო თავისი სისასტიკით.

52. ციტირებულია მ. ად-ლის — მიხეილ ადამაშვილის (ჯავახი-შვილის) წერილიდან „ვინ მოკლა ილია", — გაზ. „ისარი", 1907 წ., 13 X, № 224.

53. ნოე ჟორდანია წერდა: „მოგზაურის" წერილსა და ილიას მკვლელობას შორის რამდენიმე წელიწადი გავიდა. ნუთუ ჭკვაში მყოფელ კაცს შეუძლია ამტკიცოს, რომ ოდესღაც „მოგზაურში" და-ბეჭდილი წერილი წელს წაიკითხა ვიღაცამ და იმის გავლენით მკვლელობა ჩაიდინა?.. „მოგზაურის" წერილს სრულიად არ გამოუ-წვევია ილიას პირადობასთან შეტაკება, მან ხელი შეუწყო მხოლოდ მასსიურ მოძრაობას, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას... „მო-გზაურის" წერილმა საიდუმლო სენი გარეთ გამოიტანა, ამით ორივე მხარე გააფრთხილა და მოლაპარაკების გზა უჩვენა". (ნ. ჟ ო რ დ ა-ნ ი ა, ბნელი ძალები, გაზ. „ჩვენი გზა", 1907 წ., 9 X, № 28).

54. ჩანს, იგულისხმება კიტა აბაშიძის მიერ ზემოთ ციტირებული წერილი — „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე", რომელიც 1907 წლის 4 სექტემბერს დაიბეჭდა გაზეთში „ჩვენი გზა", № 1.

55. ილია ჭავჭავაძის დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვაში კარლო ჩხეიძე ილიას ნეშტს მიმართავდა: „შენ სამოღვაწეო ასპარეზ-ზე გამოდი მაშინ, როცა რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრათ შეირყა, როცა ბატონყმობის დახავსებული სიმაგრის ხღუდეებს ძლიერათ შეეჯახა ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები და როცა პირველათ მოისმა ხმა ძველი მონური ცხოვრების წინააღმდეგ. ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავი, რომელიც ჩაები განახლებულ ცხოვრების ფერხულში და ჩადექი იმ მცირე რაზმში, რომელმაც იკისრა მეთაურობა მაშინდელი საზოგადოების, და შენი ნიჭის და პოეტური შემოქმედების საგნათ დაისახე დაგესურათხატე-ბია ჩვენთვის ბატონყმური ცხოვრების საზიზღროება. შენ დაასურა-თე უფსკრული და ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის; შენ გესლიანი ენით დასცინე და სასიკვდი-ლოთ მოშხამე ის, ვინც დიდებით და პატივით იყო წინეთ მოცული; შენ ჩვენ თვალწინ საოცრათ გადაშალე გონებრივი სიკოტრე, გონე-ბრივი სიდუხჭირე, სრული არარაობა და პარაზიტობა ბატონის, იმ ბრწყინვალე წოდების, რომელიც ფუქსავატი, სიამაყით და მედიდუ-რებით იყო აღსავსე; შენ დაგვიხატე ლუარსაბი და დარეჯანი, ეს ღვიძლი შვილები და ტიპიური წარმომადგენლები ჩვენი ბრწყინვალე

წოდებისა. ამასთან ერთათ შენ იმ დროისთვის საუცხოოთ დაგვის-ურათე აგრეთვე უმწეო და უბედური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა ლუარსაბების უღელში გაბმული გლეხები, შენ დაუპირდაპირე ერთი-მეორეს თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და დაგვანახვე, რომ მათი ერთათ არსებობა შეუძლებელია, რადგან პირველის ბედნიერება მეორის უბედურებაზეა აგებული, სადაც პირველი იცინის, იქ მეორე უნდა სტიროდეს, როცა ერთი მაძღარია, მეორეს უნდა შიოდეს, როცა დათიკოს თბილა, გაბროს ცივა. გულის სიღრმეში ჩაგვეჭრა ჩვენ ეს სურათები. ჩვენ მაშინ დავგმეთ ძველი ცხოვრება და სიტყვა დავსდევით — შეძლებისდაგვარათ გავეკლავებოდით ბოროტებას, რომლითაც აღსავსე იყო ჩვენი ცხოვრება. ამრიგათ, შენმა მგოსნურმა ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალთაობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ ღერძათ აღიარა. ამ ახალგაზრდობისთვის, სხვათა შორის, შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურათ, რომელზედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგარიყო, რომ გულმოდგინეთ შესდგომოდა იმ დიადი მოძღვრების შესისხლხორცებას და ჩვენ ცხოვრებაში გადმონერგვას, რომელიც გვასწავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეადგენს სოციალიზმის დამყარება, ხოლო გზა, რომლითაც ამ მიზანს მიაღწევს კაცობრიობა, არის შეურიგებელი, სასტიკი ბრძოლა კლასთა შორის. შენ თითონ მოწმე გახდი იმის, თუ რა ძლევამოსილება შეისხა ამ სწავლა-მოძღვრებამ ჩვენში და რა ღრმა კვალი გაავლო მან ჩვენ ცხოვრებაში. რამდენათაც შენ შენი იმდროინდელი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეუწყვე ჩვენი საზოგადოების თვითცნობიერებას, რომ ჩვენ შეგვეყვარებია აღნიშნული მოძღვრება, რამდენათაც შენ გააღვიძე ჩვენ ახალგაზრდა ბუნებაში გრძნობები, რომელნიც აუცილებლათ საჭირონი არიან, რომ ჩვენ გულწრფელათ ვემსახუროთ სოციალიზმის დიად მომავალს, აი, სწორეთ ამდენათ გვსურს ჩვენ უკვდავი იყოს შენი სახელი".

აქვე დავსძენთ, რომ ილია ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობის ამ მაღალ შეფასებასთან ერთად, კარლო ჩხეიძის ამავე სიტყვაში ცხადად გამოვლინდა ის პრინციპულად მცდარი წარმოდგენაც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსისა და მისი ღვაწლის შესახებ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიაში, რომელიც ილიას მიმართ ქართველი სოციალ-დემოკრატთა დიდი უმეტესობის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების განმსაზღვრელ მიზეზს წარმოადგენდა: „ჩვენ მოწყურებელი ვართ უკანასკნელი ამქვეყნიური პატივისცემა მოგაგოთ და

სული შენდამი სიყვარული აღვნიშნოთ, — მიმართავდა კ. ჩხეიძე ილია ჭავჭავაძის ნეშტს, — მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. საზოგადოება, რომელიც შემოკრბა დღეს შენი ცხედრის წინაშე, იმდენათვე სხვადასხვაგვარია, რამდენათაც მრავალმხრივი იყო თვით შენი წარსული. ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის: თითქო, ჩვენ ყველანი ერთნაირათ ვუყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთრიგათ ეცემდეთ პატივს და ვაფასებდეთ შენს ღვაწლობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც შრომელ ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს. დაე, მოკვდენ და პატივი დაგდვან შენ ძალა-უფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის შომხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა, როგორც მამულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა ქებას...“ (გაზ. „ჩვენი გზა“, 1907 წ., 11 IX, № 6).

56. ნ. ჟორდანიასეული ანალოგია ილია ჭავჭავაძისა და ლუჟანოვსკის მკვლელობებს შორის, როგორც სამართლიანად მიუთითებდა გაზ. „ისარი“ 1907 წელს, იმ მკრეხელურ მიზანს ისახავდა, რომ დაეშტკიცებინა: „ფ. მახარაძესაც ისეთივე უფლება ჰქონდა დაეძახა ილიასათვის „ჯაშუში“ და „უსასტიკესი მემამულე“, როგორც ჰქონდა კოროლენკოს — გამოემჟღავნებია ლუჟანოვსკის სიმხეცეო“. (გაზ. „ისარი“, 1907 წ., 13 X, № 224).

57. ციტირებულია მ. ად[ამაშვი]ლის (მიხეილ ჯავახიშვილის) წერილიდან — „აღარ გაჩუმდებით?!“.— იხ. გაზ. „ისარი“, 1907 წ., 11 X, № 222, გვ. 2.

58. ილია ჭავჭავაძის მოურავს — მოსე მემარნიშვილს თავს დაესხნენ და მოკლეს (მისი მეუღლე კი სასიკვდილოდ დაჭრეს) საგურამოში 1907 წლის 7 ივნისს. მკვლელების შეპყრობა ვერ მოხერხდა, თუმც, ვარაუდით, მკვლელობის ორგანიზატორი და ერთ-ერთი მკვლელთაგანი პავლე ფშავლიშვილი, იგივე აფციაური, იყო (შემდეგში — ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე), რომელიც ადრე ილიასთან, საგურამოს კარ-მიდამოს დარაჯად მუშაობდა. მაგრამ იგი იმალებოდა და მისი შეპყრობა მხოლოდ ილიას მკვლელობის მერე, 1908 წლის 4 თებერვალს შეძლეს (დეტალურად იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938 წ.). ილია იმჟამად პეტერბურგში იმყოფებოდა: როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი მონაწილეობდა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიის მუშაობაში.

59. ილიას სიცოცხლისდროინდელი გამოცემები მის თხზულებათა კრებულებისა („დედა და შვილი“ და რამდენიმე ლექსი თ. ილია

ჭავჭავაძისა, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფილისი, 1882" და „თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I—IV, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტფილისი, 1892") მწერლის მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებს — ორიგინალურსა თუ თარგმნილს — მოიცავს.

60. როგორც გაზ. „ისარი" იუწყებოდა, „ილია ჭავჭავაძის დასაფლავების წინა დღეებში სოციალ-დემოკრატიის პარტიის თფილისის კოლექტივმა კრება მოიწვია და საკამათო საგნად გაიხადა შემდეგი თემა: „ი. ჭავჭავაძის მოკვლა და სოციალ-დემოკრატია". კრებამ ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ილია ჭავჭავაძეს ვერც გვირგვინს გაუგზავნის და ვერც მის დაკრძალვას დაესწრებაო (რასაკვირველია, ოფიციალურად)..."

გაზ. „ისარი" აღნიშნავდა აგრეთვე, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უკანდასახევი გზაც დაიტოვეს: „პარტიამ უარი განაცხადა განსვენებულის პატივისცემაზე და იმავე დროს პარტიულ ორგანოს (სოციალ-დემოკრატთა ყოველდღიურ პოლიტიკურ და ლიტერატურულ გაზეთს „ჩვენი გზა". — გ. ა.) უფლება მისცა გლოვისა და განსვენებულის პატივისცემისა. „ჩვენმა გზამაც" გვირგვინიც გამოგზავნა და ორატორიც..." მითითებული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტები პარტიის წევრთა შორის „მთელი კვირის განმავლობაში ცხარე აგიტაციას ეწეოდნენ, — ჭავჭავაძის დასაფლავებას ნუ დაესწრებითო", და, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ თუმც „მუშა-ხალხმაც წილი მოიღო საერთო გლოვაში" და ილიას დაკრძალვას, მიუხედავად აგიტაციისა, „მუშა-ხალხიც ბლომად დაესწრო", მაგრამ ეს, რასაკვირველია, მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა „უშველებელი არმიისა". (იხ. მ. ა დ-ლ ი, „აღარ გაჩუმდებით?" გაზ. „ისარი", 1907 წ., 11 X, № 222, გვ. 3).

აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კოლექტივის ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა გაზეთი „ჩვენი გზა", და თუმც მას არ უარუყვია მითითებული („ისარში" მოხსენიებული) საგანგებო კრების ჩატარების ფაქტი, მაგრამ კატეგორიულად განაცხადა, — „ისარმა" თბილისის სოციალ-დემოკრატიის დადგენილება დაამახინჯაო: „როცა სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციას რაიმე დადგენილება გამოაქვს ისეთ საკითხზე, რომელიც შეეხება მასსის გამოსვლას, — წერდა „ჩვენი გზა", — ამას ის აუწყებს ამხანაგებს ფურცლების სახით. გვიჩვენებს ბ. მ. ად-ლი ასეთ რამეს? ვერა, ვერ გვიჩვენებს, ვინაიდან არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. სოციალ-დემოკრატიის კოლექტივს არასოდეს არ აუკრძალავს ილიას დასაფლავებაზე დასწრება. რაც შეეხება იმას, რომ თვითონ კოლექტივმა არ გაუგზავნა

გვირგვინი და გაუგზავნა მეორე პარტიულმა დაწესებულებამ (გაზ. „ჩვენმა გზამ" — გ. ა.), ეს თვით პარტიის საქმეა და არა ვიღაც ეიგინდარების". (იხ. გაზ. „ჩვენი გზა", „რა ამბავია?", 1907, 13 X, № 32).

მაგრამ „ჩვენი გზის" ეს მტკიცება მხოლოდ იმ მხრივ შეიძლება იყოს სარწმუნო, რომ სოციალ-დემოკრატთა თბილისის კოლექტივს, როგორც ჩანს, თავისი დადგენილება ილიას დაკრძალვაზე არდასწრების თაობაზე მართლაც არ შეუტყობინებია პარტიის წევრებისათვის „ფურცლების სახით", თვით დადგენილების არსებობის ფაქტი კი არავითარ დაეჭვებას არ იწვევს და არაერთი ცნობით დასტურდება, — მათ შორის საკუთრივ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა 1913 წლის 14 აპრილს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბაქოს ბოლშევიკური ფრაქციის ყოველკვირეულ ჟურნალ „ჩვენ წყაროში" (ჟურნალის ფაქტიური რედაქტორი ფ. მახარაძე იყო), „ხირონარის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი — „საით შივდივართ?" — რომელშიც უკმაყოფილება და შეშფოთება იყო გამოთქმული იმის გამო, რომ დიდი ქართველი მამულიშვილის, მოაზროვნისა და პოლიტიკური მოღვაწის, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის იდეოლოგისა და ლიდერის არჩილ ჯორჯაძის (1872—1913 წწ.) დაკრძალვაში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა „ძალიან დიდი მონაწილეობა მიიღეს" და „არჩილ ჯორჯაძის სიკვდილი თითქმის პარტიულ საქმედ გაიხადეს". „უნებურათ მაგონდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და ევგენი რიხტერის გამწვავებული დამოკიდებულება", წერს „ხირონარი" და მკითხველს აუწყებს, რომ როცა „გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის პროგრესისტების ბელადი რიხტერი — დაუძინებელი მტერი სოციალიზმისა და სოციალ-დემოკრატიისა", მძიმე ავადმყოფი, „სასიკვდილო სარეცელზე" იწვა, ხოლო „გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიულმა გაზეთმა მას სასტიკი წერილი უძღვნა", რამაც „გერმანიის მთელი ლიბერალური პრესა აალაპარაკა, ბევრი ააშფოთა, სოც.-დემოკრატებმა დაახლოებით ასე განმარტეს თავისი აზრი: რიხტერი მთელ თავის სიცოცხლეში საძაგელი იყო და ავათმყოფობას და სიკვდილს არ შეუძლია მისი გამოცვლა და გადაკეთებაო".

„არ ვიცი, რატომ უარვყავით ჩვენ ასეთი ტაქტიკა? — ვკითხულობთ მითითებულ წერილში, — ჩვენ ყოველთვის ვსარგებლობდით ჩვენი გერმანელი ამხანაგების გამოცდილებითა და ცოდნითა და რატომ ამ შემთხვევაში სრულიად საწინააღმდეგოს ჩავდივართ?..

ილიას დასაფლავებისა და აკაკის იუბილეს დროს (1908 წელს — გ. ა.), როგორც იყო კიდევ შევირჩინეთ თავისი სახიერება, თუმცა ერ-

თობ სუსტათ. მაგრამ მაინც შეძლებისდაგვარათ განვსაზღვრეთ ჩვენი მათდამი დამოკიდებულება. მას შემდეგ კი ერთიანად დავეშვით რომანტიზმის წყლით მოსველებულ თავდაღმართში".

იდეური მოწინააღმდეგის დასაფლავებაზე არდასწრება ქართველ სოციალ-დემოკრატთათვის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის ტაქტიკის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, — სავსებით გამართლებულ, ყოველმხრივ წასაქეზებელ და მისაბაძ აქციას, და ამდენად ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე არდასწრების დადგენილების გამოტანა, მათთვის, ცხადია, არა მარტო ბუნებრივი იყო, არამედ მიუცილებელიც.

61. კიტა აბაშიძის ამ ვარაუდს სავსებით ადასტურებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის თედო სახოკიას (1868—1956 წწ.) მოგონება ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომელიც 1937 წელსაა დაწერილი: „1907 წლის ზაფხულია. სანამ გამასამართლებდნენ და გამაციმბირებდნენ, გასამართლების მოლოდინში სოხუმის საპატიმროში ვისხედით, როგორც საზღვარგარეთიდან იარაღის შემოზიდვის გამო პასუხისგებაში მიცემულნი — სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრები (იგულისხმება 1905 წელს საფრანგეთიდან საქართველოში, გემი „სირიუსით", აჯანყებულთათვის თოფების დიდი პარტიის ჩამოტანა — გ. ა.), ისე გუდაუთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მოღვაწეობის გამო დაჭერილები. გაზ. „ისარმა" გულშემზარავი ამბავი მოგვიტანა: აგვისტოს 30-ს ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო. მაშინვე წინადადება მივეცი პოლიტიკურ პატიმრებს, ყველას სამძიმრის დეპეშა გაგვეგზავნა გაზეთის რედაქციაში. აბა რას წარმოვიდგენდი, რომ ილიას სიკვდილი ერთნაირად საგლოვი არ იქნებოდა ყველა ქართველისათვის!

სოციალ-დემოკრატებმა, თუმცა ბოდიშით, მაგრამ მაინც უარი გვითხრეს: პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო!.. იძულებული ვიყავით, დეპეშა პოლიტიკური პატიმრების ერთი ჯგუფის (იგულისხმეთ: სოციალ-ფედერალისტები) სახელით გაგვეგზავნა". (თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა, ჩემი საუკუნის ადამიანები, სოლომონ ხუციშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1984, გვ. 32—33).

62. ანალოგიური ფაქტის შესახებ (ან, შესაძლოა, იმავე ფაქტის შესახებ, რომელსაც კიტა აბაშიძე მოიხსენიებს, თუმცა რამდენადმე განსხვავებულად) დაწვრილებით მოგვითხრობს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო წევრი სამსონ ფირცხალავა 1907 წლის 10 ოქტომბერს გაზ. „ისარში" გამოქვეყნებულ წერილში — „ვინ მოჰკლა ილია?", რომელშიც ვკითხულობთ: „ამ რამდენიმე დღის წინად პეტერბურგში ქართველ სტუდენტების კრება მოხდა. ეს იყო პირველი

კრება წელს და ამიტომ ერთმა სტუდენტმა წინადადება მისცა ამხანაგებს, რომ ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ განსვენებულ ი. ჭავჭავაძის ხსოვნისათვის და დეპეშა გაეგზავნათ იმის მხეცურ მოკვლის დასაგმობათ.

რასაკვირველია, ილიას მოკვლა ისეთი აშკარა, ნათელი და მასთან აღმაშფოთებელი, ყოვლად საზიზღარი და გულის ამრევი ამბავია, რომ ყოველ ადამიანს, ვისაც გარყვნილი არა აქვს გონება და გული, მხოლოდ ერთი რამ შეუძლია სთქვას: ზიზღი დიდებულ მგოსნის მკვლელს — მხეცს!

მაგრამ მეცნიერების ტაძარში ყოფილან ისეთი ქართველი სტუდენტები, რომლებსაც სულ სხვანაირი შეხედულება ჰქონიათ ილიას მოკვლის შესახებ. კრების დამსწრე 72 სტუდენტთაგან 35-მა განაცხადა: ეგ საკამათო საგანია, ჯერ უნდა ვითათბიროთ და მერე გადავწყვიტოთ: ღირსია თუ არა ილიას სიკვდილი იმისა, რომ მწუხარება გამოვსთქვათ, ან საზოგადოდ შევეხოთ მაგ საგანსო. გაიმართა კამათი და დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ კრებამ მიიღო დეპეშა და დაადასტურა მისი შინაარსი. ხოლო მიიღო სრულებით არა ერთხმად.

მარტო 45 სტუდენტმა მისცა მწუხარების და დაგმობის დეპეშას ხმა, 2 აშკარად წინააღუდგა და 39 „გაჩუმდა", უხმოდ დარჩა. უხმოდ დარჩა საკითხის გადაწყვეტის დროს, ხოლო როცა საქმე ირჩეოდა, მაშინ კი ხმამაღლა ამტკიცებდნენ, რომ ილიას მოკვლა რევოლუციონური აქტია, ილია, როგორც მემამულე, მოსაკლავი იყოო და სხვა.

ყველა ეს 41 სტუდენტი, ასე „ღრმად ჩახედული ცხოვრებაში", ყველა იმ მოძღვრების მიმდევარია, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულს ეძახიან, იმ ორდენის წევრები არიან, რომელიც გონებას უხშობს ადამიანს"... — იხ. ს ი ტ ყ ვ ა [ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა], „ვინ მოჰკლა ილია?" — გაზ. „ისარი", 1907 წ., 10 X, № 221, გვ. 1.

ზემოაღწერილი შემთხვევა, სამწუხაროდ, არ წარმოადგენდა ერთადერთ გამონაკლისს: „ჟენეველმა, ხარკოველმა, იურიეველმა და სხვა ქალაქების სოციალ-დემოკრატმა სტუდენტებმაც", პეტერბურგის სოციალ-დემოკრატ სტუდენტთა მსგავსად, „უარი სთქვეს სამგლოვიარო დეპეშის გამოგზავნაზე". მაგრამ ჰუმანური თუ უბრალოდ ადამიანური თვალსაზრისით ეს სრულიად შეუწყნარებელი დამოკიდებულება ქართველი ერის სულიერი მოძღვრის ხსოვნისადმი, ქართველ სოციალ-დემოკრატთა პოზიციისათვის სავსებით ბუნებრივი იყო და კანონზომიერი, რადგან, ქართველ „სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობას („შეგნებულებსაც" და „შეუგნებლებსაც") ილია ჭავჭავაძის მოკვლა სარევოლუციო აქტად მიაჩნდათ" (გაზ. „ისარი", 1907 წ., 11 X, გვ. 3), ხოლო „სარევოლუციო აქტის მსხვერპლისადმი"

რაიმე პატიოსანსაქმის გამოხატვა, მათი მტკიცე რწმენით, ყოველად დაუშვებელ უპრინციპობას წარმოადგენდა.

მაგრამ განსხვავებით ქართველ სოციალ-დემოკრატთა დიდი უმრავლესობისაგან, მათ ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ „რევოლუციონური აქტის მსხვერპლად“ ილიას აღიარება ამავე დროს ილიას მკვლელობაში მონაწილეობის აღიარებას ნიშნავდა, -- ვის, თუ არ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეეძლო იმხნად საქართველოში რევოლუციური აქტის განხორციელება?! -- და ამიტომაც იყო, რომ ისინი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ: არამც და არამც არ აღვიქვამთო ილია ჭავჭავაძეს „რევოლუციონური აქტის მსხვერპლად“: ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციას „რევოლუციონურ აქტად რომ მიეღო ილიას მოკვლა, — ეკითხულობთ 1907 წლის „ჩვენი გზის“ 13 ოქტომბრის (№ 32) სარედაქციო წერილში, -- მაშინ არავის ნებას არ მისცემდა გვირგვინი წაეღოთ და სიტყვა წარმოეთქვათ განსვენებული ილიას საფლავზე. ნუთუ გახეთმა „ისარმა“... არ იცის, რომ ჩვენ რევოლუციონურ აქტს არ ვგმობთ და არც არასოდეს დავგმობთ? ნუთუ ჩვენმა „ჭეშმარიტმა ქართველებმა“ ვერ გაიგეს, რომ ჩვენ რევოლუციონურ აქტს არ ვგმობთ და არც არასოდეს დაგვგმობთ? ნუთუ ჩვენმა „ჭეშმარიტმა ქართველებმა“ ვერ გაიგეს, რომ ჩვენ რევოლუციონური აქტის მსხვერპლს გვირგვინს არ მივუტანთ საფლავზე, საძიმარს არ გამოუცხადებთ?..“

63. ფ. მახარაძის მიერ ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის ჯაშუშად გამოცხადებას -- ჯაშუშად, რომელსაც „ჯაშუშობის როლი სედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული“, — რაც კიტა აბაშიძის სამართლიანი დასკვნით, „იმ დროში საკმარისი იყო სიკვდილის განჩინების დასადგენად“, -- „მოგზაურშივე“ რამდენიმე ცილისმწამებლური წერილი წაეშძღვარა, რომელთა ერთადერთი მიზანი ილიას წინააღმდეგ გლეხობის აძხელრებასა და ამ მომაკვდინებელი ბრალდებისათვის სახოგადოებრივი აზრის შემზადებაში მდგომარეობდა:

კიტა აბაშიძე გვერდს უვლის ამ წერილებს, რამდენადაც მათი შინაარსი მკითხველთათვის — ყველასათვის, ვინც რამდენადმე მაინც იყო ჩართული იმჟამინდელ სახოგადოებრივ ცხოვრებაში, -- რასაკვირველია, კარგად იყო ცნობილი. მაგრამ დღეს ეს წერილები სპეციალისტებს გარდა, ალბათ ცოტას თუ ექნება წაკითხული და ამიტომ მათზე შეჩერება, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

თავდაპირველად (1905 წლის 13 მარტს) „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული პამფლეტი — „იდუმალი ხმა“: „სირცხვილი შენ, სირცხვილი! — მიმართავდა პამფლეტის ავ-

ტორი ილიას, — ვისი დაწერილია შვენიერი წიგნი, რომელსაც „გლახის ნააბობი“ ქვია? ვისი მოყმე, გეკითხები. რატომ აწერე ისე ხელოვნურად „ბატონების“ სიძხეცე და ყმების გაჭირვება, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალექსა ისე ლამაზათ ყაჩაღი კაკოს ნააბობი? ვინ მოყმე, გეკითხები? რა იყო მიზეზი კაკოს გაყაჩაღებისა? ნუთუ ყველა ეს დაგავიწყდა? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ „კაკოს“, „გაბროს“ და „თამროს“ დავიწყებოდეს ის, რაც შენ განზრახ დაგვიწყებია. სირცხვილი შენ, სირცხვილი!..

დადგა დრო განკითხვისა!“ (თ ა გ უ ნ ა [შალვა შარაშიძე], იდუმალი ხმა, — ჟურნ. „მოგზაური“, № 9, გვ. 132).

10 აპრილს კი „მოგზაურის“ № 13-ში (გვ. 209—211) ქვეყნდება ვრცელი კორესპონდენცია: „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, — ღვარძლიანი ცილისწამება ილიაზე, რომელსაც ვინმე ვ. ნ. (ვასილ ნაცვლიშვილი) აწერს ხელს. (ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილი წერილი „ნუთუ?“, რომელიც ილიას წინააღმდეგ ფ. მახარაძის გალაშქრების საბაბად იქცა, ჟურნალ „მოგზაურის“ სწორედ ამ ცილისწამების წინააღმდეგ დაიწერა).

კორესპონდენციის ავტორი ბრალს სდებს ილია ჭავჭავაძეს, თითქოს იგი, თვით ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხეცურ გულქვაობით და სამარცხვინო ავხნეობით ეპყრობოდეს საგურამოს გლეხკაცობას“, და ილიას ავკაცობასა და ბოროტებაში მკითხველთა დასარწმუნებლად, მის შესახებ „ერთმანეთს შეუწყნარებელს ამბებს მოგვითხრობს ისეთის კადნიერებით, თითქოს მართალია, და ისეთის გახარებით, თითქოს ოქროს მადანი უპოვიაო“. „ვ. ნ.“-მ თავის წერილში ოთხ „საშარცხვინო საქციელში“ დაადანაშაულა ილია და „საბუთად მარტო ის მოიყვანა, რომ ასე მიამბო ერთს შემთხვევაში ერთმა გლეხმაო, მეორეში — მეორემაო, სიგან თავისიც მოაჭორა და ცალიერის სიტყვის მეტი სხვა არა გვანიშნა რა“. (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ნუთუ? — პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა, — თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. IV, თბ., 1957 წ., გვ. 269,275).

თავდაპირველად „მოგზაურის“ მკითხველებს „ვ. ნ.“ ასეთ ცნობას აწვდიდა: „საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა ექვს მარტს თავი მოიყარეს და მოილაპარაკეს თავისს ჭირვარამზე, თავისს დაბეჩავებულ ცხოვრებაზე. ხალხმა გადაწყვიტა „ბოიკოტი“ გამოუცხადოს აქაურ მემამულეებს: ილია ჭავჭავაძეს, გიგი სტაროსელსკის და ტატო ციციშვილს და მართლაც შეწყვიტეს იმათთან ყოველგვარი დამოკიდებულება... ამათ მიბაძა ჭოპორტის საზოგადოებამ და ამგვარათ გაფიცვა მოედო მთელ გაღმა-გამოღმა საგურამოს 16 სოფელს.

20 მარტს თავი მოიყარა ხსენებულმა 16 სოფელმა ერთად. კრებას 2000-ზე მეტი კაცი დაესწრო: მოილაპარაკეს თავიანთ ჭარ-ვარამზე, გათახსირებულ და მიწასთან გასწორებულ ცხოვრებაზე". „ვ. ნ." მკითხველს იმასაც აუწყებდა, რომ ამ კრებაზე „ბევრი გულის გასაგმირი და სულის აღძაშფოთებელი ამბები თქვა ხალხმაო" და რაღაც „მოლათა იმისი დაწერა ადვილი საქმე არაა", აქ, „ნიმუშათ", მხოლოდ რამდენიმეს ნააშბობს გაგაცნობთო.

შემდეგ „ვ. ნ.", „ერთი ახალსოფლელი გლეხის" მონოლოგის ფორმით, მკითხველს მოუთხრობს, რომ როცა ერთხელ ამ გლეხს ილია ჭავჭავაძის წილი ძნა იღიას მოურავის განკარგულებისთანაკე, კუნაპეტ ღამეში კი არ აუტანია საგურამოში, არამედ მეორე დილით, ილია ჭავჭავაძეს იგი „უშვერის სიტყვებით" გაულანძღავს და, გლეხის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, უბრძანებია: „ეხლავე ეგ ძნა დააბრუნე და იქვე ჩაიტანე, სადაც დაუდე, როცა მოურავს დრო ექნება, ჩამოვა, ახლად გამოითვლის და გაყოფსო". გლეხს — მეტი რა გზა ჰქონდა, — აღუსრულებია გულქვა ბატონის ბრძანება, ძნა უკან ჩაუტანია და დაუწყია ღოდინი, მაგრამ ამაოდ ელოდა მოურავს გლეხი: „ველოდე ერთი დღე, მეორე, მესამე, მაგრამ არ არის მოურავი. იქ ველოდე, მინამ ძნა საქონელმა არ დაშალა და გააოხრაო".

ასეთი იყო ჟურნალ „მოგზაურის" კორესპონდენტის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი წაყენებული პირველი ბრალდება. მაგრამ გულქვა მებატონის ახირების წყალობით, საბრალო ახალსოფლელი გლეხის ახალსოფლიდან საგურამოში და საგურამოდან კვლავ ახალსოფელში იძულებითი მოგზაურობის აღწერისას, ილიაზე გაბოროტებულ „ვ. ნ."-ს და ჟურნალ „მოგზაურის" რედაქციის მხედველობიდან გამორჩათ ერთი „დეტალი": არც ილიას და არც მის მეუღლეს, ახალსოფელში არც ერთი მტკაველი მიწა არ ეკუთვნოდათ (ეს მიწები თავად ხაალ გურამიშვილის საკუთრება იყო) და თავისთავად ცხადია, რომ არავინ, ახალსოფლელ გლეხთაგან, ილია ჭავჭავაძეს არავითარ ძნას არ მიართმევდა.

„მოგზაურის" კორესპონდენტის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება ასე იყო ფორმულირებული: „არც დიდებული ილია ჭავჭავაძე და არც სტაროსელსკი გლეხებს ნებას არ აძლევენ ზეზე სადგომის აგებას". მაგრამ ამ ბრალდებასაც, სხვა ბრალდებათა მსგავსად, არავითარი ობიექტური საფუძველი არ მოეპოვებოდა, რამდენადაც ის მიწები, რომელზეც „მოგზაურის" კორესპონდენტი მიუთითებდა, არ წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძის ან მისი მეუღლის საკუთრებას. „სტაროსელსკისა არ ვიცი. და „დიდებული ილია ჭავჭავაძე" კი არა-დიდებულს და ძალიან დანამცეცებელს ავტორს მოახსენებს, — წერდა ილია თავისი ბრალმდებლის საპასუ-

ხოდ, — რომ საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილები ერთი მტკაველიც არ ეკუთვნის არც ილია ჭავჭავაძეს და არც მის მეუღლეს და სულ სააპეკუნოშია და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მთლად სხვისი მამულია. მაშასადამე, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დავუშალო ვისმე, ან ნება ვაძლიო ან მიწურის გათხრისა, ან ზესეურად სახლის აგებისა, ძალიან გულითაც რომ მინდოდეს". (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ნუთუ?.." — იხ. მითითებული გამოცემა, გვ. 291).

ილია ჭავჭავაძისადმი წაყენებული შემდეგი ბრალდება, თვით ილიას სიტყვით, „ყველაზე მეტად შემაძრწუნებელია და საშინელი", და, ამავე დროს, თუ „რა ზნეობრივი ავლადიდების პატრონია" ილიას ბრალმდებელი, „ისე აშკარად არსად ჩანს, როგორც ამ ბრალის დაწაშებაში", რომლის მიხედვითაც, ილია და მისი მოურავი „თუ კაცისმკვლელად არა, კაცის სიკვდილის მიზეზად მაინც" არიან ჩასათვლელნი. (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ნუთუ?.." — მითით. გამოცემა, გვ. 292).

„მოგზაურის" კორესპონდენტი — ვითომც გურამიანთკარელი გლეხის სიტყვებით, — აღწერს, თუ როგორ გაიყინა 1905 წლის ზამთარში „დიდი ყინვებისაგან წყალი, რომლითაც მთელი ოთხი თუ ხუთი სოფელი სარგებლობდა", და როგორ გახდნენ იძულებულნი გურამიანთკარელი გლეხები იმ პატარა წყაროთი ესარგებლათ, რომელიც „სოფლის ზევით სამ ვერსზედ ტყეში და მიუვალ ღელეში ჭავჭავაძის მამულში გამოდის". და თუმცა წყაროს წყალზე ილია ჭავჭავაძემ უსაშველი ხარკი დააწესაო — თითო სულ საქონელზე თვეში ათი შაური, — მაგრამ აბა, რა ექნათ საბრალო გლეხებს? მათ ხომ საქონელი ამოუწყდებოდათ უწყლოდ, და ისინიც დაემორჩილნენო გულხარბი ბატონის ამ უსამართლო მოთხოვნას. მაგრამ ერთხელ ამ წყაროზე ორი კოკა აავსო ერთმა „ძალზე ღატაკმა" და ახლად ნაავადმყოფარმა (ლოგინიდან სულ ორი კვირის „აღანტალებულმა") გლეხმაც, რომელსაც საქონელი არ ებადა და ამიტომ არც წყაროზე დაწესებულ ხარკს უხდიდაო ილიას (გლეხი იმდენად ღატაკი იყო, რომ იგი მის ღარიბ თანასოფლელებს ჰყავდათო „ზურგზე აკიდებული თავისი ცოლ-შვილით"). და აი, როცა ამ დავრდომილ არსებას სახლში მიჰქონდაო ილიას წყაროზე ავსებული ორი კოკა წყალი, „დაინახა ი. ჭავჭავაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო... და ორივ სავსე კოკა ზედ გადაამტვრია ნახევრათ შიშველ გლეხს... უბედური გლეხი ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლათ გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა იქაც კერა გაციებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ხელახლათ ავათ და ერთ კვირაზედ გაათავა მრავალტანჯული და წამებული სიცოცხლე"...

„მოგზაურის“ მკითხველის „ვ. ნ.“ იმასაც აუწყებს, რომ როცა ილია ჭავჭავაძის „გულქვა და შეუბრალებელი მოურავი“ (ეს ის მოურავია, — მოსე შემარნიშვილი, — რომელსაც 1907 წლის 7 ივნისს სახლში მიუხდებიან ავაზაკები და ცოლთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმებენ) საცოდავ გლეხს ლანძღავდა და წყლით სავსე კოკებს თავზე ამტვრევდა, „ამ ამბავს ილია ჭავჭავაძე ბალკონიდან უყურებდა 400 მანეთიან ქურქში გახვეული, გულიანათ იცინოდა და თანაც აქებდა ერთგულ მოურავს: „ყოჩაღ, მემარნიშვილო, ყოჩაღ, ეგრე სუსხი უნდა მისცე, რომ თავზე არ წამოგვასხდენო“.

მაგრამ „მოგზაურის“ კორესპონდენტმა, და საერთოდ „მოგზაურის“ რედაქციამ, ამ ტრაგიკული ისტორიის გადმოცემის დროსაც არ გაითვალისწინა რამდენიმე საგულისხმო ფაქტი: გურამიანთკარში, როგორც ილია მიუთითებდა, შიგ სოფელშივე, „ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ, სტაროსელსკიანთ მილებით“ გაყვანილი იყო „კარგა მოზრდილი წყარო“, რომელსაც „კოდიც კი ედგა საქონლის წყლის სასმელად“ და რომელიც „თავის დღეში, რაც გინდ ძლიერი ზამთარი იყოს, არასოდეს არც გაყინულა და არც გაიყინება, როგორც მოგეხსენებათ ბუნება წყაროს წყლისა“; გარდა ამისა, გურამიანთკარის მახლობლად (ბევრად უფრო ახლო, ვიდრე „მოგზაურის“ კორესპონდენტის მიერ მითითებული ის წყარო, რომელიც „სოფლის ზევით სამ ვერსზედ ტყეში და მიუვალ ღელეში ჭავჭავაძის მამულში გამოდის“) არაგვი მოედინება, არაგვი კი „როგორც დიდი და ჩქარი წყალი, ჩვენში არადროს არ იყინება ძილ სიგანეზე ისე, რომ საქონლისათვის წყლის სასმელი არა რჩებოდეს ან მთლად გაუყინავი, ან ისე თხლად გაყინული, რომ ყინული ადვილად ჩასამტვრევი არ იყოს“; ხოლო „არაგვსა და გურამიანთკარს შუა, მაშასადამე სოფელზე უფრო ახლოს, ერთი დიდი ფშაა, რომელიც წისქვილებს აბრუნებს ზამთარ-ზაფხულს, რადგან ფშის წყალია და ფშის წყალი ხომ თავის დღეში არ იყინება...“ „მოგზაურის“ კორესპონდენტის ფანტაზიის ნაყოფი იყო გურამიანთკარის ზემოთ, „ტყეში, მიუვალ ღელეში“ ისეთი წყაროს არსებობაც, რომ ან საქონელს შესძლებოდა წყურვილის მოკვლა, ან თუნდაც „რომ კოკა მიდგმით აივსებოდეს“. ხოლო იყოთ ეს ტყეც და ღელეც ეკუთვნოდა არა ილიას, არამედ მის მეზობელს, თავად გივი სტაროსელსკის, ასე რომ „მთელი ისტორიაც კოკების მტვრევისა თავიდან ბოლომდე ტყუილი“ იყო. დაბოლოს „მოგზაურის“ ავტორის მიერ „შეთითხნილს ტრაგედიას ბოლოც იმისთანა ტყუილი ჰქონდა, როგორც დასაწყისი“: 1905 წელს „გურამიანთკარს... ზამთარში არც ერთი მამაკაცი გლეხი არ გარდაცვლილა“. (იხ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ნუთუ?..“ — ძიითით. გამოცემა, გვ. 292 — 302 — Passim).

დაბოლოს კიდევ ერთი ბრალდება, რომელიც აღნიშნულ კორესპონდენციაში ილიას მიმართ იყო წაყენებული, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სხვა ბრალდებები და თავისი შესაძლო შედეგებითაც ბევრად უფრო სახიფათო „ბრალდებულისათვის“: კორესპონდენციის ავტორი ცდილობდა დაერწმუნებია მკითხველი, თითქოს ილიამ (გივი სტაროსელსკისთან ერთად) მთავრობას ჯარი გამოთხოვა გურამიანთკარში ჩასაყენებლად და გლეხების „ბუნტის ჩასაქრობად“.

„ერთი რამ მაკვირვებს ბატონ ილია ჭავჭავაძისა და ამას ვერ შევრიგებივარ, — წერდა „ვ. ნ.“, — რას ნიშნავს ეს მისი სიტყვები:

„მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტერვისა!
სიმართლის ხმა ქვეყნათა ჰქუხს დასათრგუნათ მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში,
ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!“

თუკი ეს დიდებული სიტყვები 1860 წელს ი. ჭავჭავაძისგან ნამდვილის გულით იყო ნათქვამი, ახლა, როცა ნატვრა აუსრულდა, ეს ტკბილი და უძლეველი ხმა გაიგონა თავის მამულში, ამ ხმას ხიშტებით და ჯარით რატომ მიეგება? აი, ნამდვილი და მართალი გულის ნატვრა მამულის და მოძმის საკეთილდღეოთ ასეთი უნდა, როგორც ცოდნია ი. ჭავჭავაძეს“.

მაგრამ ეს ბრალდებაც, თვით ილიას თქმისა არ იყოს, „მტკნარი ტყუილია ლილახანაწამხდარ ავტორისა, რომ მეტი არ ვთქვათ რა“.

მთავრობისაგან ჯარი „არც მითხოვნია და არც მოვითხოვ, — წერდა ილია „მოგზაურის“ კორესპონდენტის ამ ბრალდების საპასუხოდ, — თუ ჩვენის ავტორის და „მოგზაურის“ წყალობით ზედმოსევა ჩემზე გლეხისა არ მოხერხდა, და ან ერთმა ან მეორემ საქმე ისუ არ გამიხადეს, რომ მათ მიერ მოსეულს და ასისინებულს გლეხკაცობას მტრულად დავხვდე, რაკი, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემდა საუბედუროდ სხვა გზა არ იქნება თავის გადარჩენისა. ეს უფლება თავის გადარჩენისა ბუნებამ ყოველ თვითოეულ ჭიაღუასაც კი მიანიჭა, და ნუთუ მარტო ჩემთვის ღმერთმა არ გამოიმეტა, რომ მით ასიამოვნოს ჯერ პირველ „მოგზაურს“ და მერე მის მიერ ხელაპყრობით მიღებულ ავტორს“. (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ნუთუ?..“ — თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1957 წ., გვ. 289). მაგრამ ილია ჭავჭავაძეს ჟურნალ „მოგზაურის“ მიერ „ასისინებული გლეხკაცობისაგან“ თავის გადასარჩენად არათუ ჯარის მოშველება არ უთხოვნია მთავრობისაგან, არამედ იგი ყოველთვის თავგამოდებით იღწვოდა, რათა მთავრობას აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯარები არ გამოეყენებინა და გლეხობა არ დაერბია:

„მოსე! ეგ ამბავი, რასაც შენ იწერები, დღეს ყველგან არის, —

სწერდა ილია თავის მოურავს მოსე მემარნიშვილს 1905 წლის 8 მარტით დათარიღებულ ბარათში, — გლეხკაცები ყველგან მაგ ამბავში არიან დღეს. მეცოდებიან საწყლები: დღეს-ხვალ მთავრობა თურმე აპირობს ჯარები მიუსიოს გაბრიყვებულს გლეხკაცობას და ნაცარტუტა აადინონ. თავადაზნაურობა ჰცდილობს ეს ჯარების მისვლა როგორმე ააცდინოს გლეხკაცობას და ღმერთმა ჰქნას, მთავრობას ხელი ააღებინოს ჯარების გაგზავნაზე...“

„მოსე! — სწერდა ილია თავის მოურავს მეორე ბარათში, — თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემ მაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითთქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ“. (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, 1961 წ., გვ. 162, 164).

„1905 წელს, როდესაც კახეთში დაიწყო მღელვარება და გლეხთა გამოსვლა, — წერს თავის მოგონებაში ნოშრევან ჯაფარიძე, ილია ჭავჭავაძის მოურავი ყვარელში, — გლეხებმა თავადების ტყეები გაჩეხეს თვითნებობით. რამოდენიმე ასეთი შემთხვევა იყო ილიას ტყეშიც. ეს საქმე უნდა გარჩეულიყო სასამართლოში. ამ ხანებში ილია ყვარელში ჩამოვიდა... და როდესაც გაიგო ეს ამბავი, მაშინვე გააუქმა სასამართლოში ეს საქმე. გაიცინა და ხუმრობით მითხრა: „არა უშავს, ეს ტყე მეც მეყოფა და იმათაცაო, ტყე კი უფრო ხშირი გაიზრდებაო“, და გადაჭრით მითხრა, რომ მათ საწინააღმდეგოდ არაფერი არ ჩაიდინოვო... მეორე დღესვე შეაბმევინა ეტლი და მოემზადა სადღაც წასასვლელად... როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ის წავიდა საბუეში და გრემში. ამ სოფლებში იმ ხანად მოხდა გლეხთა გამოსვლები... და სოფლელებს ზეკუციად ჩაუყენეს ყაზახები. როგორც ვფიქრობ, ილიამ თბილისშივე გაიგო ეს ამბავი და ამიტომ მოსვლისთანავე გაემგზავრა ამ სოფლებში და მოახსნევინა ზეკუცია“. („ლიტერატურული მატიანე“, წიგნი 1—2, 1940 წ., გვ. 154).

„...დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით, — ვკითხულობთ ილია ზურაბიშვილის (ელეფთერიძის) მოგონებაში ილია ჭავჭავაძეზე, — უეჭველი იყო ხალხის რბევა და ყლეტა-ხოცვა, რაც მოხდა კიდეც. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ ამ საქმისთვის ეშველნათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა... ილია წინადადებას იძლეოდა, მეფის ნაცვალს დელეგაცია შივუგზავნოთ და მოვითხოვოთ, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო,

თანაც უნდა განვუცხადოთ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჯელანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „костьми ляжем»-ო (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოსთქვა)". — იხ. ი ლ ი ა ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი (ე ლ ე ფ თ ე რ ი ძ ე), წარსულის ანარეკლი (მოგონება ილია ჭავჭავაძეზე), — წიგნში: ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საიუბილეო კრებული, თბ., 1939 წ., გვ. 323—324). როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის ამ ინიციატივის შედეგად, „საზოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთა დეპუტაცია" 1905 წლის 31 ოქტომბერს მართლაც „წარუდგა მეფის ნაცვალს (გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს, — გ. ა.) და სთხოვა ჯარების უკან დაბრუნება და ხალხის დასამშვიდებლად ისევ მშვიდობიანის გზის არჩევა... და მართლაც, ცოტა ხნით გურია მოასვენეს: ნოემბერში და დეკემბერში იქ შედარებით სიწყნარე სუფევდა". (გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, ტფილისი, 1934 წ., გვ. 222—223).

დიდად მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა თავად-აზნაურთა თათბირზე (1906 წლის დამდეგს), სადაც თავადაზნაურობის დარაზმვისა და გლეხობის „წითელი რაზმების" გასანადგურებლად იარაღით გალაშქრების მოწოდებები გაისმა. „აი რა სთქვა მაშინ ილიამ. — იხსენებს ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯაჯანაშვილი (ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანოს „სახალხო გაზეთის" გამომცემელი და ფაქტიური რედაქტორი 1913—1914 წლებში), — „ბატონებო! რაც ჩვენში ხდება, ყველგან მომხდარა. არ არის მსოფლიოში არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარიყოს. ქარტეხილი გაივლის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. თავადაზნაურობას ბევრი აქვს მოცემული; ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება. რაც სხვას ეპატიება, თქვენ არ გეპატიებათ... ისეთს ნურაფერს ჩაიდენთ, რომ როდესაც ეს ამბავი გადაივლის და თქვენ სახლში დაბრუნდებით, მეზობელთან პირი გქონდეთ შერცხვენილი და თვალებში შეხედვას ვეღარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ. ვისაც მოთმინება ვერ შეუძლიან და ვისაც გულისთქმა იმორჩილებს, სჯობს სოფელს დროებით თავი გააცალოს. ცოტახნით გაჭირვება სჯობიან სამუდამოდ დაღუპვასა და საშვილიშვილო მტრობის ჩამოგდებას თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის. რად გინდათ, ეგ იარაღი რომ აგისხიათ! ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისთვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი იმათ, ვინც დაგირიგათ!" (ა რ ჩ ი ლ ჯ ა ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სამი შეხვედრა ილიასთან, — გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1936 წ., 24 V, № 7, გვ. 3).

ვ. ნ.-ს ცილისმწამებლური კორესპონდენციის გამოქვეყნებით

„მოგზაურის“ რედაქციამ მიაღწია დასახულ მიზანს: როგორც სამსონ ფირცხალავა წერს თავის მოგონებებში, „მართალია, მკითხველი საზოგადოება მიჩვეული იყო ილიას მკაცრს გაკრიტიკებას, საყვედურებს და სამდურავებს, მის ავად მოხსენიებას, მაგრამ 1905 წელს „მოგზაურის“ მე-13 ნომერში დაბეჭდილი ვ. ნ.-ის კორესპონდენცია („საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“) ყუმბარასავით გასკდა“. (ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები, 1988 წ., გვ. 73).

მითითებული კორესპონდენციის პოპულარიზაციას, ნებსით თუ უნებლიეთ, დიდად შეუწყო ხელი „ივერიის“ რედაქციამაც, რომელმაც 1905 წლის 15 აპრილს, გაზეთის № 54-ში „მოგზაურის“ ცილისმწამებლური კორესპონდენციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაბეჭდა.

„ივერიის“ იმჟამინდელი რედაქტორი ფილიპე გოგიჩაიშვილი (შემდგომში — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი), 1913 წელს გამოქვეყნებულ — ახლა უკვე მივიწყებულ — წერილში ასე განმარტავდა ილიას წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური კორესპონდენციის „მოგზაურიდან“ „ივერიაში“ გადაბეჭდვის ფაქტს: „მოგზაურის“ კორესპონდენციაში „ილია ჭავჭავაძის შესახებ საშინელი, გულის შემზარავი ამბები იყო მოთხრობილი. დღეს შეიძლება ვინმემ სთქვას: „მოგზაური“ რა ყურადღების ღირსი იყოვო, მაგრამ ეს შენიშვნა არც მართალია და არც საგანს ეხება. „მოგზაური“ ძალიან გავრცელებული იყო ქართველ მუშა ხალხში და დიდი გავლენა ჰქონდა თავის წრის მკითხველებზე, ასე რომ არ შეიძლება იმის თქმა, ვითომ „მოგზაური“ ყურადღების ღირსი არ ყოფილიყოს. თუნდ რომ სხვაგვარად ვიფიქროთ და „მოგზაური“ ყურადღების ღირსად არ მივიჩნიოთ, ამ ჟურნალში დაბეჭდილი ბრალდება მაინც ვერ ჩაითვლებოდა ყურადღების უღირსს საგნად, — ვერ ჩაითვლებოდა იმიტომ, რომ თვით ილია ჭავჭავაძე იყო ყურადღების ღირსი: საშინელ ბრალს სდებდნენ არა ვიგინდარა ვინმეს, არამედ საქართველოს უდიდეს ადამიანს, და ამიტომ „მოგზაურის“ ბრალდება გაურკვეველი არ უნდა დარჩენილიყო. ასეთი იყო „ივერიის“ რედაქციის აზრი.

სამწუხაროდ, არც მე და არც სხვამ ვინმემ რედაქციაში ილიას მამულისა და გლეხებთან მისი დამოკიდებულების შესახებ არა ვიცოდით რა, რომ ბრალდების გარკვევა და პასუხის გაცემა შეგვძლებოდა. თუმცა გონებაც და გულიც შეუძლებლად რაცხდა, რომ „მოგზაურში“ მოთხრობილი ამბავი მართალი ყოფილიყო, მაგრამ ასეთი შინაგანი „გულის ხმა“ საპასუხოდ, რასაკვირველია, ვერაფერი საბუთი იქნებოდა მოპირდაპირესთან. ამიტომ გვინდოდა და მოუთმენლად ველო-

დით, რომ ვინმეს — გარეშეების მცოდნეს, ან თვითონ ილიას, — ხმა გაეცა და ბრალდება გაექარწყლებინა.

გავიდა რამდენიმე დღე, მაგრამ არც ერთ გაზეთში არავისი პასუხი არ დაბეჭდილა. არც ილიას შეშოუთვლია რამე. ეტყობოდა — ილია, რაიმე მოსაზრებით, არ სთვლიდა საჭიროდ პასუხის დაწერას. ჩვენ კი ეს ფრიად საჭიროდ მიგვაჩნდა, რადგან „მოგზაურის" ბრალდების გაბათილებას მასზე უკეთ აბა ვინღა დასწერდა. მაშინ „ივერიის" რედაქციამ გადასწყვიტა ილიასათვის შეკითხვით მიეშართნა და ამით მისი პასუხი გამოეწვია. არ ვიცი — რადა, მაგრამ ეფიქრობდით კი, რომ ილია „ივერიის" შეკითხვას პატივს დასდებდა და პასუხის დაწერის საბაბად გაიხდიდა. ამიტომ „მოგზაურის" წერილის გასვლიდან 5 დღის შემდეგ, „ივერიამ" გადაბეჭდა „ბრალდების" ნაწილი და ბოლოში თავის მხრით შემდეგი სიტყვები დაუროო: „ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ-დი ილია ხმას აძოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს".*

მართლაც, „ივერიის" მიმართვას ილიამ ყურადღება მიაქცია და მეორე დღეს (16 აპრილს) გამოგვიგზავნა მოკლე „წერილი რედაქციის მიმართ", რომელიც იმ დღესვე დავბეჭდეთ და გაზეთის პირველსავე (17 აპრილის) ნომერში მოვათავსეთ". (ფ. გოგიჩაიშვილი, ილია ჭავჭავაძის „ნუთუ?"-ს დაბეჭდვის ამბავი, — „სახალხო გაზეთი", 1913 წ., 14 V, № 871).

„მოგზაურის" ბრალდებათა საპასუხოდ დაწერილი ილიას ეს პირველი წერილი, რომელსაც ფ. გოგიჩაიშვილი მოიხსენიებს, დღემდე არ არის შეტანილი ილიას თხზულებათა კრებულებში. აი, მისი სრული ტექსტი:

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო. ჟურნალ „მოგზაურში" (1905 წ., № 13) დაბეჭდილია წერილი, რომელსაც სათაურადა აქვს: „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება".

ამ წერილის ავტორს სხვათა შორის მე ვყევარ ამოღებული ნიშანში იმ მხრით, ვითომც მე სამარცხვინო გულქვაობით და საზიზღარ ავკაცობით ვექცეოდე საგურამოში მცხოვრებ გლეხკაცობას.

ბატონი ავტორი თავისს სახელსა და გვარს პმალავს და ამოჰფარვია ორ ასოს: „ვ. ნ." მე არ ვიცი, — ვინ არის ავტორი და არც მინ-

---

* ფ. გოგიჩაიშვილის მიერ ციტირებული სტრიქონები „ივერიაში" ასე იწყება: „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის" ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან?" — შემდეგ კი, როგორც ტექსტშია.

და ვიცოდე, რადგანაც „ნაყოფი ხისგან და ხე ნაყოფისგან საცნაურ არს“. ხოლო სახელისა და გვარის დამალვა იმისთანა საქმეში, საცა კაცი კაცს სამარცხვინო საქციელს, ავკაცობას, ავზნეობას სწამებს, საცა ჩირქსა სცხებს ადამიანის პატიოსნებას, სინიდისს, ადამიანურ ღირსებას, ერთის სიტყვით, ყოველს იმას, რაც ადამიანის უძვირფასესს კუთვნილებას შეადგენს, ვერაფერი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობაა და ქურდულად, უკანიდამ მიპარვით ისრის ტყორცნასა ჰგავს.

თუმცა ასეა, ბატონო რედაქტორო, მაგრამ მინამ მე ავტორის გამტყუვნებისათვის ვრცელს დასაბუთებულს წერილს მოგართმევდე „ივერიაში“ დასაბეჭდად, გთხოვთ, ღონისძიება მომცეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გამოვაცხადო ჩემთა კეთილმყოფელთა სანუგეშოდ, რომ ყოველივე მოთხრობილი ჩემს შესახებ „მოგზაურში“ თავიდამ ბოლომდე მტკნარი ტყუილია და განგებ სხვადასხვა ელფერით შეღებილი. ამისი უტყუარი და უცილობელი საბუთები ზოგი ხელთა მაქვს, ზოგსაც გამოკითხვა და შემოწმება სჭირია და ამას დრო უნდა.

დასასრულ, ვალად ვრაცხ ჩემს თავს უგულითადესი მადლობა მოგახსენოთ, რომ არ დაგიჯერიათ იგი ამბები, რასაც ხსენებული ავტორი „მოგზაურის“ შემწეობით ჩემდა შესარცხვენად ჰღაღადებს. იმედი მაქვს თავისს დროზე დაგანახოთ, რომ თქვენს გულის თქმას და თქვენს წინადგრძნობას ამ შემთხვევაშიც თქვენთვის არ უღალატნია და პრესსა ადამიანის სათელავად არ გაგიხდიათ განუკითხველად. პრესსის უხენაესი და უწმიდესი დანიშნულება იქნება იმოდენად მხილება არ იყოს დამნაშავისა, რამოდენადაც მფარველობა და სარჩლია უდანაშაულოსი.

15 აპრილი, 1905 წ. ილია ჭავჭავაძე“.

ილიას „წერილი რედაქციის მიმართ“, როგორც ფ. გოგიჩაიშვილიც მიუთითებდა, „ივერიაში“ წარდგენისთანავე, გაზეთის პირველსავე ნომერში (№ 55) გამოქვეყნდა — 17 აპრილს (16 IV „ივერია“ არ გამოსულა); 5 მაისს კი — როგორც „ივერიის“ № 68-ის დამატება, — დაიბეჭდა ილიას ვრცელი და საფუძვლიანი წერილი „ნუთუ? (პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა)“, რომელშიც, როგორც უკვე დავინახეთ, ეჭვმიუტანლად არის ნათელყოფილი ილიას მიმართ წაყენებულ ბრალდებათა აბსურდულობა.

„მოგზაურის“ ინსინუაციების საპასუხოდ „ივერიაში“ 1905 წლის 17 აპრილსა და 5 მაისს გამოქვეყნებულმა ილიას წერილებმა („წერილი რედაქციის მიმართ“ და „ნუთუ?“) ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბანაკის უდიდესი გაგულისება გამოიწვია და „მოგზაურმა“ ახლა უკვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა „კერძო საკუთრების იდეოლოგს“, გლეხობის „მტანჯველს“ და „ჯაშუშობა-

სა“ და მშრომელი ხალხის „დაბეზღებაში“ დახელოვნებულ „სასტიკ მემამულეს“.

1905 წლის 24 აპრილს, „მოგზაურის“ № 15-ში იბეჭდება ილიასადმი „მიძღვნილი“ ლექსი-პაროდია — „ჩვენს მგოსანს“:

„გესმის, გესმის „სახარელი“ ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,
სიმართლის ხმა მართლა გრგვინავს დასათრგუნად მონობისა.
დღეს „გაღონებს“ თურმე ეს ხმა, გიორკეცებს დარდებს გულში
და ღმერთსა სთხოვ, ეგ „მწარე“ ხმა არ გაისმას „თქვენს“ მაძულში.
საშუალებაც მოგინახავს, რომ აღმოფხვრა ეგ ხმა „მწარე“,
საგურამოელი გლეხი გასტანჯე და გაამწარე“.

1905 წლის 15 მაისს კი, „მოგზაურის“ № 18-ში, ილიას წინააღმდეგ მიმართული საძი ცილისმწამებლური წერილი იბეჭდება: „ვ. ნ.“-ს „პასუხათ ილია ჭავჭავაძეს“, „ასოთ-ამწყობის“ „მცირე შენიშვნა“ და პირველი ნაწილი ფილიპე მახარაძის ვრცელი წერილისა „თავის მართლებაც ასეთი უნდა! (პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს)“, რომლის ბეჭდვა ჟურნალის შემდეგ ნომერში დასრულდა (22 მაისს).

ანონიმი „ასოთ-ამწყობი“ მოუთხრობდა მკითხველს, თუ რამდენად აუტანელ პირობებში უხდებოდათ მის თანამოძმეებს ილიას „ივერიაში“ მუშაობა: თუ როგორ თავდაუზოგავად შრომობდნენ ასოთამწყობები „დილის 6—7 საათიდან ღამის 3—4 საათამდე და ხშირათ მეტსაც... მერე ისიც სარდაფში, სადაც ჰაერი ნაკლები იყო“; თუ რაოდენ უხეშად ეპყრობოდათ მათ ილია ჭავჭავაძე და როცა „კარგა ხნის თმენის შემდეგ მომუშავეებმა ვერ აიტანეს ასეთი მდგომარეობა და მოთხოვეს თავადს პირობების გაუმჯობესება და ადამიანური მოპყრობა“, მან „პირობების გაუმჯობესების ნაცვლათ, ღორები უწოდა და არც კი ისურვა მათთან საუბარი“; ხოლო როცა ხელფასის მომატების მოთხოვნაზე „უარი მიიღეს თავადისაგან, და იმათაც მუშაობაზე ხელი აიღეს“, ილია ჭავჭავაძემ „დააყენა პოლიციელები მცველებათ და ცდილობდა სხვების (შტრაიკბრეხერების — გ. ა.) შემწეობით გამოეყვანა ნომერი“. დაბოლოს, — „ასოთ-ამწყობის“ მტკიცებით, — გაგულისებულმა თავადმა „ბრძანება გასცა: დაიჭირეთ ყველანი და პოლიციაში ჩასხითო, და ბრძანებაც შესრულებული იქმნა: შეიპყრეს პატარა „ბუნტოვშჩიკები“ (14—18 წლისანი), დააპატიმრეს და ჩასვეს სადღაც აყროლებულ ადგილას. დღე-ნახევარი წვალობდნენ საწყლები ასე, შემდეგ კი გაანთავისუფლეს“. წარმოიდგინეთო, დასძენს „ასოთ-ამწყობი“, ჭაბუკი ტუსაღები „პოლიციელებს შეებრალათ და მას კი, პატივცემულ თავადს, არა! აი, რანაირი შეუბრალებელი ბრძანდება ჩვენი მგოსანი“.

„ვ. ნ.“ თავის პასკვილში — „პასუხათ ილია ჭავჭავაძეს“, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ილიამ ოდნავადაც ვერ დაარღვია „მო-

გზაურში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მის მიმართ წაყენებული ბრალდებები, და რომ „ნუთუ?“, რომელიც „ბრაზმორეული, მტყუანი კაცის ოინებს უფრო წააგავს, ვიდრე მართალი ადამიანის დინჯსა და დალაგებულ საკამათო პასუხს“, საუკეთესო დამადასტურებელია იმისა, რომ ილია ჭავჭავაძეს „ერთადერთ თავის გასამართლებელ იარაღათ... მოპირდაპირე ადამიანის მასხრათ აგდება და ლანძღვა-გინება აქვს მიჩნეული“. მაგრამ „რა ქნას ქანცგამოლეულმა და მტყუანმა ადამიანმა, — წერს „ვ. ნ.“, — თურომ ოინბაზობას არ მიმართა, მით უმეტეს, როცა კაცი შეჩვეულია ასეთ იოლ ფანდებს. სხვის საბუთების გადამახინჯ-გადმომახინჯება, ლანძღვა-გინება, თავისი საბუთების ერთმანეთში დომხალიევით არევა, გაგრძელებ-გაჭიანურება და შიგ ყალბი საღებავებით დაფერილი დარფა-დარფა, მოქარგულ- მოხატული ჭრელჭრული, წუთისოფელ მოჭმული ლათაიების ხმარება ილიას თავის გამართლება გონია და ამითი უნდა შეამსოს ყოველივე ნაკლი თავისი საკამათო წერილისა მოპირდაპირე ადამიანის მიმართ; მერე ინდაურსავით გაიფუყოს და საზოგადოებას თავმოწონებით შეძახოს: „აბა შემომხედეთ, მე და ჩემ დიდბუნებოვან ნიჭს რა გაგვიმაგრდება ქვეყანაზე, ხედავთ, როგორ მოვუგრიხე კისერი ჩემ მოპირდაპირესო...“ და მგოსანი ყოყოჩობს, ვითარცა გამარჯვებული ყვინჩილა..

მაგრამ ხალხის საბედნიეროთ და ილიასთანების სავალალოთ, ბევრი მისგვარი ცრუ კერპი დაამსხვრია დღევანდელმა ცხოვრებამ და რათ მოსდის მგოსანს ჯავრი, თუ თანამედროვე ცხოვრების კითხვებში დაბეჩავებულმა საგურამოელმა გლეხებმაც წინ გაუსწრეს მას. ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი სიმახინჯე და აზრით ჩამორჩენა „მოგზაურის“ რედაქციის და მისი კორესპონდენტების ბრალია? მაშ რატომ ასე ურცხვათ და თავზეხელაღებულათ გვაბეზღებს და ბრალსა გვდებს — „ხალხი აგვიმხედრესო?..“

„ვ. ნ.“-ს სიტყვით, ილია ჭავჭავაძეს „მთელი თავადაზნაურობის ვექილ-აპეკუნობა უკისრია და ესეც არ უკმარია ბატონ ილიას: ბრწყინვალე წოდების და მათი საქმეების დასაცველათ თავისი ზრუნვა-პატრონობა მცირეთ მოსჩვენებია და ყველა კაცს იწვევს ამ ასპარესზე სამოქმედოთ. მაგრამ თუ ამავე დროს ვინმემ გაბედა და ილიას ნებადაურთველათ გლეხების სასარგებლოთ კრინტი დასძრა, ვაი მის გაჩენას! ან თუ გლეხებმა, ყელში თოკწაჭერილებმა, სულის მოსაბრუნებლათ გაიფართხალეს, ურცხვათ და საქვეყნოთ გაჰკივის მაბეზღარის ჰანგზე: „აბა მიშველეთ, გლეხები ამიმხედრეს, გლეხებს მისევენო!“ აი ილიას ჩვეულებრივი ხერხი და მრავალჯერ ნაცადი მწერლური ოინბაზობა! ყველა ამაების შემდეგ ბრაზით გული უსკდება, ჯავრი მოსდის, როცა მის ნასროლ ტალახზე და ბეზღობაზე გლე-

ხები ია-ვარდის თაიგულს აღარ ესვრიან და ბრმათ აღარ აღმერთებენ".

პირად ცხოვრებაში, „ვ. ნ."-ს მტკიცებით, ილია ჭავჭავაძე გულქვა მემამულეა, გლეხობის მჩაგვრელი და მტანჯველი, ხოლო „მწერლობაში თავს იწონებს, როგორც გლეხთა გაჭირვებაზე მოსაუბრე და მათი მეგობარი. ან კი რა ექნა და როგორ მოქცეულიყო: „ტემისათვის" მასალა უნდოდა და ყოველმხედველი მწერალი თუ პოეტი ცხოვრებაში ეძებს მასალას. ილიამაც ჯერ ცხოვრებაში განახორციელა და მერე დასწერა ქაღალდზე გლეხთა გაჭირვება".

„ვ. ნ."-ს პასკვილი, რომელშიც არაერთი სხვა ამგვარივე ბრალდება და ცილისწამებაა დახვავებული, — ისევე, როგორც „ასოთ-ამწყობის" ზემოთ მითითებული „მცირე შენიშვნა", — ეჭვგარეშეა, გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენდა „მოგზაურის" უბირ მკითხველთა ცნობიერებაზე. მაგრამ „მოგზაურის" ზემოდასახელებულ ნომერში დაბეჭდილი წერილებიდან, რაღა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი უკანასკნელი — ფილიპე მახარაძის — წერილი იყო („თავის მართლებაც ასეთი უნდა!"), რამდენადაც იგი ეკუთვნოდა არა მკითხველებისათვის უცნობ „ვ. ნ."-ს თუ ანონიმ „ასოთ-ამწყობს", არამედ ფართოდ ცნობილ პიროვნებას — ჟურნალ „მოგზაურის" ფაქტიურ რედაქტორს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრს და ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერს.

ფილიპე მახარაძის დასახელებული წერილიდან კიტა აბაშიძე მხოლოდ სამ წინადადებას იმოწმებს, სამ მკრეხელურ გამონათქვამს ილია ჭავჭავაძეზე, რომლებიც სავსებით ცხადყოფენ ამ წერილის ცილისმწამებლურ ხასიათს და მიზანდასახულობას. მაგრამ ამავე წერილში ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის ირგვლივ არაერთი სხვა მკრეხელური აზრიცაა გამოთქმული, რომელთა გათვალისწინება უფრო სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის იმ როლზე, რომელიც აღნიშნულმა წერილმა ილიას წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში შეასრულა.

აი რამდენიმე ამონაწერი ფ. მახარაძის ამ წერილიდან:

„წავიკითხე თ-დ ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილი („ნუთუ? პასუხად „მოგზაურის" კორესპონდენციისა" — გ. ა.), რომელიც გაზ. „ივერიის" რედაქციას ცალკე გამოცემათ დაუსტამბავს თავის სასახელოთ, და სწორე მოგახსენოთ, გაოცებული დავრჩი. — წერს ფ. მახარაძე, — ჩემ გამოზდაში ბევრი რამ წამიკითხავს, ბევრი სისაძაგლე მინახავს ჩემი თვალით, ბევრი კიდევ სხვებისგან გამიგონია, მაგრამ ჩემ დღეში ამისთანა არც ჩემი თვალით მინახავს და არც სხვებისგან გამიგონია. წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მთელი თავისი ძალ-ღონით, მთელი თავისი არსებით მოწადინებულია მეორე პირი ლაფში

ამოსვაროს, სახელი გაუტეხოს, დაამციროს, მიწასთან გაასწოროს, რომ თავისი თავი ყოვლად პატიოსან, უმანკო არსებათ დასახოს, და ნამდვილათ კი მხოლოთ თავისივე თავს ამცირებდეს, მიწასთან ასწორებდეს, თავისივე თავს სამარეს უთხრიდეს. აი, ასეთ საქმეს ჩადის საქართველოს სასიქადულო მწერალ-პოეტი თ-დი ილია ჭავჭავაძე! მტერი იმას ვერ უზამდა, რაც მან თავის თავს უქნა. მისი უშველებელი წერილი, თავის გასამართლებლათ დაწერილი,.. თავის გამართლება კი არაა, არამედ უსასტიკესი საბრალმდებლო ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი. ესარის თავისივე ხელით თავის მოკვლა. თ-დ ჭავჭავაძის წერილში არც ერთი წინადადება, არც ერთი სიტყვა არაა, რომელიც მას არათუ ბრალდებიდან ათავისუფლებდეს, არამედ ამ ბრალდებას რამოდენიმეთ მაინც უმსუბუქებდეს! ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, სწორეთ ამაზე ითქმის...

თ-დ ჭავჭავაძემ არათუ ვერ დაარღვია ის, რასაც მას „მოგზაურის" კორესპონდენტი აბრალებდა, არამედ, თავის წერილის მეოხებით, ეს ბრალდება მან კიდევ უფრო გააძლიერა... თ-დ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ აქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცური კაცი" ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს, მაგრამ არც ერთ თავის ნაწარმოებში მას არ დაუნახვებია საზოგადოებისთვის თავისი შინაგანი „მე" ისე, როგორც „ივერიის" № 68-ში დაბეჭდილ წერილში. აქ ჩვენ იმ ჭავჭავაძესთან გვაქვს საქმე, რომელიც სინამდვილეში არსებობს: აქ იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმაზე მზათ არის იარაღით ხელში დაიცვას თავის ინტერესები... ილია ჭავჭავაძე, როგორც საქართველოს სასიქადულო მწერალი, ავტორი „გლახის ნაამბობის", „კაცია ადამიანის", „გლახა ჭრიაშვილის", „კაკო ყოჩაღის" და სხვათა, სრულებით დაუჩრდილავს თ-დ ილია ჭავჭავაძესვე, როგორც მემამულეს. ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნებაარა ზევით დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორთან, არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოთ იმისათვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არა გვგონია საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე

ულმობლად მიუვდეს ცხოვრებაში გლეხების გაჟკლეფის სისტემა.

თ-დ ჭავჭავაძე დიდი რიხით აცხადებს, რომ იგი კერძო საკუთრების მოტრფიალეა. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ის დიადი მოძრაობა, რომელიც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება, რომლის მოწმენი დღეს ჩვენა ვართ და რომელიც შიმართულია დღევანდელ უსამართლობის წინააღმდეგ, დღევანდელი ძირითადი სოციალური უკუღმართობის მოსასპობათ, მას მეტათ აღონებს და ძლიერ აწუხებს.

...რისთვის აწვება მას ბოღმა, როცა გლეხკაცს ესარჩლებიან გაუმაძღარ მემამულეების წინააღმდეგ? ან შესაძლებელია მას, როგორც მემამულეს, როგორც მესაკუთრეს, გლეხკაცობისათვის შევიწროება არ მიუყენებია? თ-დ ჭაჭავაძეს ამის უარყოფა ხომ ამიერიდან აღარ შეუძლია?.. ნუთუ სანტიმენტალური მოთხრობების დაწერა საკმარისია, რომ მის დამწერს ყოველივე სისაძაგლე ეპატიოს და ამის შესახებ პრესისამ ხმა არ ამოიღოს?.. ან შეიძლება უსამართლობის გამომჟღავნებას მხოლოთ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მას უბრალო მომაკვდავი ჩადის, და არა ილიასებური „დიდბუნებოვანი“ გვამი?..

...ჩვენ აქ მკითხველს აღარ შევახსენებთ იმაზე, თუ ვისი დაბეზღებით დაატუსაღეს ამ ხუთი წლის წინათ გაზ. „ცერიის“ ასოთამწყობები. ამას ჩვენი მკითხველი უჯრო დაწვრილებით შეიტყობდა „მოგზაურში“ დასტამბულ წერილიდან, — იხ. „მოგზაური“ № 18. (იგულისხმება 1905 წლის 15 მაისს „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ვინმე „ასოთ-ამწყობის“ ცილისმწამებლური „მცირე შენიშვნა“. — გ. ა.).

...მაგრამ ილია ჭავჭავაძის დვაწლი ჯაშუშობის ასპარეზს მარტო ამით ხომ არ თავდება... ან რასა სწერს მართლაც რომ მაბეზღარა თავადი: „არც მითხოვნია და არც მოვითხოვ (ჯარ'სეა ლაპარაკი), თუ ჩვენის ავტორის (კორესპონდენტის) და „მოგზაურის“ წყალობით, ხედმოსევა ჩემზე გლეხისა არ მოჰკრხდა და ან ერთმა და ან მეორემ საქმე ისე არ გამიხადეს, რომ მათ მიერ მოსეულს და ასისინებულ გლეხკაცობას მტრულად არ დავუხვდეო“. ამაზე მეტი ბეზღობა, ჯაშუშობა და ცილისწამება შეუძლებელია! ჩვენ არა გვგონია, რომ ამაზე მეტი ბეზღობა ოდესმე ჩაედინოს ბეზღობაში და ჯაშუშობაში განთქმულ გრინგმუტს, შეშერკის, კომაროვს და თუგინდ პალმს!.. და თუ ყველა ამის შემდეგ თ-დ ილია ჭავჭავაძეს კიდევ მოუცლია პრესისადმი პატივისცემაზე, ზნეობაზე, პიროვნების ხელუხლებლობაზე, ადამიანურ ღირსებაზე, საკუთრათ სამართალზე, კაცურ კაცობაზე,

და სხვა ამისთანებზე ეგრე ილაპარაკოს, იმას კიდევ-და შეუძლია თავის ნაწერებში გლეხებს გამოესარჩლოს, დაბეჩავებულ ცხოვრებაზე ცრემლები ღვაროს, თავისუფლებაზე იმღეროს, განა ეს არ არის დაცინვა? განა ეს არ არის თავისი თავის სასაცილოთ აგდება?

...ილიამ ბრალდება არათუ ვერ დაარღვია, არამედ კიდევ უფრო გაადიდა და ზედმეტი ფაქტები გადმოგვიყაჭა „ივერიისეე" ფურცლებზე"... (დაყოფა ჩვენია. — გ. ა.).

ილია ჭავჭავაძემ აღარ გასცა პასუხი ფ. მახარაძის და საერთოდ ჟურნალ „მოგზაურის" ამ ახალ („ნუთუ?"-ს საპასუხო) გამოლაშქრებას.

სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე სა'სოგადოებრიობიდანაც პრესის საშუალებით „ილიას არავინ გამოექომაგა, ხმა არ შეაწია, ნუგეში არ უთხრა. ილია მარტო დარჩა, ეს დიდი კაცი, და ვინ იცის, რა სულიერი მღელვარება განიცადა, როგორ დაიტანჯა!..

წიწამურის ტრაგედიამდე ილიას გულში უკვე დატრიალდა სულიერი ტრაგედია. ეს არავინ დაინახა. არც ვის აღმოაჩნდა წინდახედულობა, სიფრთხილე, და დაჭიმული მდგომარეობა და ილიას გარშემო შექმნილი განწყობილება ქვეყნის მტრებმა გამოიყენეს..." და სწორედ იმიტომ, რომ ფ. მახარაძისა და მისი თანამზრახველების ბრალდებათაგან ილია ჭავჭავაძის დასაცავად არავის აღუმაღლებია ხმა, ეს ბრალდებები ყველას არ აღუქვია ცილისწამებად: „ზოგს მკითხველს სრულიად სჯეროდა „მოგზაურის" ბრალდებანი... ხოლო უმრავლესობა, რომელსაც არ უყვარს საქმეში ღრმად ჩახედვა, ასე ფიქრობდა: რაღაც მაინც უნდა იყოსო. და ეს „რაღაც" ერთისათვის მცირე იყო, მეორისთვის დიდი". (ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები, — ლეილა ნანიტაშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1988 წ., გვ. 76).

64. შეხედულება, რომ მითითებულ პერიოდში ილია ჭავჭავაძე „თითქმის უკვე აღარავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა იმ დროის გაცხარებულ ბრძოლაში" და, ამდენად, ფ. მახარაძისა და მისი თანამოაზრეების სამკვდრო-სასიცოცხლო გალაშქრება ილიას წინააღმდეგ მოკლებული იყო ლოგიკურ საფუძველს, მნიშვნელოვან დასუსტებას მოითხოვს. მართალია, 1900-იანი წლების დამდეგიდან, ადრინდელთან შედარებით, ილია ჭავჭავაძე — ერთის მხრივ, ავადმყოფობის, გარკვეულწილად კი მისი ძოწინააღმდეგეების მიერ მის ირგვლივ შექმნილი მძიმე ზნეობრივი ატმოსფეროს გამო, — სულ უფრო ნაკლებად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ამ ხანებში ილია უკვე იშვიათად ესწრება, ხოლო 1902 წლის მეორე ნახევრიდან თითქმის საერთოდ აღარ ესწრება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომებს, რომლის თავ-

მჯდომარეც იგი 1885 წლიდან იყო; ამავე პერიოდიდან იგი თავს ანებებს გაზეთ „ივერიასაც", რომელსაც 1877 წლიდან ედგა სათავეში და სხვ.), მაგრამ 1905 წლის დამდეგიდან — რევოლუციის დაწყებისთანავე — ილია ჭავჭავაძე კვლავ ძველებური შემართებით ჩაუდგა სათავეში საქართველოს ეროვნული თვითმყოფობისათვის მებრძოლ მამულიშვილთა თაობას და საქართველოს ავტონომიის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთხოვნის ინიციატორი გახდა (იხ. შენიშვნა 32).

კიტა აბაშიძე თავის მოგონებაში ილია ჭავჭავაძეზე ასე აღწერდა ამ უაღრესად საყურადღებო ფაქტს:

„სულ უკანასკნელად მახსოვს მოძღვარი იმ დროს, როცა ეგრე უარყოფილი და სასაცილოდ აგდებული „პეტიციები"* ითხზებოდა. მახსოვს დიდებული კაცი, რომელმაც ჩვენ, მასწელ უფრო აღგზნებულებს, — გარეგნად მაინც, — თავისის დინჯის და წყნარის შეხიშვნით ის ნაბიჯი გადაგვადგმევინა, რომელიც უიმედოდ მიგვაჩნდა იმ წრესა და იმ პირობებში, სადაც ცხოვრებდით. „პეტიცია" თავადაზნაურთა კრებებისთვის უნდა მიგვეღებინებია. იმ თავადაზნაურობისაგან, რომელმაც ისე საძარცხვინოდ იდღესასწაულა საშვლოვიარო დღე მონობისა**, არას გაიოცებოდით და ამიტომ ვცდილობდით მეტად დიდი გასაბედაო არ მოგვეთხოვა, რომ მცირეზედაც უარი არ გვეთქმევინებინა, და საქართველოს ერის უფლებები მხოლოდ კილოკავად მოვიხსენიეთ. მახსოვს მოძღვარი, რომელმაც გაანაცხადა: მე მაგას ხელს ვერ მოვაწერ, მანდ ქართველის ერისათვის არაფერია, ჩასწერეთ შიგ მოთხოვნილება ავტონომიისა და პირველი ვაწერ ხელსა... — კი მაგრამ, რომ არ მიიღოს კრებამ? — ამ ჩემს თავზე მიდვიაო"... (კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, „დიდებული მოძღვარი", გაზ. „ისარი", 1907 წ., 20 IX, № 206, გვ. 2).

როგორც გიორგი ლასხიშვილიც წერს, რადგან ილიას „დიდი გაყლება ჰქონდა თავადაზნაურობაში, საქმე გაადვილდა და თავადაზნაურობის ოფიციალურმა კრებამ (1905 წლის 1 აპრილს — გ. ა.) თითქმის ერთხმად მიიღო საქართველოს ავტონომიის რეზოლუცია (44 ხმით 4-ის წინააღმდეგ — გ. ა.) და შესაფერისი შუამდგომლობა გაგზავნა პეტერბურგს. ამგვარივე პეტიციები წავიდა პეტერბურგს დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობისაგან და ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობისაგან, სადაც აგრეთვე ჩვენი ამხანაგები ცდილობდნენ. — გიორგი ლდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, გრ. გველესიანი

---

* საუბარია ქართველი თავადაზნაურობის სახელით იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი გასაგზავნ პეტიციაზე (იხ. შენიშვნა № 32).

** იგულისხმება რუსეთის იმპერიასთან საქართველოს მიერთების ასი წლისთავის ზარ-ზეიმით აღნიშნა ქართველი თავადაზნაურობის მიერ 1901 წლის 25 სექტემბერს.

და სხვები". (გ. ლასხიშვილი, მემუარები, ტფილისი, 1934, გვ. 196).

ილია ჭავჭავაძის გადამწყვეტი როლი ქართველი თავადაზნაურობის მიერ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის ოფიციალურად წამოყენების საქმეში, რა თქმა უნდა, კარგად იყო ცნობილი საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგეთათვისაც, და ფ. მახარაძისა და მისი თანამზრახველების გააფთრებული გალაშქრება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ და მისი პიროვნების დისკრედიტაციის ცდა, ეჭვგარეშეა, ილიას სწორედ ამ დიდმნიშვნელოვანი როლით იყო გამოწვეული, რადგან — კიტა აბაშიძის სიტყვით, — „პოლიტიკურად განუვითარებელ „დასელთა" ბელადებს ეგონათ, რომ თუ ილია ზნეობრივად მოკლეს, ამით იმ იდეალსაც მოკლავენ, რომელსაც იგი მთელს თავის სიცოცხლეში ემსახურებოდა და რომელიც პირველად გარკვეულად წარმოსთქვა რამდენიმე ათეული წლის წინათ", — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს".

ილიას „ზნეობრივად მოკვლა", — რევოლუციის დასაწყისშივე ილია ჭავჭავაძისა და, მისი სახით, საქართველოს ავტონომიის და, საზოგადოდ, ქართული ეროვნული თვითმყოფობის იდეის დასამარება, „დასელებისათვის" (ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის) გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა, რამდენადაც მათთვის — მათი სოციალურ-პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე, — სრულიად დაუშვებელი იყო, რომ რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში ეროვნული მიმართულება მიეღო და კლასობრივი ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში გადაზრდილიყო. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეებისათვის კი საერთო ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა, — ქართველი ერის ყველა კლასისა თუ წოდების ერთობლივი ბრძოლა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის ხორცშესხმისათვის, — რევოლუციის პერიოდშიც, ისევე როგორც ყოველ სხვა დროს, კვლავ უმაღლეს მიზნად რჩებოდა. ილია ჭავჭავაძის ეს პოზიცია მკაფიოდ გამოვლინდა საკუთრივ „მოგზაურსა" და ილიას შორის მიმდინარე პოლემიკისას: „...დღევანდელ მოძრაობას — წერდა ილია თავის „ნუთუ?"-ში, — თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს არამც თუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ". (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. 280). ხოლო თუ რა გეზით იყო აუცილებელი, ილიას აზრით, „დღევანდელი მოძრაობის" წარმართვა, მკითხველს, ცხადია, არ გაუძნელდებოდა მიხვედრა...

ამრიგად, რევოლუციის დაწყებისთანავე ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორგანიზებულ ლაშქრობას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, ჩვენი აზრით, ღრმა საფუძველი მოეპოვებოდა და სრულიად კონკრეტული ზრახვები ამოძრავებდა.

65. იგულისხმება „ვ. ნ."-ს (ვასილ ნაცვლიშვილის) ცილისმწამებლური წერილი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ — „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება", რომელიც 1905 წლის 10 აპრილს ჟურნ. „მოგზაურის" № 13-ში დაიბეჭდა. (იხ., აგრეთვე, მისივე, „პასუხათ ილია ჭავჭავაძეს", — ჟურნ. „მოგზაური", 1905 წ., 15 V, № 18).

66. ციტირებული ფრაზები ამოკრებილია „პროტესტანტების" წერილებიდან, რომლებიც 1913 წელს სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთებში „თანამედროვე ქვეყანა" და „განთიადი" დაიბეჭდა. იხ. (თანამიმდევრულად): „განთიადი" № 1, № 12, № 5, № 16, №16, „თანამედროვე ქვეყანა" № 31, № 31, № 30, „განთიადი" № 2.

67. ივანე ვალეხნიკოვი, იოსებ მაროსოვი, გიორგი გრიმთელოვი და არმენაკ ამბარდაროვი, სხვა 15 „პროტესტანტთან" ერთად, ხელს აწერდნენ 1913 წლის გაზ. „განთიადის" № 1-ში დაბეჭდილ საპროტესტო წერილს; კეშიშოვი, ტატალოვი და პარამუზოვი („ბინიტოლის მუშები"), 5 თანაავტორთან ერთად, — „განთიადის" № 7-ში გამოქვეყნებულ წერილს; ივანე როკვითარკოვი და რაფაელ ჩილინგაროვი, 17 თანამოაზრესთან ერთად, — „განთიადის" № 7-ში დაბეჭდილ, ბათუმიდან გამოგზავნილ წერილს; მარია ვიჩურკინა, მანია № და მარო კლაცმანი, სხვა 40 „პროტესტანტ" მანდილოსანთან ერთად, — „განთიადის" № 10-ში გამოქვეყნებულ წერილს.

„პროტესტანტების" ნუსხა, სამწუხაროდ, არ ამოიწურება მხოლოდ კიტა აბაშიძის მიერ მოხსენიებული გვარებით. აქ მრავალ ქართულ გვარსაც ვხვდებით — ანიდან ჰოემდე. „პროტესტანტთა" საერთო რაოდენობა კი სამ ათასამდე აღწევს.

68. მ ა თ ე, 27, 4—5.

69. იხ. მ ა თ ე, 18, 6.

70. ციტირებულია 1913 წლის 31 იულისს გაზეთში „თანამედროვე ქვეყანა" (№ 32) „მადელენის" ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილიდან — „პასუხათ ცილის მწამებელთა ბანაკს".

71. აღსანიშნავია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები არა მხოლოდ პრაქტიკულად ახორციელებდნენ, არამედ თეორიულადაც არ უარყოფდნენ ტერორისტულ აქტებს. ამ თვალსაზრისით უთუოდ საყურადღებოა ნოე ჟორდანიას მიერ მოწიდებული ცნობა: 1905 წლის რევოლუციის აღმუვების პერიოდში, წერს ნ. ჟორდანია, „გამოსჩნდა ერთი თვალსაჩინო განსხვავება რუსის სოც.-დემოკრატები-

საგან. ისინი ხელაღებით უარყოფდენ ტერორს, ყოველნაირ ფორმისას. ჩვენც უარვყოფდით ტერორს როგორც საშუალებას თვითმპყრობელობის ჩამოგდების, როგორც ამას ფიქრობდენ ნაროდნიკები, მაგრამ უარს არ ვყოფდით მას, როგორც იარაღს თავის დაცვის და პოლიციურ ძალთა შორის პანიკის დათესვის. თანახმად ასეთი შეხედულებისა, თფილისის კომიტეტი ახდენდა ტერორისტულ თავდასხმებს ჟანდარმებზე, მეტად ერთგულ პოლიციელებზე და „ოხრანკის“ აგენტებზე“(იხ. ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, „ჩემი წარსული. მოგონებანი“ (პარიზი, 1953 წ.), თბილისი, 1990, გვ. 49—50). — ილია ჭავჭავაძე კი, ქართველი სოციალ-დემოკრატიული მასის თვალში, ფილიპე მახარაძის შთაგონებით, იყო „ჯაშუში, რომელსაც თავისი როლი ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი და შესისხლხორცებული“ და რომელიც „ადგა სისტემატიურათ ბეზღობის, ცილისწამებისა და ჯაშუშობის გზას“.

72. პავლე აფციაური (იგივე ფშავლიშვილი), რომელიც 1908 წლის 4 თებერვალს დააპატიმრეს, მეტეხის ციხიდან 11 მაისს გაიქცა (ვინმე ბურჭულაძესთან ერთად). გაქცევის ორგანიზატორების ვინაობის დადგენა, რომელნიც თავს დაესხნენ ციხის ყარაულს და აფციაური დაიხსნეს, ვერ მოხერხდა. (იხ., აგრეთვე, შენიშვნა № 58).

73. ძნელი წარმოსადგენია, რომ „ჩვენს იუდას“ წიწამურში დაღერილი სისხლი ოდესმე „მართალ სისხლად“ მიეჩნია... ფ. მახარაძეს არასოდეს არ შეუცვლია ის შეურიგებელი პოზიცია ილია ჭავჭავაძის მიმართ, რომელიც ილიას წინააღმდეგ „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ საპროგრამო წერილში („თავის მართლებაც ასეთი უნდა!“) სავსებით მკაფიოდ ჰქონდა გამოხატული.

მართალია, შემდგომში — საბჭოთა საქართველოს ხელისუფლად აღზევებული, — ფ. მახარაძე, თავის მრავალრიცხოვან „თხზულებებში“, ილია ჭავჭავაძეს უკვე აღარ მოიხსენიებდა „ბეზღობის, ცილისწამებისა და ჯაშუშობის“ დიდოსტატად, მაგრამ ქართველი ერის სულიერი მოძღვარი, მისი მტკიცე რწმენით, ყოველთვის იყო „მუშებისა და გლეხობის ექსპლუატატორი, როგორც მწერალი... იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების ერთგული დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი“, „რეაქციონერი და კონტრრევოლუციონერი“. (ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, გაზ. „კომუნისტი“, 1931 წ., 27 X, № 248, გვ. 3). ფრიად საეჭვოა, რომ ასეთი პიროვნების მოკვლას ფ. მახარაძე დიდად დაემწუხრებინა. მეტიც, თუკი უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ მოგონებებს ყენდობით, ფ. მახარაძეს, 1941 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დაუდასტურებია ილიას სასიკვდილო განაჩენის გა-

მოტანაში თავისი უშუალო მონაწილეობა: კერძოდ, როგორც ალ. სიგუა გადმოგვცემს (ალექსანდრე ბურთიკაშვილის — რომელიც გ. ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე კონსულტანტად ყოფილა მიწვეული, — და ადვოკატ ხონელიძის მონახრობზე დაყრდნობით), ფ. მახარაძეს განუცხადებია: „...ჩვენ მესამედასელებმა დავადგინეთ ილია ჭავჭავაძის მოკვლა, რადგან იგი იყო ის პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებას. როდესაც ჩვენ ილია ჭავჭავაძის მოკვლა დავადგინეთ, ფრაქციის ყველა წევრმა იცოდა და დადგენილებაზეც ხელი ჰქონდათ მოწერილი..." (ალ. სიგუა, ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე, — ჟურნ. „მნათობი", 1989 წ., № 6, გვ. 165).

74. აფციაური მოკლეს 1908 წლის 17 დეკემბერს, სოფელ მამკოდის მოხლობლად, პოლიციელებთან შეტაკებისას. ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სხვა ეჭვმიტანილთაგან კი იმჟამად მხოლოდ სამი იქნა გასამართლებული (კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს მიერ) და სიკვდილით დასჯილი, — ჩამოხრჩობილი (1908 წლის 21 აგვისტოს): თედო ლაბაური, გიორგი (იგივე ლომა) ხიზანიშვილი და ივანე (ვანო) ინაშვილი. ხოლო გიგლა ბერბიჭაშვილმა, რომლის მონაწილეობა ილიას მკვლელობაში არავითარ ეჭვს არ იწვევდა, შეძლო გადამალვა და სასჯელის თავიდან აცილება (იგი ირანში გადავიდა, სადაც ათ წელზე მეტი გაატარა). რევოლუციისა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბერბიჭაშვილი უკვე აღარ იმალებოდა: დაქირავებული მკვლელი, რომელიც ამაყობდა კიდეც ილია ჭავჭავაძის მკვლელობით, საბჭოთა საქართველოს ხელისუფალთა ნდობით აღჭურვილ პიროვნებად იქცა (1921 წლიდან იგი — სტაჟიანი კომუნისტი, — ჯერ საგურამოს აღმასკომის თავმჯდომარეა, შემდეგ — მუხრანის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, მერე — დუშეთის სამაზრო დამზღვევი სალაროს თავმჯდომარე, შრომის ბიუროს სექციის გამგე, ღვინო-ხილკავშირის მომარაგების განყოფილების ცენტრალური საწყობის გამგე და ა. შ., — სხვადასხვა კონფერენციების დელეგატი და საზოგადოების წევრი; „პირადი რევოლუციური დამსახურებისათვის" მას სოლიდური პენსიაც ეძლეოდა)...

ილიას მკვლელობის გამო ბერბიჭაშვილი მხოლოდ 1941 წელს დააპატიმრეს (25 მაისს). სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ როგორც საბჭოთა არმიის რიგებში მებრძოლი ჯარისკაცის მშობელს, განაჩენი ათი წლის პატიმრობით შეუცვალეს...

იმ ჩვენებებიდან, რომელიც ბერბიჭაშვილმა ძიებასა და სასამართლოს მისცა, სადღეისოდ მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოქვეყნებული. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ცნობილი გახდა ბერბი-

ჭაშვილის უაღრესად საყურადღებო (თუმც ძნელი სათქმელია — რამდენად სანდო) ადრინდელი ჩვენება, რომელიც 1924 წლის აჯანყების მონაწილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმის“ ურთ-ერთი მეთაურის, ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებებმა შემოგვინახა:

„აი, დადგა დრო, თუმცა გვიან, მაგრამ ეხლა მაინც უნდა გაიგოს ქართველმა ერმა, და ნამეტნავად მომავალმა თაობამ — ვინ იყვნენ ილიას მკვლელები და რათ მოჰკლეს. ჩვენი ბრძოლების დროს, 1923 წელს, ზაფხულში ხელში ჩაგვივარდა ილიას ფიზიკური მკვლელი ბერბიჭაშვილი. შეფიცულები ზიზღით უყურებდნენ და გაგლეჯა უნდოდათ მისი, მაგრამ ქაქუცამ იპატია და დაჰკითხა. თითქმის ყველა კითხვებზე პასუხს იძლეოდა და ძლიერ შეშინებული იყო. დიდი დაკითხვის შემდეგ ქაქუცამ გაანთავისუფლა, იმ მოსაზრებით, თუ გავიმარჯვებდით — საჯაროდ გველაპარაკებინა. ბევრი გავიგეთ მისგან, პატარა ჯგუფის გვარები, რომლებმაც სრკვდილის განაჩენი გამოუტანეს ილიას. აი ვინ იყვნენ იმ ვერაგული ჯგუფის წევრები: თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, ი[სიდორე] ჯიბლაძე, ი[სიდორე] რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნ[ოე] ხომერიკი და პ[ეტრე] გელეიშვილი. ნოე ჟორდანიაც იყო მიწვეული ამ უდიერ კრებაზე, მაგრამ როდესაც გაიგო რის შესახებ იყო ის კრება, სთქვა, მე ხელები დამიბანიაო ამ საქმეშიო და წავიდა. ჟორდანია წავიდა, მაგრამ არაფერი გააკეთა, რომ შეეჩერებინა ეს უდიერობა. ვერც გასცა პარტიული ამხანაგები, ალბათ იცოდა, რომ გაეცა, მასაც მოკლავდნენ“. (ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ულ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, რა ხდებოდა მეტეხის ციხეში 1923-24 წლებში ქართველებ შორის და ილიას მკვლელობის სინამდვილე“, — გამოცემული სან-ფრანცისკოში, 1985, გვ. 10).

75. ციტირებულია 1913 წელს გაზ. „განთიადის“ № 18-ში გამოქვეყნებული (ქუთაისიდან გამოგზავნილი) წერილიდან, რომელსაც 21 „პროტესტანტი“ აწერს ხელს.

76. ციტირებულია 1913 წელს გაზ. „თანამედროვე ქვეყანაში“ (№ 25) გამოქვეყნებული საპროტესტო წერილიდან, რომელსაც „ბათუმის ქართველი ნოქრები“ (33 კაცი) აწერენ ხელს.

77. ციტირებულია 1913 წელს გაზ. „თანამედროვე ქვეყანაში“ (№ 28) 55 „პროტესტანტის“ ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილიდან.

78. „იმერეთი“ — ერვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა ქუთაისში 1912—1915 წლებში.

79. ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ თავზარი დასცა არამარტო იმ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც „საუკუნოთ ზურგი

უბრუნეს“ თავიანთ პარტიას, არამედ უდიდესი ზემოქმედება მოახდინა არაერთ სხვა ცნობილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეზეც, ვინც წიწამურის ტრაგედიამდე, თავისი პარტიული მსოფლმხედველობის შესატყვისად, შეუნებულად უპირისპირდებოდა ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ილიასეულ იდეას. ამ თვალსაზრისით ძალ'სე საგულისხმო წერილი აქვს გამოქვეყნებული მიხაკო წერეთელს, რომელიც — მისივე სიტყვით, — ახალგაზრდობაში მხურვალედ იყო „გატაცებული სოციალიზმისა და კერძოდ ანარქიზმის დიადი იდეალით“ და, ქართველ სოციალ-დემოკრატთა მსგავსად, მიიჩნევდა, რომ ქართველი ხალხის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა არა „ეროვნული იდეალის“ განხორციელებისათვის ბრძოლა, არამედ ბრძოლა -- რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებთან ერთად, — სოციალური თავისუფლებისათვის, რადგან სჯეროდა, რომ სოციალურ თავისუფლებას „აუცილებლად, ფაქტობრივად მოჰყვება ეროვნული თავისუფლებაც“. (იხ. Baton [მ. წერეთელი], ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიურის მხრით, თბ., 1910 წ., გვ. V, XXVIII—XXIX).

„ილია ჭავჭავაძის მოკვლა მთელმა ქართველმა ერმა განიცადა ვითარცა კვრა ლახვრისა გულსა შუა, — წერდა მიხ. წერეთელი 1957 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ილია ჭავჭავაძის მოკვლა“, — გლოვითა და ტირილით აღივსო საქართველო, ყოველი სარწმუნოების და მდგომარეობის ნაწილი ქართველი ერისა. და თუ გლოვა დიდი და ღრმა იყო, დიდი იყო აგრეთვე რისხვა ერისა: მისი თავის მოჭრა მოინდომეს, წაართვეს რა მას მისი დიდი მეთაური. და ეს შეიძლება მიზეზი გამხდარიყო ქართველთა მიერ ურთიერთის განადგურებისა. ამან ყველა გონს მოიყვანა. გონს მოგვიყვანა ჩვენც, მაშინდელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, რომელმაც არ იცოდა რას როტავდა და რას ჩმახავდა 1905 წლის წინათ, ამ წლის დღეებში და შემდეგაც, — ღმერთმა იცის, ვისი და რას გავლენით, „რევოლუციონური ბრძოლით“ გატაცებული. ილიას მოკვლამ თვალი აგვიხილა. დავინახეთ „რაშიგან ვართ“, დავირაზმეთ ერის სამსახურისათვის, მივხვდით რა, რომ სხვა უდიდესი მოვალეობა ადამიანისათვის არ არსებობს, და ჩვენმა მცირემ, მაგრამ მტკიცე დარაზმულებამ თავის დროზედ თვისი მოვალეობა ერის წინაშე ნათლად აღასრულა. გონს მოვიდა თვით ქართული მარქსიზმიც, ქართველთა სოციალ-დემოკრატია. წარმომიდგენია, რას აზრობდა მრავალი მათგანი: რა ნაყოფი გამოიღო ჩვენ მიერ ნაქადაგებმა მოძღვრებამ; მართალია, ბოროტთა და გონება-დაბნელებულთა მოქმედებით, მაგრამ ჩრდილი მათი უკეთურების ჩვენც გვადგებაო! და სიტყვები ვლასა მგელაძისა და კარლო ჩხეიძისა ილიას დასაფლავებაზე (სოციალ-დემოკრატიული პარტი-

ის ცნობილი მოღვაწის ელასა მგელაძის სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის დაკრძალვისას, იხ. კრებულში — „ილიას სიკვდილი და დასაფლავება". — გ. ა.) ნათლად მოწმობდენ, რომ ილიას მოკვლა მათაც ისევე ეცათ ლახვარივით გულს, რაგვარადაც სხვა ქართველს. „რევიზია" მათ მიერ მათი მსოფლიოს-ხედვისა და ბრძოლის მეთოდთა მაშინ დაიწყო, და დაიწყო აგრეთვე გამოყოფა ქართული მარქსიზმის წიაღითგან ქართული ეროვნული სოციალ-დემოკრატიისა, რომლის მეთაურებად ერთნი საუკეთესონი გამოვიდენ. და ყოველივე ამით კვლავ განმეორდა მოვლენა: ყოველი წინასწარმეტყველის მოკვლა მკვლელთა მიზანთა შერცხვენაა და არა მიღწევა..." (ჟურნ. „ბედი ქართლისა", 1957 წ., № 24—25, გვ. 7).

მაგრამ „ქართული მარქსიზმის წიაღიდან ქართული ეროვნული სოციალ-დემოკრატიის გამოყოფა" — სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებით შეპყრობილი ცნობიერების გამოფხიზლება და მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციასა და ჩაგრული კაცობრიობის ნათელ მომავალზე ოცნების ნაცვლად საკუთარი ერის სასიცოცხლო პრობლემებზე დაფიქრება, — ერთბაშად არ მომხდარა. ეს იყო რთული, ხანგრძლივი პროცესი, რომელიც არა ერთი და ორი წელი გაგრძელდა და საბოლოოდ მხოლოდ დიდი ისტორიული ქარტეხილების შემდეგ, რუსეთის ძველი იმპერიის დანგრევისა და ახალი, ბოლშევიკური იმპერიის ჩასახვის მიჯნასთან დასრულდა, როცა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ილიასეული იდეის ხორცშესხმა თვით ისტორიის მსვლელობამ აქცია გარდუვალ აუცილებლობად.

მანამდე კი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორთოდოქსია (მისი ორივე შემადგენელი ნაწილი — მენშევიკურიც და ბოლშევიკურიც) ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძის წინამძღოლობით, წიწამურის სისხლიანი ტრაგედიის შემდგომაც კვლავ ერთობლივი ძალისხმევით, უშრეტი ენერგიითა და გზნებით (თუმც თანდათან სულ უფრო ნაკლები წარმატებით), ისევ და ისევ განაგრძობდნენ ბრძოლას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ: ებრძოდნენ ილიას ხსოვნასა და ნაანდერძევს, ებრძოდნენ ილიას თანამოაზრეებსა და მოწაფეებს, მისი ეროვნული იდეალების მიმდევრებსა და დამცველებს.

ქართველ ფედერალისტთა პარტია, — წერდა ნოე ჟორდანია 1913 წელს, — „პირველი საერო პარტიაა, რომელმაც წაბაძა სასულიეროს და თავისი საკუთარი წმინდანი წამოაყენა.

თქვენ შეგიძლიათ თავისუფლათ შეეხოთ ვისაც გსურთ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროთ მაგ. რუსთაველი, ბარათაშვილი, აკაკი, პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, შექსპირი, გიოტე, — ყველა შინაური და გარეშე დიდებული მოღვაწენი. ამის უფლება არ გაქვთ

მხოლოდ ერთი მოღვაწის შესახებ, — ეს არის ილია ჭავჭავაძე. ის ხელშეუხებულია, ის მხოლოდ სათაყვანებლათ და პირჯვრის საწერათ არის კაი ხანია გამოცხადებული ფედერალისტების მიერ. ილიას ნაკლულევანება არა ქონდა რა, ის უპირველესი პოეტია, უპირველესი პუბლიცისტია, უმწიკვლო მემამულეა, ერთი სიტყვით, მზესავით ნათელი და სპეტაკია. მისი კანონიზაცია უკვე მოხდა, ილიას ხატი უკვე დაიწერა, მისი ხატობა ხშირათ იმართება და კიდევ დიდხანს გაიმართება, ვინაიდან ეს ერთობ დიდი შემოსავლიანი საქმე შეიქნა.

რელიგია ჩვენ კაი ხანია კერძო საქმეთ გვაქვს გამოცხადებული და ამიტომ არც ფედერალისტების ხატობას შევეხებოდით, რომ ილიას ხატის ძვრა ყოველ წელიწადს საზიზღარი მანჭვა-გრეხით და აღვირწახსნილი ყბედობით არ იწყებოდეს და თავდებოდეს. გამართავენ თავის ხატობას და მოგვდგებიან ჩვენ, ე. ი. ყველა იმათ, რომელნიც ამ ხატობაში მონაწილეობას არ ვიღებთ და მაყურებელთა რაზმს შევადგენთ...

ჩვენ ამდენ ხანს ილიას შესახებ გაჩუმებული ვიყავით, მის წმინდანათ გამოცხადებას შორიდან ვუცქეროდით; ახლა ცხადია, რომ ეს ვერ შეიღირსეს ილიას ჭირისუფლებმა, მათ მადა თანდათან გაუდიდდათ... ახლა კი დროა ილიაზე ითქვას მართალი სიტყვა, ითქვას ის, რაც მის სიცოცხლეში თქმულა და მას ვერ დაურღვევია; გამოირკვას მისი შეხედულებები ბატონ-ყმობაზე, წოდებებზე, გლეხებზე და საზოგადოთ ხალხზე, სხვადასხვა მოღვაწეებზე, — ერთი სიტყვით, ნათელი მოეფინოს მის პოეტურ სიტყვას და პროზაიკულ საქმეს, მის პუბლიცისტურ და საზოგადო მოღვაწეობას. ხატობის ხანა ჩვენ გავიარეთ, ამას ახლა მკითხავები და სოფლის დედაბრები მეთაურობენ. მარტო ტრაღიკულათ გარდაცვალება არ კმარა წმინდანის გვირგვინის თავზე დასადგმელათ, საჭიროა ამ „წმინდანის“ საქმეც გავიგოთ და მერე ავწონ-დავწონოთ მისი ღირსება და ნაკლულევანება. დროა ფედერალისტთა ხატობას ძირი გაეისინჯოს და არმაზის ალაგას აღმართულ კერპს თავის ალაგი ეჩვენოს. ამ ვაჟბატონებმა იმდენი იყვირეს, იმდენი ილანძღეს, იმდენი ილოცეს თავის კერპის საღმერთებლათ, რომ საზოგადოება გააყრუეს, ბევრი დააჯერეს, ბევრს გზა-კვალი აურიეს, ბევრი ჯვარედინა გზაზე გაათრიეს და იქ გააყუყუჩეს. ვისაც ილიობა შეეყრება, ის ძნელი მოსარჩენი ხდება...

ილიაში იხატებოდა ერთ დროს ჩვენი საზოგადოების მთელი მდგომარეობა და მისი გავლენის დაცემა ერთნაირი საზოგადოებრივი რევოლუცია იყო. ილიას დამარცხებამ მთელი ქართველობა შეანძრია, ისე როგორც დიდი ხის მოტკვლეცა მთელ ტყეს გააქანებს ხოლმე. საკვირველია, მუშა ხალხის პროტესტი ლიტერატურულ ეთიკის შესახებ ჩვენს მწერლობაში ორჯერ გაისმა. პირველათ

1900 წ., ილიას პოლემიკურ წერილების გამო, და მეორეთ ისმის ახლა, ფედერალისტების დემაგოგიის გამო იმავე ილიას შესახებ*. ილია იქ, ილია აქ; ის კვდარიც კი ორათ ყოფს ჩვენს საზოგადოებას, ერთს მეთაურობს და მეორეს ებრძვის. ის იყო დროშა ძველი საქართველოსი სიცოცხლეშივე, ამავე დროშათ რჩება ახლაც, ფედერალისტების მეფობაში... ამიტომ ვინც ილიას მოღვაწეობის შესახებ მართალი არ იცის, ის არ არის ცნობიერათ ჩახედული ჩვენს შინაურ ბრძოლაში.

ამბობენ, ილია პირველ ყოვლისა პოეტიაო, ეს მართალი არ არის. ილია პირველ ყოვლისა პუბლიცისტია, ის პოეზიაშიაც პუბლიცისტათ რჩება. მან დიდი კვალი გააველო ჩვენ საზოგადო ცხოვრებას არა პოეზიით, არამედ პუბლიცისტიკით, საზოგადო მოღვაწეობით. ილია ილიობდა როგორც სხვადასხვა ორგანოების რედაქტორი, როგორც ბანკის და სხვა დაწესებულებათა მეთაური, როგორც ინტელიგენციის და თავადაზნაურობის წინამძღოლი, როგორც მებრძოლი. მისი პოეტური ნაწარმოებები იშვიათათ თუ დაიბეჭდებოდა და ისიც ისეთ დრო გამოშვებით გამოცემებში, რომელთაც მეტათ მცირე მკითხველი ყავდათ. ზოგი მისი ნაწარმოები იბეჭდებოდა ნაწყვეტებათ რამოდენიმე წლის განმავლობაში (მაგ. „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან" და სხვ.). არა, ის გავლენას ახდენდა არა ამ დარგით, არამედ თავისი საზოგადოებრივი მოქმედებით. და აი, სწორეთ ეს აქვთ სახეში ფედერალისტებს, როცა ილია გააწმინდანეს. სწორეთ ისინი შეიქნენ ილიას მიმართულების მემკვიდრე, ისინი მეთაურობენ ილიასავით ინტელიგენციას და თავადაზნაურობას, ისინი იბრძვიან, ილიასავით, საბანკო და სამარშლო ასპარეზზე, მათ სურთ, ილიასავით, ქართველებისაგან ერთი რაზმის, ერთი ჯარის შედგენა გაბატონებულთა წინამძღოლობით, — ერთი სიტყვით, მათი მიმართულება და ტაქტიკა ილიასია და, ამიტომ, როცა ილიას ასე აქებენ, აქებენ ამით თავისთავს, თავის მოღვაწეობას...

ჩვენ ილიაში ვაფასებთ მის კარგ მხარეებს; ფედერალისტები კი აფასებენ და ადიდებენ მის ცუდ მხარეებს. ჩვენ მისი პოეტური ნაღვაწი მიგვაჩნია დადებით მხარეთ, დანარჩენი მისი ნაღვაწი კი საზარალოთ. დრო არის მისი კარგის კარგათ მიჩნევა და ავის ავათ.

პირუთვნელმა ისტორიამ უნდა გამოიტანოს თავისი განაჩენი"...**

---

* „1900 წლის პროტესტები მხოლოდ მუშების პროტესტები იყო. — დასძენდა ნ. ჟორდანია, — წელს კი პროტესტს აცხადებენ არა მარტო მუშები, არამედ გლეხებიც, ნოქრები, ხელოსნები, — ერთი სიტყვით, მშრომელი ერის ფენა ნაწილები. ეს მაჩვენებელია ჩვენი ხალხის უტყუარი წინმსვლელობის და განვითარების". — ნ ა რ ი ძ ე [ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა], გაზ. „განთიადი", 1913 წ., 11 VIII, № 9, გვ. 3.

** ნ ა რ ი ძ ე [ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა], ჟურნალისტის შენიშვნები, გაზ. „თანამედროვე ხმეყანა", 1913 წ. (27 VII), № 29, გვ. 2—3.

...ისტორიამ კი ასეთი განაჩენი გამოიტანა:

ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ შერაცხა „თავის საკუთარ წმინდანად“ (რაზეც ასე ღვარძლიანად ქილიკობდა ნ. ჟორდანია), — ილია წმინდანად შერაცხა სრულიად საქართველომ, — მსოფლმა ქართველმა ერმა და ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ;

ისტორიის განაჩენმა რეალობად აქცია ქართველ მამულიშვილთა — ილიას თანამებრძოლთა და მოწაფეთა — შეურყეველი რწმენა: „ილიას წმიდა სისხლის ღვარი უნდა შეიქმნესო ქართველი ერის ემბაზად, რომელშიაც გაბანილი და ნათელღებული, იგი სულით ამაღლებული და გონებით გამოფხიზლებული ზეაღდგება და „დასწვდება იმა აკვანსა“, რომლის შესახებ ფიქრსა და ვარამში, ზრუნვასა და ოცნებაში დალია სული ცით დაგვირგვინებულმა მგოსანმა“*: ეროვნული დამოუკიდებლობის ილიასეული იდეა ყოვლისმომცველ იდეად იქცა (ამ წმიდათაწმიდა იდეის დამცველთა რიგებს თვით ქართველ სოციალ-დემოკრატთა უდიდესი — „მენშევიკებად“ წოდებული — ნაწილიც შეუერთდა); ქართველ ერს მოსცილდა რუსეთის იმპერიის მონობის უღელი და დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება ეღირსა...

...ისტორიისავე განაჩენით (თუ ბედის ირონიით), როცა „დღის წესრიგში დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“,— ნ. ჟორდანიას ფორმულირებით, „ეს სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი“,** — ამ დიდი ისტორიული მისიის აღსრულება 1918 წლის 26 მაისს — ისევე როგორც, შემდგომში, საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურობა, — ნოე ჟორდანიას ერგუნა, პიროვნებას, რომლის მთელი ადრინდელი მოღვაწეობის ერთ უმთავრეს მიზანს ქართველ „ნაციონალისტებთან“ — ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებთან ბრძოლა წარმოადგენდა, ბრძოლა ქართული ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, — პიროვნებას, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ „არ ცერთ ხალხს ისე ნაკლებათ არ აინტერესებს ნაციონალური იკითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს“, და მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა:

„ჩვენში რუსეთის შემოსვლის“ შემდეგ (რაც, ნ. ჟორდანიას აზრით, „მოასწავებდა მაღალი პოლიტიკური წყობილების შემოსვლას

---

*კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა), — წიგნში: „ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“, ტ. I, ტფილისი, 1914 (მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა), გვ. CXVIII.

**ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული (მოგონებანი), თბ., 1990 წ., გვ. 89.

დაბალისაში", — განსხვავებით პოლონეთისაგან, სადაც „რუსეთის შესვლა ეს იყო დაბალი პოლიტიკური წყობილების შესვლა მაღალისაში") საქართველოში ერთმანეთს „შეეტაკა ორი დროშა, დროშა საკუთარი და უცხო, ნაციონალური და ანტინაციონალური. ვისკენ უნდა ყოფილიყო ხალხის თანაგრძნობა? რასაკვირველია, უკანასკნელისაკენ (ანტინაციონალურისაკენ! — გ. ა.), ვინაიდან ამ დროშის ინტერესი იყო ამავე დროს ინტერესი ხალხის, ინტერესი ქვეყნის აღორძინების, გაერთიანების, ახალი ცხოვრების დაწყების. ქართველი ხალხის ნაციონალიზმიდან დაშორება იწყება სწორედ აქ...

მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი, შეუჩერებელი წინმსვლელობისა და კულტურულად ამაღლებისა, და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამითი აიხსნება ანტირუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში"...

ქართველმა ინტელიგენციამ — „რომელიც მუდამ „საქართველოს განთავისუფლებაზე" ოცნებობდა", — „დიდი შრომა გასწია, დიდი ენერგია დახარჯა იმისათვის, რომ რაიმე ვზით მას მიეგნო ხალხის გულისათვის და შიგ ნაციონალიზმი დაესადგურებია", მაგრამ „ამდენი ხნის მუშაობამ მუქთათ ჩაიარა: მისი ნაციონალისტური დროშა ხალხმა ერთი დაკვრით უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალისტური დროშა...

...მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა — ნაციონალური მოძრაობა არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავადაზნაურობის, ან ინტელიგანციის, არასოდეს ხალხის...

...ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინათ, და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო — ის მას ხონჩიანა შორს აგდებს... ის თავიდანვე ამ გზას ადგა და აქედან დღესაც არ უხვევს. ეს ქართველი ხალხის ისტორიული გზაა, რითაც ის განსხვავდება სხვა კულტურულ ერებისაგან". და თუკი „კავკასიის სხვა ერებში ნაციონალიზმი დღეს გაძლიერებულია,.. სწორეთ ქართველი მუშა-ხალხის ისტორიული მოწოდებაა შეებრძოლოს ამ სხვა ერთა ნაციონალიზმს, თანდათან მოიმხროს მათი პროლეტარიატი და გლეხები და ასე ინტერნაციონალიზმი ყველა ერში გააბატონოს"...*

მაგრამ თუმც „საქართველოს დამოუკიდებლობის ახრი არ ეგუებოდა არც ნ. ჟორდანიას მთელი ადრინდელი მუშაობის დოქტრინას,

---

* ან [ნ. ჟორდანია], ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი, — გაზ. „ცისკარი", 1908 წ., № 7, № 11; გაზ. „ახრი", № 1 (Passim).

არც რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიისადმი კუთვნილებას, — როგორც ზურაბ ავალიშვილი წერდა, — რაკი ერთხელ „ირწმუნა“; ოსტატის ხელით შეუდგა ახალი პროგრამის გატარებას“.* ამიერიდან ნ. ჟორდანია, მიხაკო წერეთელის სიტყვით, „სხვა მოვლენად გახდა, ვიდრე წინათ იყო“,** და რაკი საქართველოში იმჟამად უკვე „ყველა ნაბიჯი იზომებოდა და იყღინთებოდა ნაციონალური მომენტით“,*** ნ. ჟორდანიამ, თავის ერთგულ „დასთან“ ერთად, უდიდესი ენთუზიაზმით წამოიწყო ილიას ეროვნული იდეალების ხორცშესხმა, — ისეთივე გატაცებითა და თავგამოდებით, როგორც ადრე ამ იდეალების აღმოსაფხვრელად იღვწოდა...

ასე გასრულდა ნოე ჟორდანიას და „დასელების“ ხანგრძლივი, შეურიგებელი ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელმაც ილიას სიცოცხლე შეიწირა და რომელიც ანტიეროვნული მსოფლმხედველობის სრული კრახით და ილიას ეროვნული მოძღვრების ჭეშმარიტი ზეიმით დაგვირგვინდა.

...სამწუხაროდ, ნ. ჟორდანიამ (და მასთან ერთად მისმა თანამოაზრე დასმა) ძალზე გვიან შეიგნო ანტიეროვნული მსოფლმხედველობის უპერსპექტივობა და თავის ადრინდელ, აბსურდულ მტკიცებათა საწინააღმდეგოდ, მხოლოდ წიწამურის ტრაგედიიდან დიდი ხნის შემდეგ ირწმუნა, რომ ქართველი ხალხის „იდეალი იყო, არის და იქნება ერის ტყვეობისაგან განთავისუფლება, წართმეული თავისუფლების დაბრუნება“; რომ „საქართველო მთელ თავის არსებობის მანძილზე ეწეოდა ბრძოლას თავისუფლებისათვის, მუდმივ თავის დაცვას და თავისი ისტორიული გზის შენახვას“; რომ დამონებულ ერთა განთავისუფლება და „სახელმწიფოებრივად თვითგამორკვევა“ — ეს „აუცილებელი ბუნებრივი კანონია“; და რომ ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობის აღორძინებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის (რაც განმსაზღვრელი მიზეზი იყო „ქართველი ნაციონალისტებისადმი“ ნ. ჟორდანიას და მისი დასის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისა) წარმოადგენდა ბრძოლას „არსებობის ძირეულ, უდაო და მიუცილებელ საფუძვლისათვის“****; ნ. ჟორდანიამ ირწმუნა ისიც, რომ „ქართველი ხალხის

---

* ზ უ რ ა ბ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, — თბ., 1990 წ., გვ. 75.

** მ ი ხ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ილიას მოკლა, — ჟურნ. „ბედი ქართლისა“, 1957, № 24 —25, გვ. 9.

*** ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული (მოგონებანი), თბ., 1990, გვ. 101.

საუკუნოებრივი ოცნების აღსრულება“ — დამოუკიდებლობის მოპოვება, — ეს იყო ქართველ სამოციანელთა მრავალწლიანი მოღვაწეობის „ლოგიკური დაგვირგვინება“...* მაგრამ ყოველივე ეს დიდის დაგვიანებით გაცნობიერდა: საბედისწერო შეცდომის გამოსწორება უკვე აღარავის ძალუძდა, — ილიას წმინდა სისხლი უკვე დაღვრილი იყო, ქართველობა — დამძიმებული საშვილიშვილო ცოდვით.

80. მათე, 27, 24.

---

* „მოკლე ნაწყვეტები პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას დღიურებიდან და ნაწერებიდან“, — ჟურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1986 წ., აგვისტო, გვ. 8.

რედაქტორი მ. არჩვაძე
მხატვარი ზ. დეისაძე
ტექრედაქტორი ს. შაყულაშვილი
კორექტორი ლ. კალანდაძე
გადაეცა წარმოებას 21.02.91
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.10.91.
ნაბეჭდი თაბახი 7.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16
შეკვ. № 376 ტირაჟი 20.000

ფასი 3 მან. 80 კაპ.

КИТА АБАШИДЗЕ
«РАСПНИ, РАСПНИ ЕГО!»
(На грузинском языке)

Издательство «Хеловнеба»
Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 179.
1991

გამომცემლობა „ხელოვნება"
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 179
1991
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"
კოსტავას ქ. № 14.
Типография газетно-журнального Издательства грузин «Самшобло»
ул. М. Костава, 14.